



საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტი

პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე  
უარის თქმა და მისი სამართლებრივი შედეგები

დოქტორანტი ხვიჩა ბეგიაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების  
შესაბამისად.

მეცნიერ-ხელმძღვანელი: გია მეფარიშვილი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

ქ. თბილისი

2024 წელი

დისერტაცია ეძღვნება ჯოვანი ფალკონეს  
და პაოლო ბორსელინოს ნათელ ხსოვნას

საქართველოს დავით აღმაშენებლის  
სახელობის უნივერსიტეტს

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო  
პროგრამის დოქტორანტის ხვიჩა ბეგიაშვილის

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ჩემ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი „პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმა და მისი სამართლებრივი შედეგები“ წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, არის ორიგინალური, ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს.

ხელმოწერა -----

თარიღი -----

## ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოყენებული აბრევიატურები -----	6
შესავალი -----	7-9
<b>თავი I. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას -----</b>	<b>10</b>
§1. სახელმწიფო ბრალდების ცნება და მისი თანაფარდობა ბრალდების სხვა სახეებთან -----	10-18
§2. ბრალდებაზე უარის თქმის საფუძვლები -----	18-43
§3. სახელმწიფო ბრალმდებლისა და ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილება ბრალდებაზე უარის თქმის დროს -----	44-59
§4. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გავლენა სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს -----	59-71
§5. სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის სამართლებრივ პროცედურაში პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება -----	71-81
§6. განსხვავება სახელმწიფო ბრალდებაზე ნაწილობრივ და სრულად უარის თქმას შორის -----	81-83
§7. პროკურორის მიზანი სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს -----	84-90
§8. პროკურორის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის საკითხი სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის დროს -----	91-102
§9. ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო წესი და ფორმა -----	102-117
<b>თავი II. სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ეთიკური, ფსიქოლოგიური და ლოგიკური ასპექტები -----</b>	<b>118</b>
§1. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ეთიკური ასპექტი -----	118-121
§2. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტი -----	121-127
§3. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ლოგიკური ასპექტი -----	127-131

თავი III. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები -----	132
§1. სამართლებრივი შედეგების სახეები და მათი დახასიათება -----	132-147
§2. სამართლებრივი შედეგები პროკურორისა და პროცესის სხვა მონაწილეებისთვის -----	147-163
§3. სამართლებრივი შედეგი სასამართლოსა და სისხლის სამართალწარმოებისთვის -----	164-172
თავი IV. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის სტანდარტები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების შესაბამისად -----	173
§1. აშშ-ის მაგალითი -----	173-182
§2. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი -----	182-191
§3. ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაგალითი -----	191-195
დასკვნა -----	196-205
ბიბლიოგრაფია -----	206-233
დამატებითი ნაწილი-----	234-260

## გამოყენებული აბრევიატურები

ა.შ. – ასე შემდეგ;

ე.ი. – ესე იგი;

ე.წ. – ეგრეთ წოდებული;

გვ. – გვერდი;

ტ. – ტომი;

წ. – წელი;

წ.წ. – წლები;

იხ. – იხილეთ;

იხ. დასახ. ნაშრ. – იხილეთ დასახელებული ნაშრომი;

რედ. – რედაქტორი;

სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი;

სსრ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა;

აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები;

თბ. – თბილისი;

მუხ. – მუხლი;

ნაწ. – ნაწილი;

М. – Москва;

С. – Страница;

Vol. – Volume (ტომი);

Issue – გამოცემა;

P. – Page (გვერდი);

PP. – Pages (გვერდები);

CPS – Crown Prosecution Service (სამეფო პროკურორის სამსახური);

DPP – Director of Public Prosecutions (საჯარო ბრალდების სამსახურის დირექტორი).

## შესავალი

განსახილველი თემაა სისხლის სამართლის პროცესის მთავარი ფიგურის, პროკურორის, ისეთი დისკრეციული უფლებამოსილება, როგორც არის სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა, და მისი სამართლებრივი შედეგები. ეს საკითხი ქართული სამეცნიერო წრეების მიერ ჯეროვნად შესწავლილი არ არის და პრობლემურია, რაც იმას გულისხმობს, რომ საკვლევი თემის მიმართ ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბებული არ არის. წარმოდგენილ ნაშრომში ამ საკითხის სიღრმისეულად წარმოჩენა თავისთავად განაპირობებს აღნიშნულ თემაზე დისკუსიის დაწყებას და მოცემული საკითხით თეორეტიკოსების, აგრეთვე პრაქტიკულად მომუშავეთა დაინტერესებას.

სამეცნიერო ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს არა მარტო სამეცნიერო წრეებისა და პრაქტიკულად მომუშავე იურისტების, არამედ საზოგადოების ფართო მასების მზარდი ინტერესი მიმდინარე ან უკვე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების მიმართ. ფაქტია, რომ კონკრეტულ გახმაურებულ (მათ შორის, მიმდინარე) სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით კითხვების გაჩენა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათზე დისკუსიების თუ დებატების მოწყობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია დაწყებული ან შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის, პროკურორის მიერ მიღებული ან/და მიუღებელი გადაწყვეტილებების, სახელმწიფო ბრალდების განხორციელებისა და მასზე უარის თქმის საკითხებს.

აღნიშნული საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია, რათა პასუხი გაეცეს სამართლის სფეროსა და საზოგადოებაში ხშირად დასმულ კითხვებს: მიუკერძოებელია თუ არა პროკურორი სახელმწიფო ბრალდების განხორციელების პროცესში? მართებულია თუ არა უფლებამოსილება, რომელიც პროკურორს აძლევს ექსკლუზიურ უფლებას, შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღოს სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება იმ პირობებში, როდესაც დასრულებულია გამოძიება, შეკრებილია მტკიცებულებათა ერთობლიობა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია იძულებითი ხასიათის

ღონისძიებები და საქმეს სასამართლო განიხილავს? იჭრება თუ არა პროკურორი მოსამართლის უფლებამოსილებაში და ნიშნავს თუ არა სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა მართლმსაჯულების განხორციელებას? პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა გამოძიების შეცდომით, მიკერძოებული, ცალმხრივი და არაობიექტური გამოძიებით არის გამოწვეული თუ სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს ემყარება? სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე პროკურორის უარი ბრალდების მხარის მარცხს გულისხმობს თუ მას ისე უნდა შევხედოთ, როგორც მართლმსაჯულების განუყოფელ და აუცილებელ ნაწილს და ადამიანის უფლებების გარანტს? რა სამართლებრივი შედეგები დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი უარს აცხადებს სახელმწიფო ბრალდებაზე? როგორია ბრალდებულის უფლებები, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებაა გამოყენებული? სარგებლობს თუ არა იგი გამართლებულის საპროცესო სტატუსითა და გარანტიებით? შესაბამისად, ილახება თუ არა პირის, როგორც ბრალდებულის, უფლება, სარგებლობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით? ილახება თუ არა დაზარალებულის უფლებები? უნდა დადგეს თუ არა კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი ბრალდებულის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების, პატიმრობის თუ სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, მის ქონებაზე ყადაღის დადებისა და მისთვის მორალური ზიანის მიყენების, დაზარალებულის კანონიერი ინტერესების საკითხის ღიად დატოვებისა და თუნდაც სახელმწიფოს მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების გაღების ნაწილში? და ბოლოს, რა ბედი ეწევა თავად დანაშაულებრივი ქმედების ფაქტს იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკულად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების ფორმალურ საფუძველს არ იძლევა? აუცილებელია, დასმულ კითხვებს მეცნიერულად დასაბუთებული და ამომწურავი პასუხი გაეცეს, რაც სამეცნიერო ნაშრომის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული საკითხის სიღრმისეული შესწავლით შევეცდებით სისხლის სამართლის პროცესის განსახილველი დებულებებისა და საკვლევ თემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის კონკრეტული ნორმების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომა



ჩამოვყალიბოთ, რათა აღმოიფხვრას ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ხშირად იჩენს თავს.

კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, აღწერითი (სინქრონული), დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, სოციოლოგიური და სხვა მეთოდები.

დისერტაცია შედგება შესავლისგან, 4 თავისგან, 18 პარაგრაფისგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან (გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან). ნაშრომის არსებითი ნაწილის მოცულობაა 199 გვერდი.

## თავი I

### პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას

#### §1. სახელმწიფო ბრალდების ცნება და მისი თანაფარდობა ბრალდების სხვა სახეებთან

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმისა და მისი სამართლებრივი შედეგების საკითხს ქართულ სამეცნიერო ნაშრომებში ყურადღება ფაქტობრივად არ ეთმობა. შესაბამისად, ის პრობლემური და შესასწავლია. ვფიქრობთ, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის მეცნიერული შესწავლა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების სრულყოფილად რეალიზებას იმ კუთხით, რომ ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, წარდგენილ იქნეს სამართლიანი მართლმსაჯულების წინაშე, ამასთანავე, გამოირიცხოს უდანაშაულო პირის მსჯავრდება.

დისერტაციის კვლევის საგნის დეტალურად შესწავლამდე მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაცია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მისი როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებაზე უარის თქმა სრულად შეესაბამება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ბრალმდებლებმა არ უნდა დაიწყონ ან არ უნდა გააგრძელონ სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ ობიექტური გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდება უსაფუძვლოა<sup>1</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე<sup>2</sup>, რაც

---

<sup>1</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(2000)19 წვერი სახელმწიფოების მიმართ, მართლმსაჯულების სისტემაში პროკურატურის როლის შესახებ, 6 ოქტომბერი, 2000 წელი.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 62, ნაწ. 5.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის დემოკრატიზაციისა და სრულყოფის წინაპირობაა.

ამ პარაგრაფში პასუხს გავცემთ კითხვებს: ვინ შეიძლება იყოს სახელმწიფო ბრალმდებელი მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით? რა სახის ბრალდება არსებობს? რას ან ვის ემსახურება სახელმწიფო ბრალდება? როგორია სახელმწიფო ბრალმდებლის უფლებათა უნარიანობა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში?

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო ბრალმდებლის უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულება მხოლოდ პროკურორს აკისრია<sup>3</sup>, მოკლედ შევხვით პროკურატურის სისტემას. პროკურატურა არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს<sup>4</sup>. პროკურატურის მთავარი ამოცანაა დანაშაულთან ბრძოლა. მის შესასრულებლად სხვადასხვა მიმართულებასთან ერთად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურატურის მთავარი ფუნქციაა<sup>5</sup>. ამასთანავე, პროკურატურის ყველა მუშაკს არ აქვს სახელმწიფო ბრალდების განხორციელების უფლება<sup>6</sup>. აღნიშნული უფლებამოსილებით მხოლოდ პროკურორი სარგებლობს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფო ბრალდების სხვა სახეს ან სხვა ბრალმდებელს არ იცნობს.

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანს, მასთან დაკავშირებით საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომ – ძველი საპროცესო კოდექსი) საკმაოდ ვრცელ რეგლამენტაციას ითვალისწინებდა. კერძოდ, უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ არსებული ჩანაწერით სახელმწიფო ბრალმდებელს, რომლის უშუალო მოვალეობაც იყო ბრალდების მტკიცება, ენიჭებოდა აგრეთვე უფლება, უარი ეთქვა

<sup>3</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 24.

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 65, ნაწ. 1.

<sup>5</sup> Савицкий В., Стержневая функция прокуратуры – осуществление уголовного преследования, Российская Юстиция, 1994, №10/94, с. 28; გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999 წ., გვ. 35.

<sup>6</sup> მაგალითად, პროკურატურის გამომძიებელს, მრჩეველს, სპეციალისტს და სხვა (ავტ. შენ.).

ბრალდებაზე<sup>7</sup>. ბრალდებაზე უარის თქმის ძველი საპროცესო კოდექსის ამოსავალ პრინციპად განსაზღვრა ამ კოდექსის დემოკრატიულობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, ჰუმანურობასა და მხარეთა უფლებების თანაზომიერ რეალიზებაზე მიუთითებს. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის დისკრეციულ უფლებამოსილებას ეხმაურება აგრეთვე ძველი საპროცესო კოდექსის საჯაროობისა და დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის მიხედვით, ბრალმდებლის უარი ბრალდებაზე ავტომატურად იწვევდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რომლის საფუძველიც უნდა ყოფილიყო შემდეგი 2 გარემოებიდან ერთ-ერთი: 1. განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; 2. განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო<sup>8</sup>.

ძველი საპროცესო კოდექსის მიხედვით, არსებობდა სისხლისსამართლებრივი დევნის რამდენიმე სახე: საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო<sup>9</sup>. შესაბამისად, კანონს თითოეული მათგანის შემთხვევაში სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის მიმართ სპეციფიკური მიდგომა ჰქონდა.

ძველი საპროცესო კოდექსის თანახმად, საჯარო ბრალდების საქმეზე იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი სასამართლო განხილვის დროს ბრალდებაზე უარს იტყოდა, სასამართლო ვალდებული იყო შეეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ან გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი<sup>10</sup>. კოდექსში განხილული იყო აგრეთვე პროკურორის მიერ ბრალდების მოხსნის საკითხი, რაც შეიძლება ბრალდებაზე უარის თქმის სახედ, კერძოდ, ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმად იქნეს მიჩნეული. როგორც წესი, ბრალდების მოხსნის შემთხვევაში განსასჯელს რჩებოდა სხვა ბრალდება, რომლის საქმის სასამართლო განხილვა ჩვეულებრივ გრძელდებოდა. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პროკურორის მიერ ბრალდების მოხსნა სასამართლო განხილვის დროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებულ ზემდგომი პროკურორის თანხმობას საჭიროებდა. ამასთანავე, კანონი პროკურორს არ ავალდებულებდა, თავისი

---

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ., მუხ. 10, ნაწ. 2.

<sup>8</sup> იხ. იქვე, მუხ. 14, ნაწ. 6.

<sup>9</sup> იხ. იქვე, მუხ. 23.

<sup>10</sup> იხ. იქვე, მუხ. 24, ნაწ. 8.

ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობა სასამართლო განხილვის დროს წარედგინა. მას შეეძლო ეს განცხადება სასამართლო სხდომაზე ზეპირად გაეკეთებინა და იგი, რასაკვირველია, სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირდებოდა. ამასთანავე, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, მიზანშეწონილი იყო, ბრალდების მოხსნაზე ზემდგომი პროკურორის თანხმობა პროკურორს სასამართლოში „ყოველგვარი შესაძლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“<sup>11</sup> წერილობით წარედგინა. კოდექსი პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმისას ზემდგომი პროკურორის თანხმობის აუცილებლობის თაობაზე ჩანაწერს არ შეიცავდა, თუმცა, ამის პარალელურად, განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის ან ბრალდების მოხსნის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება ზემდგომი პროკურორის თანხმობას საჭიროებდა. ეს ვითარება უდავოდ აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს, ვინაიდან, თუ პროკურორის ამ გადაწყვეტილებების მნიშვნელობასა და სამართლებრივ შედეგებს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ, როგორც ძველი, ისე დღევანდელი საპროცესო კოდექსით, პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა უფრო მაღალი ხარისხის, საპასუხისმგებლო და შედეგიანი უფლებამოსილებაა, ვიდრე განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლა ან ბრალდების მოხსნა. იმაზე, თუ რამდენად საჭიროა ან მიზანშეწონილია ასეთ შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის თანხმობა, კვლევის იმ თავებში ვისაუბრებთ, რომლებშიც აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ მოქმედ ნორმებს განვიხილავთ.

ძველ საპროცესო კოდექსს საინტერესო მიდგომა ჰქონდა სუბსიდიური ბრალდების საქმის განხილვის დროს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის საკითხის მიმართ. ამ შემთხვევაში პროკურორის პოზიცია (გადაწყვეტილება) დაზარალებულისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის სავალდებულო არ იყო. მას უფლება ჰქონდა, დათანხმებოდა პროკურორის უარს. ამ დროს მოსამართლეს უნდა შეეწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ან გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი. თუ დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი არ დაეთანხმებოდა პროკურორის გადაწყვეტილებას, იგი ბრალმდებლის

---

<sup>11</sup> მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

უფლებამოსილებას იძენდა და სასამართლოც ვალდებული იყო გაეგრძელებინა საქმის განხილვა, ამჯერად სახელმწიფო ბრალმდებლის მონაწილეობის გარეშე<sup>12</sup>.

რაც შეეხება კერძო-საჯარო და კერძო ბრალდებების საქმეებზე სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ რეგლამენტაციას, ძველ საპროცესო კოდექსში ასეთი შემთხვევებისთვის რაიმე განსაკუთრებული დათქმა არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების გამო წყდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც დევნის გაგრძელებით შეიძლებოდა ზიანი მისდგომოდა როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. ამასთანავე, შესაძლებელი იყო მხარეთა შერიგება შემდგარიყო სამივე ინსტანციის სასამართლოში, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე. რაც შეეხება კერძო ბრალდების საქმეს, აღნიშნული კატეგორიის საქმეში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულო არ იყო. იგი მის განხილვაში შეიძლებოდა ჩართულიყო მხოლოდ სასამართლო გამოძიების დაწყების ეტაპამდე. ამასთანავე, კერძო ბრალდების საქმეში პროკურორის ჩართულობის თაობაზე არსებობდა ერთი მეტად შეუსაბამო საკანონმდებლო დათქმა. კერძოდ, თუ პროკურორი ჩაერთვებოდა კერძო ბრალდების საქმეში, მაშინ დევნა მხარეთა შერიგების გამო ვეღარ შეწყდებოდა<sup>13</sup>. ამაში ჩვენ ვეთანხმებით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების“ ავტორებს. უფრო მეტიც, უნდა ითქვას, რომ ასეთი საკანონმდებლო შეზღუდვა არსებითად ეწინააღმდეგებოდა როგორც ძველი საპროცესო კოდექსის, ისე საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ძველ საპროცესო კოდექსში არ იყო სამართლებრივი დათქმა კონკრეტულად კერძო-საჯარო და კერძო ბრალდებების საქმეებზე სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევებისთვის. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში კანონის ანალოგია მოქმედებდა. თუმცა გარკვეულ პრობლემებს აქაც ვაწყდებით. ძველი საპროცესო კოდექსი ერთმანეთისგან ასხვავებდა ბრალდებაზე უარის თქმას საჯარო ბრალდების

---

კომენტარები, 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თბ., 2007 წ., გვ. 89, 707.

<sup>12</sup> იხ. იქვე, გვ. 89-90.

<sup>13</sup> იხ. იქვე, გვ. 90-92.

საქმესა და სუბსიდიური ბრალდების საქმეზე. ეს განსხვავება დაზარალებულის უფლებამოსილებით გამოიხატებოდა: თუ სუბსიდიური ბრალდების საქმეზე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაზარალებული არ დაეთანხმებოდა აღნიშნულ გადაწყვეტილებას, იგი ბრალმდებლად გვევლინებოდა და საქმის განხილვა გრძელდებოდა. სავარაუდოა, რომ კერძო-საჯარო და კერძო ბრალდებების საქმეებზე პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევებში ამოქმედდებოდა კანონის ანალოგია, რომელიც მოქმედებდა სუბსიდიური ბრალდების საქმეზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში კერძო-საჯარო და კერძო ბრალდებების საქმეებზე დაზარალებულის უფლებები სათანადოდ დაცული ვერ იქნებოდა.

ძველი საპროცესო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ბრალმდებელი იყო მხოლოდ პროკურორი. ამასთანავე, ბრალდების მხარეს წარმოადგენდნენ თავად პროკურორი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები<sup>14</sup>. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილება ჰქონდა პროკურორს. ამასთანავე, სუბსიდიური ბრალდების საქმეზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდებაზე უარს ამბობდა, ხოლო დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი მას არ ეთანხმებოდა, სასამართლო განხილვა გრძელდებოდა და მთავარი ბრალმდებლის უფლებამოსილებას დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი ითავსებდა. იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო განხილვაში აღარ მონაწილეობდა, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს<sup>15</sup> შეეძლო უარი ეთქვა ბრალდებაზე<sup>16</sup>, იმ პირობებშიც კი, თუ დაზარალებული ბრალდებულს არ შეურიგდებოდა. რაც შეეხება მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგების ფაქტს, ეს საკითხი ძველი საპროცესო კოდექსით დეტალურად იყო განსაზღვრული.

<sup>14</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ., მუხ. 44, ნაწ. 19.

<sup>15</sup> საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობა ხორციელდებოდა დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, არ ჰქონდა უფლება, მისი თანხმობის გარეშე დაეთანხმებოდა პროკურორის უარს ბრალდებაზე ან ბრალდების შეცვლაზე.

<sup>16</sup> იხ. იქვე, მუხ. 68.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლის განხორციელება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებას პროკურორი სახელმწიფო ბრალმდებლის სახით ახორციელებს<sup>17</sup>. კონკრეტულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდების განხორციელება იწყება სასამართლოში წინასასამართლო სხდომის გამართვის დღეს<sup>18</sup> და სრულდება საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებით<sup>19</sup>. შესაბამისად, სახელმწიფო ბრალდება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში ხორციელდება. ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა<sup>20</sup>, ვინაიდან სწორედ აღნიშნული უფლებამოსილება აქცევს პროკურატურას დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიან ორგანოდ. სახელმწიფო ბრალმდებელს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი შეუძლია ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში გამოიყენოს<sup>21</sup>. სახელმწიფო ბრალდება განსხვავდება სასამართლომდელ სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისგან. გამოძიების სტადიაზე, მტკიცებულებათა ერთობლიობის დროს, დასაბუთებული ვარაუდის<sup>22</sup> არსებობის შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს<sup>23</sup>. ზოგიერთი ავტორის აზრით, პროკურორი სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს აგრეთვე გამოძიების სტადიაზე<sup>24</sup>. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან გამოძიების სტადიაზე პროკურორი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის სტატუსით სარგებლობს<sup>25</sup>. კონკრეტულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მხოლოდ პროკურორის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა<sup>26</sup>.

<sup>17</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 33, ნაწ. 1.

<sup>18</sup> იხ. იქვე, მუხ. 219.

<sup>19</sup> იხ. იქვე, მუხ. 306.

<sup>20</sup> Савицкий В., Стержневая функция прокуратуры – осуществление уголовного преследования, Российская Юстиция, 1994, №10/94, с. 28.

<sup>21</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 2.

<sup>22</sup> იხ. იქვე, მუხ. 3, ნაწ. 11.

<sup>23</sup> იხ. იქვე, მუხ. 16.

<sup>24</sup> Петрухин И., Функции прокурора в суде, Российская Юстиция, 1990, №06/90, с. 80.

<sup>25</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 22, პ. 2.

<sup>26</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 168.



გამოძიების სტადიაზე პროკურორი ბრალმდებლის სტატუსს იძენს პირის დაკავებისთანავე ან მისი ბრალდებულად ცნობისთანავე<sup>27</sup>. ითვლება თუ არა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან მისი ბრალდებულად ცნობა ბრალდებად? ამ საკითხზე მეცნიერთა შეჯერებული პოზიცია არ არსებობს. შესაბამისად, ვხვდებით საკმაოდ საინტერესო და დასაბუთებულ მოსაზრებებს. კერძოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის განსხვავებას ვერ ხედავს<sup>28</sup>, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მოიცავს ბრალდებას<sup>29</sup>, მესამე ნაწილის აზრით, პირიქით, სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდების შემადგენელი ნაწილია<sup>30</sup>, მეოთხე ნაწილი კი ბრალდებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას ერთმანეთისგან ასხვავებს<sup>31</sup>. აღნიშნული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თუ სასამართლო სტადიამდე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესს ბრალდებასთან გავაიგივებთ, ის მაინც ვერ იქნება სახელმწიფო ბრალდების შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან სახელმწიფო ბრალდება მხოლოდ საქმის სასამართლოში განხილვის დროს ხორციელდება, ხოლო დევნა იწყება და, მაშასადამე, ბრალდება ხორციელდება გამოძიების სტადიაზე, პირის დაკავებიდან ან/და მისთვის ბრალდების წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე. სხვა სახის საბრალდებო პროცესს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს.

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებლის უფლებაუნარიანობას, ამაზე დაწვრილებით დისერტაციის მომდევნო თავებში ვისაუბრებთ, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბრალმდებელს ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი და იგი სარგებლობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით

---

<sup>27</sup> იხ. იქვე, მუხ. 169, ნაწ. 1.

<sup>28</sup> სტროგოვიჩი მ., სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1948, გვ. 118; Кучин А., Правовой механизм публичного уголовного преследования, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Нижний Новгород, 2004, с. 14

<sup>29</sup> Чельцов М., Советский уголовный процесс, М., 1951, с. 89; Сапронова Т., Особенности процессуального положения лиц, осуществляющих уголовное преследование в суде, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Санкт-Петербург, 2005, с. 90.

<sup>30</sup> გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999 წ., გვ. 271-272.

<sup>31</sup> მეფარიშვილი გ., სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 31.10.1997; Барабаш А., Уголовное преследование в стадии предварительного расследования, Фундаментальные и прикладные проблемы управления расследованием преступлений: Сборник научных Трудов (в двух частях), Часть первая, М., 2005, с. 202–205.

მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით<sup>32</sup>. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებების რეალიზების საკითხს. პროკურორი სამართალწარმოების გადამწყვეტ ეტაპზე, კერძოდ, საქმის სასამართლო განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმდებლად გვევლინება. ამ დროს მას ევალება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, არამედ სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა. აღნიშნული უფლებამოსილება პროკურორს, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელს, ადამიანის უფლებების დამცველის უფლება-მოვალეობებს ანიჭებს, ვინაიდან სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა პირდაპირ არის დაკავშირებული პირის კანონიერი უფლებების რეალიზებასთან. სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის უფლებამოსილების გამოყენების დროს პროკურორი ბრალდებულის უფლებებს იცავს. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებას კანონი სახელმწიფო ბრალმდებელს ავალებს ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უდანაშაულო პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურების განხორციელებას და ხელს უწყობს მართლმსაჯულების სამართლიანობასა და კანონიერებას.

## **§2. ბრალდებაზე უარის თქმის საფუძვლები**

პროკურორი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, სისხლის სამართლის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. საქართველოს 1998 წლის და 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, აგრეთვე ცვლილებები, რომლებიც ამ კოდექსებში დღემდე განხორციელდა, პირდაპირ ეხებოდა პროკურორისა და სახელმწიფო ბრალმდებლის სტატუსსა და როლს სისხლის სამართალწარმოებაში.

---

<sup>32</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 24, პ. 1, 4.

საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომ – ახალი/მოქმედი საპროცესო კოდექსი) ბრალდებაზე უარის თქმას პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებად თვლის, განსხვავებით ძველი საპროცესო კოდექსისგან, რომელიც პროკურორს შესაბამის ვალდებულებას უწესებდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბრალდებაზე უარის თქმის ვალდებულების პროკურორის უფლებამოსილებების არსენალში გადანაცვლება ეწინააღმდეგება „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს, კერძოდ, პროკურატურის საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს: კანონიერებასა და პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ასევე არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ამგვარი ნოვაციით პროკურორს მიეცემა საშუალება, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მხარი დაუჭიროს ამკარად უკანონო ბრალდებას<sup>33</sup>, ვინაიდან ახალმა საპროცესო კოდექსმა პროკურორს მიანიჭა როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ისე მისი შეწყვეტის დისკრეციული უფლებამოსილება, რაც განპირობებულია საჯარო ინტერესების გათვალისწინებით<sup>34</sup>. აღნიშნული პრინციპი შეესაბამება საერთაშორისო მიდგომებსა და აშშ-ისა და ევროპის განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობების სულისკვეთებას. უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებებით აღჭურვა პროკურატურის საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპების ეფექტიან რეალიზებას უზრუნველყოფს. ამასთანავე, თუ პროკურორს სასამართლო განხილვის დროს ხელთ ექნება ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველი, უტყუარი მტკიცებულებები და მაინც ჯიუტად შეეცდება, განახორციელოს ბრალდება, მის ქმედებაში გამოიკვეთება არა მხოლოდ დისციპლინური, არამედ აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნიშნები, რაც ყველაზე უკეთ თავად პროკურორისთვის არის ცნობილი. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დასაბუთება საფუძველს მოკლებულია. მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორს არაერთი დისკრეციული

<sup>33</sup> კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, „იურისტების სამყარო“, თბ., 2018 წ., გვ. 103.

<sup>34</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 16.

უფლებამოსილება აქვს, რაც ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო წესებზე ანგლოსაქსური სამართლის გავლენად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ჩვენი აზრით, საკითხის პროკურორის შინაგანი რწმენით გადაწყვეტა მის საქმიანობას უფრო ეფექტიანს ხდის. ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი, პირველ რიგში, პროკურორის კეთილსინდისიერებას, ობიექტურობასა და კანონიერებას ეფუძნება. ამასთანავე, სავალდებულო ნორმის მოქმედების პერიოდშიც კი, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა ბრალდებას, პროკურორი ბრალდებაზე უარს მხოლოდ საკუთარი, შინაგანი რწმენის საფუძველზე ამბობდა. სხვა ფაქტორები მასზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა.

პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის საფუძვლებზე იურისტ მეცნიერთა შორის ერთგვარი კონსენსუსია. ისინი ძირითადად 3 ჯგუფად იყოფა: 1. სამართლებრივი, ანუ ფორმალური საფუძვლები; 2. „ფაქტიური“, ანუ მტკიცებულებითი საფუძვლები; 3. ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომლებიც პროკურორის შინაგან რწმენას წარმოქმნის<sup>35</sup>.

სასამართლო განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმდებელი შეიძლება იმ რეალობის წინაშე აღმოჩნდეს, რომ მისთვის ცნობილი გახდა ახალი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელია ბრალდების შეცვლას, მაგალითად, მასზე ნაწილობრივ უარის თქმას და, უფრო მეტიც, ბრალდებაზე სრულად უარის თქმას იწვევდეს. რეალურად, ბრალმდებლის დისკრეციული უფლებამოსილების ასამოქმედებლად შეიძლება არსებობდეს ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებების ფართო სპექტრი: სასამართლო პროცესის მონაწილეთა (მოწმე, დაზარალებული, ბრალდებული, ექსპერტი) მიერ ჩვენების შეცვლა, მანამდე უცნობი გარემოებების დადგენა, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა და სხვა.

თავის მხრივ, ბრალდებაზე უარის თქმის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები 2 კატეგორიად იყოფა: 1. მატერიალურ-სამართლებრივი

---

<sup>35</sup> კობალაძე პ., პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2002 წ., გვ. 105; Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 70–77; Савицкий В., Государственное обвинение в суде, М., 1971, с. 203–215; Букша Н., Назначение института прекращения уголовного дела и уголовного преследования в российском уголовном судопроизводстве, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Краснодар, 2005, с. 152-153; Лавнов М., Современная модель отказа прокурора от обвинения и

საფუძვლები; 2. საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები<sup>36</sup>. აღნიშნული დაყოფა მართებულად მიგვაჩნია და ვეთანხმებით მას. ჩვენი აზრით, ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორი ხელმძღვანელობს როგორც სისხლის სამართლის კოდექსის, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ დებულებებით, რომლებიც, საერთო ჯამში, მისი დისკრეციული უფლებამოსილების საფუძვლებს წარმოშობს.

უშუალოდ აღნიშნული საფუძვლების განხილვამდე მიზანშეწონილია, შევხვით პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას. იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განმარტებული არ არის.

*„დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“<sup>37</sup>.*

ამასთანავე, მიზანშეწონილია, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება განმარტებული იყოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ან/და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. ეს ნათელს მოჰფენს იმ კითხვებს, რომლებიც შეიძლება ამ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით წარმოიშვას.

თავის მხრივ, სახელმწიფო ბრალმძებელს ბრალდებაზე უარის თქმის დროს თავისი დისკრეციული უფლებამოსილების გამოსაყენებლად ესაჭიროება, არსებობდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული ფორმალური საფუძვლები. განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული ის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც პროკურორს უფლებას აძლევს, ზოგ შემთხვევაში კი, შეიძლება ითქვას, ავალდებულებს, უარი თქვას ბრალდებაზე.

---

перспективы ее совершенствования в российском уголовном процессе, Вестник Саратовской государственной юридической академии, №6 (95), 2013, с. 206.

<sup>36</sup> გოგშელიძე რ., აქუბარდია ი., ფაფიაშვილი ლ., ბოხაშვილი ი., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თბ., 2008 წ., გვ. 102.

<sup>37</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წ., მუხ. 2, ნაწ. 1, ქვ. „ლ“.

მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები გამორიცხავს პირის მიმართ სასჯელის გამოყენებას და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ან გაგრძელებას და ადასტურებს დანაშაულის არარსებობის ფაქტს. აღნიშნული საფუძვლებია:

1. არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება<sup>38</sup> – ეს საფუძველი იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს. ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას სასამართლო განხილვის დროსაც, მაგალითად, როდესაც პირს ბრალად ედება დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდება და სასამართლო პროცესზე გამოკვლეულ იქნა მტკიცებულება, რომლის მიხედვით, გადასახდელი გადასახადის თანხა ასი ათას ლარზე ნაკლებია, რაც აშკარად მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ არსებობს<sup>39</sup>.

2. ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო<sup>40</sup> – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“<sup>41</sup>. ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას სასამართლო განხილვის დროსაც, მაგალითად, როდესაც პირს ბრალად ედება იმ ქმედების ჩადენა, რომელიც გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია<sup>42</sup>, ხოლო სასამართლო პროცესზე წარდგენილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით უტყუარად დგინდება, რომ დაზარალებულმა მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და არა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ეს გამორიცხავს ბრალდებულის ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ვინაიდან

<sup>38</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ა“.

<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 218-ის შენიშვნა, ნაწ. 1.

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ბ“.

<sup>41</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 7, ნაწ. 2.

<sup>42</sup> იხ. იქვე, მუხ. 276, ნაწ. 2.

გაუფრთხილებლობით ჩადენილი ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება კანონმდებელმა დანაშაულებრივ ქმედებად არ მიიჩნია.

**3. ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას<sup>43</sup>** – ეს საფუძველი დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქმედების დეკრიმინალიზაციის საკითხთან და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებულ სისხლის სამართლის კანონის უკუძალას. ახალ კანონს უკუძალა აქვს, როდესაც ის აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს<sup>44</sup>. მაგალითად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის №2937 კანონით დანაშაულებრივი ქმედება, საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა<sup>45</sup>, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა, რამაც ამ დანაშაულებრივი ქმედების დეკრიმინალიზაცია გამოიწვია. ასეთ ვითარებაში იმ სახელმწიფო ბრალმძებლებს, რომლებიც სასამართლოში მხარს უჭერდნენ საქართველოს სსკ-ის 204-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას, წარმოეშვათ სამართლებრივი საფუძველი, უარი ეთქვათ ბრალდებაზე.

**4. კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი<sup>46</sup>** – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების (მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის) მიღების, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები<sup>47</sup>. როგორც აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, არაკონსტიტუციურად ცნოს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლი ან მისი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე სისხლის სამართლის კოდექსის არცერთი მუხლი სრულად არ უცვნიან არაკონსტიტუციურად. რაც შეეხება მის მიერ მუხლის ნაწილთან ან ჩანაწერთან

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „გ“.

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 3, ნაწ. 1.

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ. (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 204.

<sup>46</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „დ“.

<sup>47</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996 წ., მუხ. 19, ნაწ. 1, ქვ. „ა“.

დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის<sup>48</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადგენს ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას, ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ჩვენ მიერ მაგალითად მოყვანილი გადაწყვეტილება 2017 წლის 4 დეკემბერს გამოქვეყნდა. შესაბამისად, აღნიშნული მომენტიდან სახელმწიფო ბრალდებლებს წარმოეშვათ სამართლებრივი საფუძველი, უარი ეთქვათ ბრალდებაზე სასამართლო განხილვის სტადიაზე მყოფ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა იმ ბრალდებულებს, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტზე.

**5. გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა<sup>49</sup>** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადებს, რომლებიც კონკრეტული დანაშაულის კატეგორიასა და სასჯელის სიმძიმეზეა დამოკიდებული. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემამდე და მისი გასვლის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება აკრძალულია კანონით<sup>50</sup>. ბრალდებაზე უარის თქმის აღნიშნული საფუძვლისთვის მოვიყვანოთ ჰიპოთეტურ მაგალითს: პირმა, რომელიც 2009 წელს გასამართლებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოხდილი ჰქონდა სასჯელი, მაგრამ ითვლებოდა ნასამართლევად, 2013

---

<sup>48</sup> საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, 2012 წ., დანართი №2, ცხრილის 92-ე ჰორიზონტალური გრაფა.

<sup>49</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ე“.

<sup>50</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 71, ნაწ. 1-2.



წელს კვლავ ჩაიდინა ძარცვა, კერძოდ, იგი აშკარად დაეუფლა 120 ლარის ღირებულების მობილურ ტელეფონს. ამ დანაშაულის ჩადენისთვის მას 2020 წელს, მისი ჩადენიდან 7 წლის გასვლის შემდეგ, წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რომელიც გულისხმობს პირის მიერ ქმედების არაერთგზის ჩადენას და მძიმე კატეგორიის დანაშაულია<sup>51</sup>. სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქართველოს პარლამენტმა გამოსცა ამნისტიის აქტი, რომელიც შეეხო 2012 წლამდე ჩადენილ ნაკლებად მძიმე დანაშაულებს, მათ შორის, სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, და მის ჩამდენ პირებს ნასამართლობა მოუხსნა<sup>52</sup>. შესაბამისად, ამით ბრალდებიდან ამოირიცხა არაერთგზისობის მაკვალიფიცირებელი გარემოება და 2013 წელს ჩადენილი დანაშაული დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული<sup>53</sup>. ასეთი ვითარება უკვე დიამეტრულად ცვლის ზოგადად ბრალდების საკითხს და პროკურორს ბრალდებაზე სრულად უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს უქმნის, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაქსიმალური ვადაა 6 წელი<sup>54</sup>. ეს ვადა ჩვენ მიერ მოყვანილი ჰიპოთეტური მაგალითისთვის ამოიწურა 2019 წელს, რომლის განმავლობაშიც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

**6. გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან<sup>55</sup>** – ამნისტიის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ძვ. წ.-ად. მე-18 საუკუნიდან იღებს სათავეს და პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთ გავრცელებულ საფუძველად მიიჩნევა<sup>56</sup>. ამნისტიის აქტი გამოიცემა ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით და საზოგადოებრივი საშიშროების

<sup>51</sup> იხ. იქვე, მუხ. 15, ნაწ. 1; მუხ. 71, ნაწ. 1, ქვ. „გ“; მუხ. 178, ნაწ. 2, ქვ. „ბ“.

<sup>52</sup> იხ. იქვე, მუხ. 77.

<sup>53</sup> იხ. იქვე, მუხ. 12, ნაწ. 2.

<sup>54</sup> იხ. იქვე, მუხ. 71, ნაწ. 1, ქვ. „ბ“.

<sup>55</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ვ“.

<sup>56</sup> გიგუაშვილი ა., ამნისტია, როგორც სამართლიანობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მექანიზმი, „ჩემი ადვოკატი“, თბ., 2021 წ., ნომერი V, <https://gba.ge/ka> (ბოლო ნახვა: 24.10.2022).

ხარისხის გათვალისწინებით. ის შეიძლება გამოსცეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტმა ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ, საქართველოს კანონის სახით, რომელიც დადგენილი წესით მიიღება. ამნისტიის აქტით შესაძლებელია ბრალდებული ან/და მსჯავრდებული გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, მსჯავრდებული გათავისუფლდეს აგრეთვე სასჯელისგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით, ხოლო სასჯელმოხდილს მოეხსნას ნასამართლობა<sup>57</sup>. ამნისტიის აქტით განისაზღვრება კონკრეტული დანაშაულები და მათი ჩადენის პერიოდი. შესაბამისად, როგორც წესი, ამნისტია მხოლოდ იმ პირებს ეხება, რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება შესაბამისი აქტის გამოცემამდე ჩაიდინეს. ამასთანავე, ამნისტია ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი პროკურორისთვის მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ეს აქტი გამოქვეყნდება. ამასთანავე, ის პირს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისგან მთლიანად უნდა ათავისუფლებდეს და არა ნაწილობრივ. ზოგ შემთხვევაში ამნისტიის აქტს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული საკანონმდებლო დათქმები, მაგალითად, ბრალდებულის ან/და მსჯავრდებულის თანხმობა მის მიმართ ამნისტიის აქტის გამოყენებაზე, ეკონომიკური ხასიათის დანაშაულისთვის ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამნისტიის აქტით სასამართლო განხილვის სტადიაზე მყოფი საქმეების შეწყვეტას კანონი მოსამართლეს ავალებს. ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ კანონის აღნიშნული დათქმა პროკურორს უზღუდავს ბრალდებაზე სრულად უარის თქმის უფლებას, ვინაიდან ბრალდებაზე სრულად უარის თქმა ბრალდებულს იმავე სამართლებრივ შედეგს მოუტანს, კერძოდ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება. აღნიშნული საკითხი ოპონენტებმა შესაძლებელია სადავოდ მიიჩნიონ და ობიექტურად კრიტიკის საგანი გახდეს პროკურორის დროის ხარჯვა იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლო ისედაც ვალდებულია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ისეთ ჰიპოთეტურ შემთხვევაში, როდესაც ამნისტიის აქტის გამოქვეყნება ემთხვევა იმ სხდომას, რომელზედაც საქმე განიხილება, პროკურორს, თავის მხრივ, უჩნდება პოზიტიური

---

<sup>57</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 77, ნაწ. 2.

ვალდებულება, მოახდინოს ფაქტზე რეაგირება და განაცხადოს თავისი სამართლებრივი პოზიცია ამნისტიის აქტთან დაკავშირებით. აღნიშნული ქმედება, გარდა იმისა, რომ დადებითად იმოქმედებს ამ პროკურორისა და, ზოგადად, პროკურატურის სისტემის იმიჯზე, ხელს შეუწყობს ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტის განვითარებას.

**7. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება<sup>58</sup>** – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VI თავი („დაუმთავრებელი დანაშაული“) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ამასთანავე, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს სხვა დასრულებული დანაშაული ჩაიდინა<sup>59</sup>. მაგალითად, პირი, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი ბანკის დაყაჩაღებაზე, პასუხს აგებს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე. აღნიშნული საფუძვლით პირის სისხლისსამართლებრივი დევნიდან გათავისუფლება სამეცნიერო წრეებში განიხილება, როგორც მისი მოტივირება, დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით აიცილოს თავიდან მართლსაწინააღმდეგო შედეგების დადგომა. ეს ნიშნავს სახელმწიფოს მიერ დამნაშავესთვის დამატებითი შანსის მიცემას, სათანადო პირობების შექმნას სასჯელის თავიდან ასაცილებლად. ამ ნორმას მეცნიერთა ნაწილი სავსებით სამართლიანად უწოდებს წამახალისებელს<sup>60</sup>. ის შეიძლება გულისხმობდეს დანაშაულის ჩამდენი პირის როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას<sup>61</sup>. ის, თუ რამდენად რელევანტურია, პროკურორმა აღნიშნული საფუძვლით თქვას უარი ბრალდებაზე, საკამათოა, მაგრამ თეორიულად შესაძლებელია, ასეთი ვითარება შეიქმნას სასამართლო განხილვის დროს, როდესაც ბრალდების მხარემ საქმის გამოძიების სტადიაზე არ გაითვალისწინა

<sup>58</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „კ“.

<sup>59</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 21, ნაწ. 1-2.

<sup>60</sup> ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2013 წ., გვ. 319.

<sup>61</sup> დარსანია თ., დანაშაულის მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2014 წ., გვ. 12.

პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი და ბრალდებულის როლი დამდგარი სამართლებრივი შედეგის თავიდან აცილებაში.

8. **ქმედითი მონაწილეობა**<sup>62</sup> – პირი, რომელიც წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა და პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი<sup>63</sup>. როგორც ნორმა განმარტავს, აღნიშნული საფუძვლით პირის მიმართ ბრალდებაზე უარის თქმის დროს უნდა არსებობდეს რამდენიმე პირობის ერთობლიობა, კერძოდ: 1. პირმა პირველად უნდა ჩაიდინოს დანაშაული; 2. ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს; 3. პირი ნებაყოფლობით უნდა გამოცხადდეს სამართალდამცავ ორგანოში და აღიაროს ბრალი; 4. პირმა უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან დანაშაულის გახსნის კუთხით; 5. პირმა უნდა აანაზღაუროს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით გამოწვეული ზიანი<sup>64</sup>. მეცნიერთა დისკუსიის საგანი გახდა პირის მიერ „პირველად ჩადენილი დანაშაულის“ განმარტების საკითხი. მათი ერთი ნაწილის აზრით, პირველად ჩადენილ დანაშაულში იგულისხმება წარსულში ნასამართლობის მქონე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ასეთ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული ნასამართლობის ფაქტის არსებობა<sup>65</sup>. არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, პირის წარსული ნასამართლობა, რომელიც უკვე გაქარწყლებულია ან მოხსნილია, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული<sup>66</sup>. აღნიშნული საკითხი საკამათოა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უნდა ამოვიდეთ კანონის ჩანაწერის პირდაპირი გაგებიდან, რომელშიც ნათლად

<sup>62</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ლ“.

<sup>63</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 68, ნაწ. 1.

<sup>64</sup> ვარძელაშვილი ი., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილეების გამო, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, №2/2018, გვ. 31–34.

<sup>65</sup> ნაჭყებია გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2016 წ., გვ. 573.

<sup>66</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010 წ., გვ. 300.

არის მითითებული: „ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული“. ჩვენი აზრით, ეს სიტყვები არ აღნიშნავს წარსულში უკვე ნასამართლევ პირს, რომელსაც თუნდაც მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა. გარდა ამისა, დისკუტში სწორი პოზიციის დასაკავებლად საჭიროა, დანაშაულის ჩამდენი პირის სტატუსს არა მარტო სისხლისსამართლებრივი, არამედ კრიმინოლოგიური თვალსაზრისითაც შევხედოთ. სისხლის სამართლისთვის დამნაშავედ ითვლება ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩაიდინა და სასჯელი დაეკისრა. ამასთანავე, დამნაშავედ აღარ ითვლება პირი, რომელსაც ნასამართლობა მოეხსნა ან გაუქარწყლდა. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით კი დამნაშავედ ის პირიც ითვლება, რომელსაც ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა პირს გასამართლებულ პირთა სოციალურ ფენას (stratum) მიაკუთვნებს და ეს მახასიათებელი მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნარჩუნდება<sup>67</sup>.

ქმედითი მონაწილის გამო პირის მიმართ ბრალდებაზე უარის თქმის დროს პრობლემურად შეიძლება იქნეს მიჩნეული აგრეთვე ზიანის ანაზღაურების საკითხი, ვინაიდან შესაძლებელია არსებობდეს ისეთი დანაშაული, რომელსაც არანაირი ზიანი არ გამოუწვევია, მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. ზიანის არარსებობის შემთხვევაში მისი ანაზღაურებაც შეუძლებელი იქნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ასეთი მოცემულობა არ უნდა გახდეს ბრალდებაზე უარის თქმის შემაფერხებელი ფაქტორი<sup>68</sup>.

აღნიშნული საფუძვლით პირის მიმართ ბრალდებაზე უარის თქმა შესაძლებელია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 322-ე მუხლებითა და 164<sup>1</sup>, 203-ე, 221-ე, 223-ე, 223<sup>1</sup>, 223<sup>3</sup>, 223<sup>4</sup>, 236-ე, 260-ე, 339-ე, 339<sup>1</sup>, 348<sup>1</sup>, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებულ შემთხვევებში<sup>69</sup>.

<sup>67</sup> Карпец И. и другие авторы, Криминология, М., 1997, с. 28.

<sup>68</sup> ვარძელაშვილი ი., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილის გამო, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, №2/2018, გვ. 33-34.

<sup>69</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 68, ნაწ. 2.

9. ვითარება შეიცვალა<sup>70</sup> – დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ბრალდებაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ დადგინდება, რომ ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო<sup>71</sup>. როგორც წესი, ვითარების შეცვლა გულისხმობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის ფაქტს, რასაც ადასტურებს 1991-1992 წლებში საქართველოში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების პოლიტიკური შედეგების აღმოფხვრის მიზნით მიღებული საქართველოს პარლამენტის დადგენილება<sup>72</sup>. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ „ვითარების შეცვლის“ განმარტების არარსებობა ობიექტურად იმსახურებს კრიტიკას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ აკონკრეტებს, რა იგულისხმება ამ დეფინიციაში. ჩვენი აზრით, ასეთმა ბუნდოვანებამ დაიმსახურა სამართლიანი რეკომენდაცია, რომ აღნიშნული საფუძველი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნეს ან დაზუსტდეს<sup>73</sup>. „ვითარების შეცვლას“ აკადემიური წრეებიც არაერთგვაროვნად ხსნიან. „ვითარების შეცვლა“ განიმარტება, როგორც გარეგანი პირობების ცვლილება, რაც ქმედებას უკარგავს სოციალურ საშიშროებას<sup>74</sup>, ან ვითარების შეცვლა განიხილება, როგორც დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებლად დამდგარი ობიექტური ცვლილება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ლოკალური ხასიათი<sup>75</sup>. მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებით უნდა განიმარტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში „ვითარების შეცვლა“ და დაზუსტდეს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის წარმოშობა.

<sup>70</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „მ“.

<sup>71</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 70.

<sup>72</sup> საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის №262–III დადგენილება „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“.

<sup>73</sup> ევროკავშირი საქართველოსთვის და ევროპის საბჭო, „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმების მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა, თბ., 2020 წ., გვ. 62, 135.

<sup>74</sup> ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2012 წ., გვ. 161.

<sup>75</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადემუქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015 წ., გვ. 343.

ამასთანავე, ვითარების შეცვლისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს შემდეგი ფაქტორები გარემოებები: ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არ უნდა ქმნიდეს არანაირ საფრთხეს და მისი შედეგები არ უნდა აზარალებდეს კანონით დაცულ სიკეთეს. მიგვაჩნია, რომ ვითარების შეცვლის განმსაზღვრელად შეიძლება განვიხილოთ, ზოგადად, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების საგანზე და არსებითად ცვლის მის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს. ვითარების შეცვლის საფუძველზე ბრალდებაზე უარის თქმის მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ პროკურორის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248<sup>1</sup> მუხლით (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) ბრალდებული პირის მიმართ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის რეჟიმი საქართველოს მთავრობამ გააუქმა და, შესაბამისად, დანაშაულებრივმა ქმედებამ საზოგადოებრივად საშიში ხასიათი დაკარგა.

**10. პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა<sup>76</sup>** – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის ასაკს აწესებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით, პირს, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი, არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა<sup>77</sup>. ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას სასამართლო განხილვის სტადიაზე, მაგალითად, არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ<sup>78</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს. ახალი გარემოება, რომლითაც ბრალდებული იდენტიფიცირებულ იქნა და დადგინდა ის ფაქტი, რომ მას არ მიუღწევია 14 წლის ასაკისთვის, უპირობოდ არის ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი.

<sup>76</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 2, ქვ. „ა“.

<sup>77</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 33.

<sup>78</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 179.

11. პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით<sup>79</sup> – დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის პასუხს არ აგებს პირი, რომელსაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის<sup>80</sup>. ბრალდებულის შეურაცხაობის საკითხს წყვეტს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნა მხარეებმა შეიძლება წარადგინონ აგრეთვე სასამართლო განხილვის სტადიაზე. თუ დადგინდება, რომ პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო შეურაცხადი (და მისი ჩადენის შემდეგ არ გამხდარა), ეს გარემოება პროკურორს ავალდებულებს, არ დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და თავად თქვას სრულად უარი ბრალდებაზე.

საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებათა შესაბამისად წარმოიშობა და გამორიცხავს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნული საფუძვლებია:

1. არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე<sup>81</sup> – არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის<sup>82</sup>. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც განმეორებითი ბრალდების, ისე განმეორებითი მსჯავრდების საკითხს. მაგრამ ჰიპოთეტურად შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც აღნიშნული საფუძველი პირისთვის ბრალის წარდგენის დროს ბრალდების მხარისთვის ცნობილი არ იყო და დაცვის მხარემ მხოლოდ სასამართლო განხილვის დროს წარადგინა სასამართლოში შესაბამისი დოკუმენტი – უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირი უკვე მსჯავრდებულია კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის.

<sup>79</sup> იხ. იქვე, მუხ. 105, ნაწ. 2, ქვ. „ბ“.

<sup>80</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 34, ნაწ. 1.

<sup>81</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ზ“.

<sup>82</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 31, ნაწ. 8.



აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი გახდება.

2. არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ<sup>83</sup> – თუ საქმის სასამართლოში განხილვის დროს გაირკვა, რომ არსებობს პირის მიერ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტზე პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც ზემდგომი პროკურორის მიერ არ განახლებულა, ამასთანავე, გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი გაუჩნდება. ვინაიდან ასეთი ვითარებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას შევხებით, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც აღნიშნული ვადა გასული არ არის. ამ დროს პროკურორს მაინც მოუწევს ბრალდებაზე უარის თქმა, რის შემდეგაც დღის წესრიგში უნდა დადგეს იმ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხი, რომელზეც თავდაპირველად იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება<sup>84</sup>.

3. ბრალდებული გარდაიცვალა<sup>85</sup> – ბრალდებულის გარდაცვალება არის ის სამართლებრივი მოცემულობა, რომლის დადგომის შემთხვევაშიც მართლმსაჯულების განხორციელება აზრს კარგავს. ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას სასამართლო განხილვის სტადიაზე. იგი პროკურორს ავალდებულებს, უარი თქვას ბრალდებაზე.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286<sup>2</sup>, 322<sup>1</sup>, 344-ე ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო<sup>86</sup> – თუ საქართველოს სსკ-ის 286<sup>2</sup> მუხლით (ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემის შექმნა), 322<sup>1</sup> მუხლით (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა), 344-ე მუხლით

<sup>83</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „თ“.

<sup>84</sup> იხ. იქვე, მუხ. 108, ნაწ. 1.

<sup>85</sup> იხ. იქვე, მუხ. 105, ნაწ. 2, ქვ. „გ“.

<sup>86</sup> იხ. იქვე, ნაწ. 2, ქვ. „დ“.

(საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) ან 362-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილ იქნა სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლით (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) ან/და 143<sup>2</sup> მუხლით (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო, ეს კანონით ითვლება ბრალდებაზე უარის თქმის საფუძვლად. ტრეფიკინგის მსხვერპლი პასუხს არ აგებს მონური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ჩადენილ ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებზე. აღნიშნული გარემოება მხარეებისთვის შეიძლება ცნობილი გახდეს სასამართლო განხილვის სტადიაზე, რაც, თავის მხრივ, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი გახდება.

**5. სისხლისსამართლებრივი დევნა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს<sup>87</sup>** – „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით<sup>88</sup> განისაზღვრა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი. დოკუმენტი მოიცავს პროკურატურის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს, სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებს და პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. დღეისთვის სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს კომპეტენციაა<sup>89</sup>. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, პროკურორი

<sup>87</sup> იხ. იქვე, ნაწ. 3.

<sup>88</sup> აღნიშნული პერიოდისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურა შედიოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში, ხოლო იუსტიციის მინისტრს ზოგ შემთხვევაში კანონით ეკისრებოდა გენერალური პროკურორის უფლება-მოვალეობები (ავტ. შენ.).

<sup>89</sup> „საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №008, 17 მარტი, 2020 წ., მუხ. 2 და მუხ. 5, პ. 1, ქვ. „დ“.

უფლებამოსილია უარი თქვას ბრალდებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ასეთ პირობებში უნდა არსებობდეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, აგრეთვე აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომლის საზომადაც მიჩნეულია მტკიცებულებითი ტესტი, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზს, რომლის მიხედვით ობიექტური პირი დარწმუნდებოდა დანაშაულის ფაქტის არსებობასა და აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში პირის ბრალეულობაში. მიუხედავად ამისა, განხილული მიზეზების კუმულაციურად არსებობა არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან გაგრძელების აუცილებელი წინაპირობა. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმა არის პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც მის შინაგან რწმენას და კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება. გადაწყვეტილების მიღების დროს პროკურორი ობიექტური და მიუკერძოებელი უნდა იყოს, რაც გამოირიცხავს მასზე სუბიექტური ფაქტორების გავლენის შესაძლებლობას. ამ დროს პროკურორი ხელმძღვანელობს მტკიცებულებითი ტესტითა და საჯარო ინტერესის ტესტით. მათი ერთობლიობა, თავის მხრივ, ქმნის სრულ ტესტს. სწორედ სრული ტესტის არსებობის შემთხვევაში შეუძლია პროკურორს, ბრალდებაზე უარის თქმის დროს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა ბრალდებაზე უარი უნდა თქვას, თუ დევნის გაგრძელება საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგება. მან უნდა გააანალიზოს, არის თუ არა საჯარო ინტერესი დევნის გაგრძელება, და ბრალდებაზე უარი უნდა თქვას მაშინ, როდესაც დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესში იგულისხმება: ა) სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფო რესურსების ხარჯვის საჭიროებასა თუ აუცილებლობას კონკრეტულ შემთხვევაში დევნის განხორციელებისას; ბ) დანაშაულის ბუნება და სიმძიმე. ამ შემთხვევაშიც აქცენტი კეთდება სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე, რაც

დაკავშირებულია მცირე მნიშვნელობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანშეუწონლობასთან. ამ დროს აუცილებელია, შეფასდეს მიღებული შედეგების მართებულობა საზოგადოებისა და დაზარალებულის მიმართ; გ) ზიანის ანაზღაურების საკითხი; დ) კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისა და ბრალდებულის მიმართ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება; ე) სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, რაც გულისხმობს ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში მართლმსაჯულების უმთავრესი მიზნის მიღწევას – დანაშაულის პრევენციის შესაძლებლობას; ვ) პირის ბრალეულობის ხარისხი, რაც გულისხმობს მისი ბრალის ხარისხის განსაზღვრას; ზ) დანაშაულში მონაწილე სხვა პირების ბრალი; თ) პირის კრიმინალური წარსული, რაც გულისხმობს მისი წარსული ნასამართლობის საკითხის გაანალიზებას; ი) პირის გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, რაც გულისხმობს მის მისწრაფებას, ხელი შეუწყოს გამოძიების პროცესს და დაეხმაროს მას საქმეზე სრულყოფილი, დროული და ობიექტური გამოძიების ჩატარებაში; კ) ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, რაც გულისხმობს მისი ასაკისა და ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას; ლ) პირის მსჯავრდების შემთხვევაში მოსალოდნელი სასჯელი, რაც გულისხმობს მისი დევნის შესაძლო შედეგებისა და სასჯელისთვის გამოსაყენებელი სავარაუდო ღონისძიების წინასწარ შეფასებას. ამ დროს უნდა განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება დევნის განხორციელებისთვის საჭირო დრო და რესურსები პირის პასუხისგებაში მიცემის ინტერესს, და სხვა.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების განხილვის შემდეგ ყურადღებას გავამახვილებთ საფუძვლების „ვითარება შეიცვალა“ და „სისხლისსამართლებრივი დევნა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“ საერთო და იმავდროულად წინააღმდეგობრივ ხასიათზე. მიგვაჩნია, რომ ორივე საფუძვლის არსებობას განაპირობებს ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეფასებითი კრიტერიუმი. ამასთანავე, არსებითი წინააღმდეგობა იკვეთება შემდეგში: ვითარების შეცვლის შეფასებისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არანაირი რეალური კრიტერიუმი არ არსებობს, ასეთი მდგომარეობა კი, ჩვენი აზრით,

ეწინააღმდეგება მსგავს შესაძლებლობას მეორე სამართლებრივი საფუძვლისთვის („თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“) დაწესებული კრიტერიუმისთვის.

6. პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით<sup>90</sup> – ეს საფუძველი ჩვენი საკვლევი მთავარი თემაა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს. პროკურორმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ბრალდებაზე უარი შეიძლება თქვას შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემთხვევაში: ა) არასრული და სუბიექტური გამოძიება, რაც შესაძლებელია გამოძიების ობიექტურად, სრულად და ყოველმხრივ ჩატარების საპროცესო ვალდებულების დარღვევის დროს<sup>91</sup>; ბ) დაბალი ხარისხის, არაპროფესიონალურ დონეზე ჩატარებული გამოძიება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამომძიებლის არაკომპეტენტურობით და სათანადო უნარ-ჩვევებისა და განათლების არქონით, რის გამოც გამოძიების ყურადღების მიღმა და გამოუკვლეველი დარჩა დანაშაულთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები; გ) საპროცესო ნორმების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები (იგულისხმება ე. წ. მოწამლული ხის ნაყოფის (Fruit of the poisonous tree) პრინციპი, რომელსაც საფუძველი გასული საუკუნის დასაწყისში აშშ-ის მართლმსაჯულების სისტემაში ჩაეყარა და რომელიც პირველად აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ფელიქს ფრანკფურტერის გადაწყვეტილებაში იქნა გამოყენებული<sup>92</sup>). ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე ზოგიერთი მტკიცებულება უკანონო საგამომიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად იქნა მოპოვებული; დ) არასაკმარისი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით განაჩენის გამოსატანად, რაც სახელმწიფო ბრალმდებლის კომპეტენცია და მის მიერ გადასაწყვეტი საკითხია. ასეთი ვითარება შეიძლება შეიქმნას სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოკვლეული იმ მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, რომლებმაც ტრანსფორმაცია განიცადა და გამოძიების სტადიაზე

<sup>90</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ი“.

<sup>91</sup> იხ. იქვე, მუხ. 37, ნაწ. 2.

<sup>92</sup> U.S. Supreme Court, *Nardone et al. v. United States*, 1939 (308 U.S. 338, 60 S. Ct.266, 84L, Ed.307).

მოპოვებული მტკიცებულებებისგან განსხვავებულად იქნა წარმოჩენილი; ე) საპროცესო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობით გამოწვეული ნაჩქარევი ან/და დაუსაბუთებელი საპროცესო გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს სასამართლო განხილვის სტადიაზე და გამოიხატებოდეს ბრალდების არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე წარდგენით, ბრალდების არასწორი ფორმულირებით, რაც ცალსახად არის ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველი; ვ) გამოძიების ცრუ დასმენის, ცრუ ჩვენების ან/და ცრუ დასკვნის საფუძველზე დაწყება, რაც მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს სასამართლო პროცესზე ნათლად დადასტურდა; ზ) წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის დაუშვებლად ცნობა. ამ დროს პროკურორმა უნდა განსაზღვროს დარჩენილი მტკიცებულებების არსებობისას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ალბათობა.

აქვე შევხებით მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებას, რომ პროკურორმა სახელმწიფო ბრალდებაზე უარი შეიძლება გამოძიების სტადიაზე თქვას და ეს გამოიხატოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებით ან ბრალდებულად ყოფნის ვადის შემთხვევაში<sup>93</sup>. აღნიშნული მსჯელობა არ მიგვაჩნია სწორად შემდეგ გარემოებათა გამო: სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში 2010 წლიდან დაინერგა. თავდაპირველად ისინი არასრულწლოვან პირთა მიმართ გამოიყენებოდა<sup>94</sup>, ხოლო შემდგომ მათი მოქმედების არეალი გაფართოვდა და ეს მექანიზმები სრულწლოვან პირებზეც გავრცელდა. აღნიშნულ ალტერნატიულ მექანიზმებში იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განრიდების ინსტიტუტის, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში –

---

<sup>93</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015 წ., გვ. 342.

<sup>94</sup> ქურციკიძე მ., აღდგენითი მართლმსაჯულებისა და განრიდების შედეგად არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი მინიმალურია, თბ., 2017 წ., <https://www.unicef.org/georgia/ka>; „არასრულწლოვანის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების

განრიდება-მედიაციის ინსტიტუტების დამკვიდრება. თავის მხრივ, ეს ინსტიტუტები არ გულისხმობს ბრალდებაზე უარის თქმას. როგორც მათი ზოგადი სახელწოდებიდან ჩანს, ისინი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმებია. თავის მხრივ, ბრალდებაზე უარის თქმა არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი. მათ შორის არსებობს როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი სხვაობა. ფორმალური სხვაობის ნათელი მაგალითია სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვით, განრიდებისა და განრიდება-მედიაციის ინსტიტუტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. ამასთანავე, სასამართლო განხილვის დროს პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში იგი უფლებამოსილია საქმე გამოითხოვოს სასამართლო წარმოებიდან და მხოლოდ ამ საქმის მისთვის დაბრუნების შემდეგ მოახდინოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზება<sup>95</sup>. აღნიშნულისგან განსხვავებით, ბრალდებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოში, განაჩენის გამოტანამდე<sup>96</sup>. რაც შეეხება ფაქტობრივ სხვაობას, ის აშკარად იკვეთება აღნიშნული ინსტიტუტების სამართლებრივ შედეგებში. კერძოდ, ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმა იწვევს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტას ყოველგვარი პირობისა და გამოსაცდელი ვადის დაწესების გარეშე<sup>97</sup>, განრიდებისა და განრიდება-მედიაციის გამოყენების დროს კი პირს ერთი ან რამდენიმე პირობის შესრულების ვალდებულება უწესდება<sup>98</sup>. რაც შეეხება გამოძიების სტადიაზე, მათ შორის, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში ბრალდებაზე უარის თქმის თეორიულ შესაძლებლობას, მას დეტალურად განვიხილავთ დისერტაციის II თავის 1-ელ პარაგრაფში.

---

ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №120, 1 თებერვალი, 2016 წ.

<sup>95</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 168<sup>2</sup>, ნაწ. 4; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წ., მუხ. 39, ნაწ. 1-2.

<sup>96</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 2.

<sup>97</sup> იხ. იქვე, ნაწ. 1.

<sup>98</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 168<sup>1</sup>, ნაწ. 1; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წ., მუხ. 39, ნაწ. 3; მუხ. 40.

შეჯამების სახით აღსანიშნავია შემდეგი: პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტორებზე, რომ კონკრეტული ბრალდების საქმეზე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა ზოგ შემთხვევაში საჭიროებს ჩვენ მიერ უკვე განხილული მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი საფუძვლების არსებობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოპონენტები ალბათ იმ გარემოებაზე მოახდენენ აპელირებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით რეგლამენტირებულია მხოლოდ ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებითაც, კანონის მიხედვით, დაშვებულია გამოძიების შეწყვეტა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება ან შეწყვეტა. ძნელია, ამ პოზიციას არ დაეთანხმო, მაგრამ საკითხის მეცნიერულმა შესწავლამ ცხადყო, რომ ცვლილებას საჭიროებს თავად საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის მოქმედი რედაქცია, რომელშიც საუბარია მხოლოდ გამოძიების შეწყვეტაზე და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებაზე ან შეწყვეტაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ მსჯელობას უნდა დაემატოს ბრალდებაზე უარის თქმა, რადგან ის თავისი შინაარსითა და ფორმით განსხვავდება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. იმაზეც შევთანხმდით, რომ ზოგიერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის პოზიტიური ვალდებულებაც უჩნდება.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ცვლილება, თავის მხრივ, გამიჯნავს ბრალდებაზე უარის თქმის დისკრეციული უფლებამოსილების სახით გამოყენებას და ზოგ შემთხვევაში სავალდებულო წესით გამოყენებას. აღნიშნული ნოვაციის საჭიროებაზე მიუთითებს ზემოთ განხილული მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების ბუნებაც, რომელთა დადგომის შემთხვევაშიც პროკურორს უჩნდება ვალდებულება, მიიღოს ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება – არ დაელოდოს სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ინიციატივა აიღოს საკუთარ თავზე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელმა სუბიექტმა, და კანონიერების პრინციპის დაცვით თქვას უარი ბრალდებაზე. ჩვენი პოზიციის დასადასტურებლად მოვიშველიებთ კვლევის პერიოდში საქართველოს



საერთო სასამართლოებიდან მოპოვებულ 6 გადაწყვეტილებას ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ: 2 შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული აქვს საოქმო განჩინებით, რაც არ იძლევა პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების საკითხის გარკვევის შესაძლებლობას, 1 შემთხვევაში პროკურორმა ბრალდებაზე სრულად თქვა უარი, რაც დაასაბუთა იმ სამართლებრივი საფუძვლით, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება<sup>99</sup>, 2 შემთხვევაში ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ბრალდებულის გარდაცვალება<sup>100</sup>, ხოლო 1 შემთხვევაში დადგინდა, რომ ბრალდებულის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო<sup>101</sup>, რაც, თავის მხრივ, ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. გარდა ამისა, ჩვენ მოვიძიეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საინტერესო გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებაზე უარის თქმას უკავშირდება. ამ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმას ასაბუთებდა 2 სამართლებრივი საფუძვლის ერთობლიობით: 1. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ბრალდებულის ქმედებაში არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება; 2. პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე<sup>102</sup>. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრაქტიკა სამართლებრივად უფრო სწორად არის დასაბუთებული, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკიდან განხილულ წინა 4 შემთხვევაში პროკურორი გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებაში აპელირებდა 2 განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველზე (ბრალდებულის გარდაცვალება და ბრალდებაზე უარის თქმა), ხოლო მის ფორმალურ ნაწილს ასაბუთებდა მხოლოდ საქართველოს სსსკ-ის 105-ე

<sup>99</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 10 ოქტომბრის №1-01160/101612 წერილით გადმოგზავნილი მოსამართლე ალექსანდრე იაშვილის მიერ გამოტანილი 2018 წლის 12 ივლისის განჩინება (იხ. დისერტაციის დამატებითი ნაწილი, დანართი#1, გვ. 235-240).

<sup>100</sup> თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თამარ კაპანაძის მიერ 2022 წლის 4 მარტს №1/18-20 საქმესა და 2022 წლის 20 აპრილს №1/61-22 საქმეზე გამოტანილი განჩინებები (იხ. იქვე, დანართი #2, გვ. 243-250).

<sup>101</sup> თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მამუკა წიკლაურის მიერ 2022 წლის 4 მარტს №1/196-19 საქმეზე გამოტანილი განჩინება (იხ. იქვე, გვ. 250-254).

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №370აპ-12 ს-ე ა, 370აპ-12, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba33.pdf> (ბოლო ნახვა: 28.10.2022).

მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით (პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე), რაც თავისთავად იწვევს დასაბუთების ფაქტობრივი და ფორმალური ნაწილების აცდენას და პროკურორის გადაწყვეტილების დასაბუთების არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ბრალდებაზე უარის თქმის დისკრეციულ უფლებამოსილებას, მისი გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, მაგალითად, ვითარება იცვლება ან პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პრობლემები ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველს, სხვა სამართლებრივი საფუძვლებისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს და აჩენს ლეგიტიმურ კითხვას: პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგლამენტირებული უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი თუ, ზოგადად, ბრალდებაზე უარის თქმა მოითხოვს განსაკუთრებულ და განყენებულ რეგლამენტაციას, თუნდაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონკრეტული თავის ან ნორმების დახვეწისა და სრულყოფის გზით?

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე თავად უნდა იქნეს შეტანილი ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტის გამოყენების საფუძვლების, საპროცესო წესისა და სამართლებრივი შედეგების მარეგულირებელი დეტალური და სრულყოფილი საკანონმდებლო ნორმები. ეს მოახდენს ამ ინსტიტუტის სისტემატიზაციას. საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებსაც დისერტაციის დასკვნითი ნაწილის რეკომენდაციებში წარმოვადგენთ, ბრალდებაზე უარის თქმის საკითხს უფრო ნათელსა და გასაგებს გახდის. ჩვენი აზრით, კვლევაში იდენტიფიცირებული პრობლემების საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით გადაჭრა სრულყოფს აღნიშნულ საპროცესო ინსტიტუტს და გაზრდის მის ეფექტიანობას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ საკვლევ თემად არჩეულ საკითხზე სამეცნიერო კვლევები პრაქტიკულად არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით გამონაკლის

შემთხვევებს, როდესაც ჩატარდა რამდენიმე კვლევა და თანაც სხვა მთავარი თემის შესწავლისას, მისი თანამდევ კვლევის სახით. ამ ფონზე სავსებით სამართლიანი იქნება, განვაცხადოთ, რომ, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი, ახალი საკანონმდებლო რეგლამენტაციის გარდა, მის შესახებ ცნობიერების ამაღლებასაც საჭიროებს. მასთან დაკავშირებული ნორმების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკე თავში სისტემატიზაცია ხელს შეუწყობს სამართალწარმოების მონაწილეთა მიერ ამ ინსტიტუტის მნიშვნელობის უკეთ გააზრებას და პროკურორების მიერ ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილების პრაქტიკაში თამამად გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს მართლმსაჯულების განხორციელებას. მიგვაჩნია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულება და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, პროკურორების პროფესიული, იურიდიული და საგანმანათლებლო უნარების გაუმჯობესებასთან ერთად, აგრეთვე პროკურორების მიერ ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის მიღება და გათავისება ხელს შეუწყობს დანაშაულთან ბრძოლაში პროკურატურის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

### **§3. სახელმწიფო ბრალმდებლისა და ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილება ბრალდებაზე უარის თქმის დროს**

პროკურატურის როლი და ადგილი სახელმწიფოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოკრატიის ხარისხის სრულყოფაზე. პროკურატურის საქმიანობა არ უნდა იყოს შეზოქილი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა არასათანადო ინტერესებითა და გავლენებით. პროკურატურის სისტემის არსებით დამოუკიდებლობას პირდაპირი კავშირი აქვს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასა და სამართლიანი, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული ვენის 1993 წლის 25 ივნისის დეკლარაციის მიხედვით, ადამიანის უფლებები და ძირითადი

თავისუფლებები არის საყოველთაო, განუყოფელი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი განუხრელი რეალიზება ობიექტურად და სამართლებრივი გზით. იგი ამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას პროკურორების მეშვეობით ასრულებს<sup>103</sup>.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პროკურორების მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობების შესრულება ყოველგვარი გარე ჩარევის, მათ შორის, ნებისმიერი დამინების, დაბრკოლებების შექმნის, მუქარის, და სისხლის სამართლის ან სხვა სახის პასუხისმგებლობის გაუმართლებელი დაკისრების გარეშე<sup>104</sup>.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად ბოლო ათწლეულებში დემოკრატიულ ქვეყნებში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების ფონზე პროკურატურის დამოუკიდებლობის მყარი სტანდარტები შეიქმნა<sup>105</sup>. ევროკავშირმა (European Union) არსებობის პირველივე წლებიდან ჩამოაყალიბა საკუთარი მიდგომები დანაშაულთან ბრძოლის მიმართ. ამ მხრივ ერთ-ერთ უახლეს ტენდენციად იქცა მისი მისწრაფება წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობების ჰარმონიზაციისკენ. ევროპული სამართლის დოქტრინა იმას გულისხმობს, რომ სამართლებრივი თანამშრომლობის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ სასამართლოთა გადაწყვეტილებების ურთიერთალიარება, აგრეთვე მართლმსაჯულების სისტემების საერთო პრინციპებით მოწყობა, რაც ლისაბონის ხელშეკრულების (ე. წ. რეფორმის შესახებ ხელშეკრულების) ძალაში შესვლის შემდეგ ევროკავშირმა წევრი სახელმწიფოების თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უმთავრეს პრინციპად მიიჩნია<sup>106</sup>. როგორც ევროპული მკვლევრები აღნიშნავენ,

---

<sup>103</sup> Vienna Declaration and Programme of Action, Adopted by the World Conference on Human Rights, Vienna, 25 June 1993.

<sup>104</sup> Guidelines on the Role of Prosecutors, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, 27 August to 7 September 1990, Item 4.

<sup>105</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(2000)19 წევრი სახელმწიფოების მიმართ, მართლმსაჯულების სისტემაში პროკურატურის როლის შესახებ, 6 ოქტომბერი, 2000 წელი, პ. 11.

<sup>106</sup> Weyembergh A., La coopération judiciaire pénale au sein de l'Union européenne. Les innovations du traité de Lisbonne. Incidences pour le praticien. Sous la direction de N. de Sadeleer, H. Dumont, P. Jadoul, S. Van Drooghenbroeck, Bruxelles: Bruylant, 2011, p. 242.

ევროპული სისხლის სამართალი არ არის ის ნორმები, რომლებიც მიღებულია ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ეს არის ნორმები, რომლებიც წლების განმავლობაში, საერთაშორისო კონვენციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივების გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა. ევროპული სამართლის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ევროპული საბჭოს მრავალრიცხოვანმა კონვენციებმა<sup>107</sup>. დღეისთვის სწორედ ევროკავშირის სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები გვევლინება თავისუფალი სამყაროს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების ამოსავალ წერტილებად<sup>108</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კონსტიტუციის მიღებაზე კონსენსუსი მიღწეული ვერ იქნა, 2009 წელს ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, გარდა იმისა, რომ ევროკავშირის სტრუქტურა შეიცვალა<sup>109</sup>, მას მიენიჭა უფლებამოსილება, გავლენა მოახდინოს წევრი სახელმწიფოების სამართლის სისტემებზე მათი ჰარმონიზაციის მიზნით<sup>110</sup>, რასაც ევროკავშირი დირექტივებისა და დათქმების მეშვეობით ახორციელებს და რაც ხელს უწყობს ევროპის ქვეყნების დაახლოებას<sup>111</sup>. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო წლებში პროკურატურის სისტემის ევროპულ, დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არაერთი საკონსტიტუციო თუ სხვა საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანია. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, როდესაც საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო და ამჯერად ევროკავშირის წევრობაზე მოლაპარაკების დაწყებას ელოდება.

---

<sup>107</sup> Husabo E. J., Strandbakken A., Harmonization of Criminal Law in Europe, Antwerpen-Oxford, Intersentia, 2005, pp. 1-2.

<sup>108</sup> Müller-Graff P.-C., Der Raum der Freiheit, der Sicherheit und des Rechts in der Lissabonner Reform. Europarecht Beiheft, 1, 2009, s. 105.

<sup>109</sup> ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბ., 2010 წ., გვ. 7-9.

<sup>110</sup> ჯიშკარიანი ბ., ევროპული სამართალი და მისი გავლენა ნაციონალურ სისხლის სამართალზე, სამართლის ჟურნალი, №1-2, 2010 წ., გვ. 260-265.

<sup>111</sup> ჯიშკარიანი ბ., სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30)11, გვ. 103.

საქართველოში პროკურატურა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება<sup>112</sup>. იგი გამოეყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მთლიანად საქართველოს მთავრობას და გახდა დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს<sup>113</sup>. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელსაც 6 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი<sup>114</sup> სრული შემადგენლობის უმრავლესობით<sup>115</sup>. საკანონმდებლო ნოვაციაა პროკურატურის სისტემაში კონსტიტუციური ორგანოს – საპროკურორო საბჭოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უწყების დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას<sup>116</sup>. თავად საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრს ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია პროკურორთა რიგებიდან, 2 წევრს – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა კორპუსიდან<sup>117</sup>, ხოლო 5 წევრს – საქართველოს პარლამენტი, კერძოდ: 2 წევრი სრული შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევა პარლამენტის წევრთაგან (მათგან 1 წარმოადგენს საპარლამენტო უმრავლესობას, ხოლო 1 – საპარლამენტო ოპოზიციას), 2 წევრი კონკურსის საფუძველზე – სამეცნიერო წრეებიდან, კერძოდ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევრებისგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისგან ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისგან, ხოლო 1 წევრი სრული შემადგენლობის უმრავლესობით – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანდიდატებისგან<sup>118</sup>. საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების აღნიშნული წესი შეესაბამება

<sup>112</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 7, ნაწ. 1, ქვ. „დ“.

<sup>113</sup> იხ. იქვე, მუხ. 65, ნაწ. 1.

<sup>114</sup> იხ. იქვე, მუხ. 65, ნაწ. 2.

<sup>115</sup> ვენეციის კომისიის მოთხოვნა იყო, რომ გენერალური პროკურორი არჩეულიყო ხმათა კვალიფიციური წესით, რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის კონსენსუსის არსებობას. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Opinion on the draft constitutional amendments adopted on 15 december 2017 at the second reading by the parliament of georgia (CDL-AD(2018)005), Strasbourg, 19 March 2018, [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2018\)005-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2018)005-e) (ბოლო ნახვა: 02.06.2022).

<sup>116</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 65, ნაწ. 3.

<sup>117</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 19, პ. 2, ქვ. „ა“, „ბ“.

<sup>118</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2018 წ., მუხ. 207.

საერთაშორისო სტანდარტებს<sup>119</sup> და რეალურად უპასუხებს საპროკურორო საბჭოს წინაშე არსებულ გამოწვევებს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პროკურატურის კოლეგიური ორგანო – საპროკურორო საბჭო, როგორც ახალი წარმონაქმნი, შეძლებს თავისი ადგილის დამკვიდრებას და პროკურატურის სისტემის მართვის პროფესიული ორგანო გახდება.

სამეცნიერო ნაშრომის საკვლევი ძირითადი თემისა და პრობლემატიკის უკეთ წარმოსაჩენად სასურველია პასუხი გაეცეს კითხვებს: რომელი პროკურორია პასუხისმგებელი პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისთვის, კერძოდ, რომელ პროკურორს შეუძლია აწარმოოს გამოძიება, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, განახორციელოს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა? ვის აქვს უფლება, იყოს სახელმწიფო ბრალმძებელი? ამ კითხვებზე პასუხი მარტივია. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი უფლებამოსილებით სარგებლობს პროკურატურის ყველა მუშაკი, კერძოდ, საპროკურორო იერარქიის მიხედვით თუ ვიტყვით, საქართველოს გენერალური პროკურორით დაწყებული, ყველაზე ქვედა რგოლის სტაჟიორ-პროკურორით დამთავრებული. ამასთანავე, ერთდროულად შესაძლებელია, ერთი პროკურორი აწარმოებდეს გამოძიებას, ამის პარალელურად, საპროცესო ხელმძღვანელობას უწევდეს პროკურატურის თუ სხვა უწყების მიერ წარმოებული გამოძიების პროცესს და მხარს უჭერდეს სახელმწიფო ბრალდებას. აქვე უნდა დაკონკრეტდეს, რომ პროკურორი, რომელიც უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, ამ საქმეზე მხოლოდ გამომძიებლის უფლებამოსილებით სარგებლობს<sup>120</sup>, რაც იმას გულისხმობს, რომ პროკურორი მის წარმოებაში არსებული საქმის საპროცესო

---

<sup>119</sup> Recommendation CM/Rec(2010)12 of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities, Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies, paragraphs 26–29; Opinion No. 1(2001) of the Consultative Council of European Judges (CCJE), Strasbourg, 23 November 2001, par agraph 45; Opinion No. 10(2007) of the Consultative Council of European Judges (CCJE), Strasbourg, 23 November 2007; European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Independence of the Judicial System, Part I: the Independence of Judges (CDL-AD(2010)004), Adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session (Venice, 12-13 March 2010), Strasbourg, 16 March 2010, paragraph 32; European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on European Standards as regards the Independence of the Judicial System: Part II – The Prosecution Service (CDL-AD(2010)040), Adopted by the Venice Commission at its 85th plenary session (Venice, 17-18 December 2010), Strasbourg, 3 January 2011.

<sup>120</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 37, ნაწ. 1.

ხელმძღვანელი ვერ იქნება, მაგრამ აღნიშნული საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ იგი შეიძლება იყოს სახელმწიფო ბრალმძებელი. ამ საკითხზე დეტალურად ნაშრომის ძირითადი საკვლევი თემის ფარგლებში ქვემოთ ვიმსჯელებთ. პროკურორი არ და ვერ იქნება იმ საქმის გამომძიებელი, რომელზეც უშუალოდ ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას. ამასთანავე, შესაძლებელია იგი აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფო ბრალმძებელი იყოს.

გარდა ამისა, პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად შეიძლება განხორციელდეს თანამშრომელთა სპეციალიზაცია კონკრეტული მიმართულებით. მაგალითად, 2004–2007 წლებში საქართველოს გენერალური პროკურატურის სისტემაში დამოუკიდებელი დეპარტამენტის სტატუსით ფუნქციონირებდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახური, რომლის ძირითადი საქმიანობა იყო ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიება. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტში გამომძიებლის საშტატო ერთეული არ ყოფილა. გამოძიებას უშუალოდ აწარმოებდნენ დეპარტამენტის უფროსი პროკურორები და პროკურორები, რომლებიც ამის პარალელურად სამსახურის სხვა პროკურორების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ, აგრეთვე სასამართლოში მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ბრალდებას როგორც უშუალოდ მათ მიერ, ისე სხვა პროკურორების მიერ გამოძიებულ საქმეებზე<sup>121</sup>.

აქვე შევხვით საქართველოს გენერალური პროკურორის საპროცესო ფუნქციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემურ საკითხს. კერძოდ, კანონის მიხედვით, გენერალურ პროკურორს, რა თქმა უნდა, აქვს გამოძიების უფლება. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგამომძიებო მოქმედებაში ან უშუალოდ ჩაატაროს გამოძიება სრული მოცულობით. ამ შემთხვევაში უპასუხოდ რჩება კითხვა: რომელმა პროკურორმა უნდა გაუწიოს გენერალური პროკურორის წარმოებაში არსებულ საქმეს საპროცესო ხელმძღვანელობა? ასეთი შემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, შეგვიძლია

---

<sup>121</sup> „საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის (დეპარტამენტის) დებულების



დავასკვნათ, რომ გენერალური პროკურორის, როგორც საქმის გამომძიებლის, საპროცესო უფლებამოსილება ფორმალურია. ამასთანავე, ძნელი წარმოსადგენია, გენერალურ პროკურორს, მრავალი სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, დარჩეს დრო იმისთვის, რომ უშუალოდ გამოიძიოს სისხლის სამართლის საქმე, ან დადგეს ამის აუცილებლობა. განსაკუთრებით პრობლემური იქნება აგრეთვე გენერალური პროკურორის მიერ უშუალოდ სახელმწიფო ბრალდების განხორციელება, ვინაიდან ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმდებელს ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობა ესაჭიროება<sup>122</sup>, ხოლო საქართველოს გენერალურ პროკურორს, რა თქმა უნდა, არ ჰყავს ზემდგომი პროკურორი, ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ყველა პროკურორი მას ექვემდებარება. აღნიშნულ პრობლემატიკას დეტალურად შევხებით ამ პარაგრაფში.

საკვლევ თემასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების განხილვამდე აუცილებელია, შევხვით ზემდგომი პროკურორის სტატუსს. პირველ რიგში, გავარკვიოთ, ვინ შეიძლება იყოს ზემდგომი პროკურორი და რა უფლებამოსილება აქვს მას. ვინაიდან „ზემდგომ პროკურორს“ საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს, მოვიშველიებთ პრაქტიკას და შევეცდებით მისი სამსახურებრივი მდგომარეობა დამწყები იურისტებისთვის გასაგები გავხადოთ. კერძოდ, ზემდგომი პროკურორი არის ის პროკურორი, რომელიც ასრულებს სისხლისსამართლებრივ ფუნქციებს და, პარალელურად, მენეჯერის პოზიცია უკავია. მაგალითად, რაიონული პროკურატურის დონეზე ზემდგომი პროკურორები არიან რაიონული პროკურორი და მისი მოადგილე, საოლქო პროკურატურის დონეზე – საოლქო პროკურორი, მისი მოადგილე და სამმართველოს უფროსი, გენერალური პროკურატურის დონეზე – გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე, აგრეთვე დეპარტამენტის უფროსი და მისი მოადგილე და სამმართველოს უფროსი. ასევე შესაძლებელია, ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილების განხორციელება გენერალურმა პროკურორმა თავისი ბრძანებით სხვა დონის პროკურორს დაავალოს. აღნიშნულ

---

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №30, 25 ნოემბერი, 2005 წ., მუხ. 6.

<sup>122</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 1.

საკითხში უკეთ გასარკვევად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. კერძოდ, თუ რაიონული პროკურორის მოადგილე უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, საპროცესო ხელმძღვანელი იქნება რაიონული პროკურორი, ხოლო ზემდგომი პროკურორი – საოლქო პროკურორი ან მისი მოადგილე. ანალოგიურად, თუ გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, საპროცესო ხელმძღვანელი იქნება გენერალური პროკურორის მოადგილე, ხოლო ზემდგომი პროკურორი – გენერალური პროკურორი. ასევე, თუ რაიონული პროკურორის მოადგილე სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით სხვა პროკურორების ზემდგომი პროკურორია, მას არ ექნება უფლება, თანხმობა მისცეს საკუთარ გადაწყვეტილებას სასამართლოში ბრალდებაზე უარის თქმის დროს, და რაიონული პროკურორის თანხმობა დასჭირდება. ასევე, პროკურატურის დეპარტამენტის უფროსს, რომელიც სასამართლოში სახელმწიფო ბრალმძებლად გამოდის, ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში თავისი ზემდგომი პროკურორის – გენერალური პროკურორის მოადგილის თანხმობა დასჭირდება.

შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფო ბრალმძებელი არ იყოს პროკურორი? ეს შეუძლებელია, ვინაიდან სახელმწიფო ბრალმძებელი შეიძლება იყოს მხოლოდ პროკურორი, რომელიც სისხლისსამართლებრივ ფუნქციას ასრულებს. აქვე განვმარტავთ, რომ საქართველოს პროკურატურაში შესაძლებელია იყვნენ პროკურორები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ ფუნქციას არ ასრულებენ. მათში შეიძლება იგულისხმებოდნენ, მაგალითად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პროკურორები, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პროკურორები. აღნიშნულის საპირისპიროდ ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა, პროკურორი არ იყოს სახელმწიფო ბრალმძებელი? დიახ, ეს თეორიულად შესაძლებელია. ასეთი შემთხვევა იქნება, როდესაც პროკურორის ძირითადი საქმიანობაა, მაგალითად, ოპერატიულ-სამშობრო საქმიანობაზე ზედამხედველობა, თავისუფლებააღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების

დარღვევის ფაქტებზე რეაგირება და სხვა ფუნქციების შესრულება, როდესაც პროკურორს პრაქტიკულად არ ევალება და არც უწევს სახელმწიფო ბრალდების განხორციელება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის სასამართლო განხილვისთვის გადაგზავნა მხოლოდ პროკურორის კომპეტენციაა. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ის, ვინც ხელი მოაწერა პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილებას. მან შეიძლება ზემდგომ პროკურორთან ზეპირი კონსულტაციაც გაიაროს, მაგრამ საქმის სასამართლოში წარმართვის მართებულობის შესახებ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია ის პროკურორი, რომელიც ხელს აწერს დოკუმენტს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართვის თაობაზე.

ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის თანხმობის საკითხი პრობლემურად მიგვაჩნია, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, რომელშიც მითითებულია, რომ „სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს“<sup>123</sup>. შესაბამისად, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს მისთვის დამატებითი ფორმალური ბარიერის დაწესება – ბრალდებაზე უარის თქმისთვის ზემდგომი პროკურორის თანხმობის საჭიროება, ჩვენი აზრით, ხელს არ შეუწყობს სამართალწარმოების პროცესის დაჩქარებასა და გამარტივებას. გარდა ამისა, შედარებისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად პროკურორს ზემდგომი პროკურორის თანხმობა არ ესაჭიროება. მისი თანხმობა პროკურორს არც გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის თუ გამოძიების შესაწყვეტად სჭირდება. ვფიქრობთ, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება უფრო საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის

---

<sup>123</sup> იხ. იქვე, მუხ. 33, ნაწ. 2.

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით, რაშიც სახელმწიფო სრულად ენდო პროკურორს და დამატებითი ფორმალური საფეხურები არ დაუწესა. ამავდროულად, კანონმდებელი სახელმწიფო ბრალმდებელს არ ანდობს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას, რაც, თავის მხრივ, ასუსტებს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს სისხლის სამართლის პროცესში. იქნებ ამის შედეგიც არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს პროკურორები თავიანთ საქმიანობაში ამ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს პრაქტიკულად არ იყენებენ. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 2022 წლის 24 იანვარს №13/3054 წერილით მიღებული ინფორმაცია: „საქართველოს პროკურატურა 2021 წლიდან ახორციელებს ბრალდების მხარის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 2021 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლზე სახელმწიფო ბრალდებაზე უარი არ დაფიქსირებულა“<sup>124</sup>. შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „2021 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 14065 პირის მიმართ“<sup>125</sup>. მათგან 1842 საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი, მათ შორის, 1280 საქმეზე – სრულად გამამართლებელი, ხოლო 562 საქმეზე – ნაწილობრივ გამამართლებელი<sup>126</sup>. რა თქმა უნდა, საკუთრივ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა არ უნდა იყოს კრიტიკის საგანი, ვინაიდან ის ქვეყანაში დემოკრატიული ტენდენციების განვითარებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობაზე მეტყველებს. ამ მხრივ არც პროკურატურა უნდა გახდეს კრიტიკის ობიექტი, ვინაიდან გამამართლებელი განაჩენები განვითარებული ქვეყნების მართლმსაჯულების შემადგენელი აუცილებელი ნაწილია. მაგრამ აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ჩვენს საკვლევ თემასთან

---

<sup>124</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა 2011–2021 წლების სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში. წერილს პასუხი გასცა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა. ეს პასუხი გამოყენებულ იქნა ნაშრომში (იხ. დისერტაციის დამატებითი ნაწილი, დანართი #3, გვ. 255-256).

<sup>125</sup> საქართველოს პროკურატურის 2021 წლის ანგარიში, გვ. 19, <https://pog.gov.ge/uploads/fbe6749f-13-maisi-angarishi.pdf> (ბოლო ნახვა: 26.05.2023).

<sup>126</sup> იხ. იქვე, გვ. 22.

დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემაზე. კერძოდ, ძნელი იქნება იმ ფაქტის გათავისება, რომ სახელმწიფო ბრალმდებელს 1842 საქმიდან რამდენიმეზე მაინც არ ჰქონდა წინასწარი მოლოდინი და შინაგანი რწმენა, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა. ასეთ ვითარებაში ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: რატომ არ გამოიყენა მან დისკრეციული უფლებამოსილება და არ თქვა უარი ბრალდებაზე? ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ფაქტორის გარდა, ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტის არაეფექტიანობას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი, რომლებზეც დეტალურად კვლევის სხვა თავებში ვისაუბრებთ.

ზემდგომი პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების თანახელმოწერის თაობაზე დათქმა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას მემკვიდრეობით ერგო ჯერ კიდევ კომუნისტური პერიოდის საპროცესო კანონმდებლობისგან. ვ. მ. სავიციკი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც აღნიშნული დათქმა შემოგვთავაზა და ის მართებულად მიიჩნია<sup>127</sup>. შემდგომ იგი არაერთმა მეცნიერმა გაიზიარა<sup>128</sup>, თუმცა ჩვენ მათ ვერ დავეთანხმებით. ვიდრე ჩვენს დასაბუთებულ მოსაზრებას წარმოვადგენთ, განვიხილოთ ოპონენტების პოზიცია. ისინი თავიანთ პოზიციას ამყარებენ იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა შეიძლება პირადი მოტივით, ქვენა გრძნობით ან უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით თქვას უარი სახელმწიფო ბრალდებაზე და რომ კონტროლის მექანიზმი უნდა არსებობდეს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პროკურორის საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით ისედაც არის დაწესებული კონტროლის შიდა საუწყებო მექანიზმები (ასეთ მექანიზმად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია

---

<sup>127</sup> Савицкий В., Процессуальные последствия отказа прокурора от обвинения, Правоведение, 1972, № 1, с. 74.

<sup>128</sup> Алиқперов Х., Государственное обвинение: нужна реформа, Законность, 2000, №12, с. 4; Барабанов П., Реализация потерпевшим права на поддержание обвинения по делам публичного (частно-публичного) обвинения, Мировой судья, 2006, №4, с. 10; Голосова С., Проблема соблюдения прав потерпевшего в случае отказа прокурора от обвинения, Юрист, 2003, №8, с. 49; Кириллова Н., Институт поддержания обвинения в России и за рубежом: перспективы развития, Правоведение, 2003, №4, с. 152; Петраков С., Поляков М., Научные и практические доводы за право прокурора на отказ от обвинения, Уголовное судопроизводство, 2006, №4, с. 14; Щемеров С., Участие прокурора в

(დეპარტამენტი), მენეჯერი პროკურორის ინსტიტუტი), აგრეთვე კონტროლის გარე საუწყებო მექანიზმები (საქართველოს პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება, საგამოძიებო უწყებები, რომლებიც კორუფციის წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობას ახორციელებენ). რა თქმა უნდა, ჩვენს მოსაზრებასაც ეყოლება ოპონენტები, მაგრამ მტკიცედ მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე უარის თქმის დროს ზემდგომი პროკურორის თანხმობის მარეგულირებელი ჩანაწერი მოქმედ კანონმდებლობაში არსებული უსარგებლო და დაუსაბუთებელი ნორმაა. თუ საკითხს სხვა რაკურსით შევხედავთ და გავითვალისწინებთ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ საბჭოთა წყობა მსოფლიოს ერთ-ერთი კორუმპირებული მმართველობა იყო, ვფიქრობთ, საბჭოთა კანონმდებლობაში სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს ზემდგომი პროკურორის თანხმობის საჭიროება მართლაც განპირობებული იყო კორუფციული ასპექტებით, კერძოდ, სახელმწიფო ბრალმდებელი უნდა გაკონტროლებულიყო, რათა მის მიერ ქრთამის აღების შემთხვევაში ზემდგომ პროკურორს საკუთარი წილის დაუბრკოლებლად მიღება არ გასჭირვებოდა და სახელმწიფო ბრალმდებელზე ზემოქმედების ეფექტიანი მექანიზმი ჰქონოდა. ვეთანხმებით ცალკეულ ავტორთა მოსაზრებას, რომ ზემდგომი პროკურორის თანხმობის ფაქტორი ლახავს პროკურორის დამოუკიდებლობას და ეწინააღმდეგება კანონის ჩანაწერს, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს<sup>129</sup>. გარდა ამისა, თუ სასამართლო განხილვის დროს ობიექტურად დადგინდა, რომ ბრალდებულს არ ჩაუდენია ის დანაშაულებრივი ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც მას შეფარდებული აქვს აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და მიმდინარეობს მისი საქმის არსებითად განხილვა, სახელმწიფო ბრალმდებელს ბიუროკრატიული მიზეზით, კერძოდ, ზემდგომი პროკურორის თანხმობის არქონის გამო არ ექნება უფლება, უარი თქვას ბრალდებაზე საქმის განხილვის

---

стадии судебного разбирательства уголовного процесса, Автореф. дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, 2007, Нижний Новгород, с. 10.

<sup>129</sup> Землянухин А., Отказ от обвинения в системе уголовно-процессуальных актов, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Саратов, 2005, с. 71; Ягофаров Ф., Механизм реализации функции обвинения при рассмотрении дела судом первой инстанции, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Оренбург, 2003, с. 47.

დროს იმავე სასამართლო პროცესზე, რომელზედაც აშკარად გამოიკვეთა ბრალდებულის უდანაშაულობა. ასეთ შემთხვევაში პროკურორი თავისი პოზიციის დაფიქსირებას მხოლოდ შემდეგ სასამართლო სხდომაზე შეძლებს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ბრალდებული თუნდაც ერთი დღე კვლავ უკანონო პატიმრობაში დარჩება. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელსაც სახელმწიფო ენდო, რომ ღირსეულად ეტარებინა პროკურორის მუნდირი, თავისი განათლებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გამოცდილებითა და გამჭრიახობით აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც საჭიროა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მისაღებად, კერძოდ, იმ საქმეზე, რომლის დეტალებიც ბრალდების კუთხით მასზე უკეთ არავინ იცის. გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად ზემდგომი პროკურორის თანხმობას საჭიროებს, კარგავს კანონმდებლობით მინიჭებულ დამოუკიდებლობას, ასევე შესაძლებელია, აღნიშნულმა ფაქტორმა მასზე ნეგატიურად იმოქმედოს, კერძოდ, დაუქვეითოს პასუხისმგებლობის გრძნობა, მოუსპოს ინიციატივის გამოხატვის საშუალება და, როგორც ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს (მათ ჩვენც ვეთანხმებით), საერთოდ გაუქროს საქმეზე საკუთარი პოზიციის ქონის ამბიცია<sup>130</sup>, ვინაიდან იგი მიმდინარე საქმიანობის თაობაზე ისედაც მოახსენებს ზემდგომ პროკურორს და, შესაბამისად, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ინიცირებაც შეიძლება ქვეცნობიერად მას მიანდოს. სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელიც სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს, არის კონკრეტულ საქმეზე ყველაზე კომპეტენტური, მტკიცებულებებში გათვითცნობიერებული, ფაქტობრივი გარემოებების მცოდნე პროკურორი. შესაბამისად, ყველა სხვა პროკურორზე მეტად მას შეუძლია საქმეზე ობიექტური, სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილება მიიღოს. ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ, თუ სახელმწიფო ბრალმდებლის წესიერებას, კომპეტენტურობასა და სამართლიანობას მუდმივად ეჭვქვეშ დავაყენებთ, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ

---

<sup>130</sup> Корневский Ю., Государственное обвинение: какая нужна реформа? Законность, 2001, №4, с. 35.

ზემდგომი პროკურორისა და მთლიანად პროკურატურის სისტემის კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებაში<sup>131</sup>.

ამ მხრივ საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფო ბრალმდებლისა და მისი ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოსთვის წარდგენის შემდეგ შეცვალოს მათმა ხელმძღვანელმა პროკურორმა, მაგალითად, გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა, საოლქო პროკურორმა, გენერალური პროკურორის მოადგილემ ან თუნდაც გენერალურმა პროკურორმა. გადაწყვეტილების შეცვლის სამართლებრივ მექანიზმს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს, რაც, ერთი მხრივ, ადასტურებს კანონით რეგლამენტირებულ სახელმწიფო ბრალმდებლის დამოუკიდებლობის ფაქტს, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო ააშკარავებს საკითხში ზემდგომი პროკურორის საპროცესო ჩარევის უმართებულობას.

ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა განსაკუთრებით იქცევა ყურადღებას საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენერალურ პროკურორს ზემდგომი პროკურორი არ ჰყავს. შესაბამისად, თუ სასამართლო განხილვის სტადიაზე გენერალური პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, მივა დასკვნამდე, რომ ბრალდების მხარდაჭერის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები აღარ არსებობს, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ვერ გამოიყენებს მთავარი ბრალმდებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგან, მარტივად რომ ვთქვათ, ვერ მომეზნის ზემდგომ პროკურორს, რომელიც მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაეთანხმება. აქვე გამოვხემაურებით ოპონენტების სავარაუდო პოზიციას, რომ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ბრალმდებლის შეცვლა. ამაში მათ ნაწილობრივ დავეთანხმებით და აღვნიშნავთ, რომ სასამართლოში ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, ერთი სახელმწიფო ბრალმდებელი სხვა სახელმწიფო ბრალმდებლით შეიცვალოს. როგორც წესი, სხვა ბრალმდებლით ჩანაცვლდება სასამართლო პროცესზე გამომსვლელი

---

<sup>131</sup> იხ. იქვე.



ბრალმდებელი, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მივლინების, სხვა სამსახურში გადაყვანის ან, იშვიათი გამონაკლისის სახით, საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო. თუმცა გენერალური პროკურორის შემთხვევაში ასეთი ტექნიკური ჩანაცვლების განხორციელება, ვფიქრობთ, კვლავ პრობლემატური იქნება, ვინაიდან მის ქვემდგომ პროკურორს, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელს, და კანონით გათვალისწინებულ მის ზემდგომ პროკურორს მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში ისევ ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: ჰყავს თუ არა სახელმწიფო ბრალმდებელს ზემდგომი პროკურორი? მოქმედი კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელშიც ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის თანხმობაზეა საუბარი, აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის წინაპირობას ქმნის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩრდილი ადგება იმავე კანონმდებლობით გარანტირებულ სახელმწიფო ბრალმდებლის დამოუკიდებლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბრალმდებელს პროკურატურის სისტემაში უკავია გარკვეული თანამდებობა და ჰყავს რანგით ზემდგომი პროკურორი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის განხორციელების უზრუნველყოფის დროს ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად ბრალმდებელი არ უნდა იყოს შეზღუდული სხვა, თუნდაც რანგით მასზე ზემოთ მდგომი პროკურორის უფლებამოსილებით. აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული მოსაზრება არ გულისხმობს სახელმწიფო ბრალმდებლის პროკურატურის სისტემიდან განყენებას. ბრალმდებელს შეუძლია (და მიზანშეწონილიც არის) საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი რანგის პროკურორთან გაიაროს გარკვეული კონსულტაციები მიმდინარე საკითხებზე, თუ მიიჩნევს, რომ კონსულტაციები წაადგება მის მიერ მისაღები გადაწყვეტილების ჩამოყალიბებას და მას საკუთარი მოსაზრებების სისწორეში დაარწმუნებს.

განსახილველ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა საპროცესო ხელმძღვანელისა და მისი ზემდგომი პროკურორის სასამართლო განხილვაში ერთობლივად მონაწილეობის საკითხი. შესაძლებელია თუ არა, თანამდებობრივად ზემდგომი პროკურორი სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად სასამართლოში დაეთანხმოს

სახელმწიფო ბრალმდებლის გადაწყვეტილებას ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ? ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ბრალმდებელზე თანამდებობრივად ზემდგომი პროკურორი, რომელიც მასთან ერთად მონაწილეობს სასამართლო განხილვაში და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, კარგავს ზემდგომი პროკურორის სტატუსს, ვინაიდან უშუალოდ ახორციელებს კონკრეტულ საქმეზე ბრალდებას. შესაბამისად, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მას თავისი ზემდგომი პროკურორის თანხმობა დასჭირდება.

განხილულ საკითხზე დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით პროკურორს პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებამოსილება აქვს, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. ამასთანავე, სისხლის სამართლის სფეროში პროკურორის ძირითად უფლებებს ახორციელებენ და მის მოვალეობებს ასრულებენ ქვედა რგოლის პროკურორები, რომლებიც უშუალოდ იძიებენ სისხლის სამართლის საქმეს, ახორციელებენ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას და მხარს უჭერენ სახელმწიფო ბრალდებას. მიგვაჩნია, რომ ამ პროკურორებს უნდა მიეცეთ ყველა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობა და რომ მათთვის კანონის დონეზე რაიმე ფორმალური საფეხურების დაწესება ხელს შეუშლის სწრაფი, ყოველმხრივი და ობიექტური სამართალწარმოების განხორციელებას. სისხლის სამართლებრივი დევნის უშუალოდ განმახორციელებელი პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხს პირდაპირი კავშირი აქვს პროკურატურის სისტემისა და, შესაბამისად, ამ კუთხით სახელმწიფოს სიძლიერესთან. მიზანშეწონილია, აღნიშნული კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში გათავისუფლდეს ზემდგომი პროკურორის თანხმობის მიღების ვალდებულებისგან, რომელიც გათვალისწინებულია ამ საკითხის მარეგულირებელი მოქმედი ნორმით. ჩვენი აზრით, ეს გააძლიერებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს და ხელს შეუწყობს პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების დაუბრკოლებლად შესრულებას.

#### **§4. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გავლენა სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს**

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტი არის სასამართლო განხილვის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს ბრალდებულისა და საქმის ბედი სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული საკითხის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ საპროცესო ინსტიტუტის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტების გასარკვევად. თეორიულად, კანონი არ ზღუდავს პროკურორს, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოიყენოს, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ბრალდების მხარის ტაქტიკასთან, ხოლო მეორე მხრივ, – იმ სამართლებრივ შედეგებთან, რომლებიც ბრალდებაზე უარის თქმას მოაქვს სასამართლოსთვის, დაცვის მხარისთვის, დაზარალებულისა და პროცესის სხვა მონაწილეებისთვის.

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლო განხილვის დროს მიიღება, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ფაქტზე გამოძიება დასრულებულია, ხოლო პირის/პირების მიმართ შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე, დასაბუთებული სტანდარტის არსებობისას დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა<sup>132</sup>, კერძოდ, გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ<sup>133</sup>.

<sup>132</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 166.

<sup>133</sup> იხ. იქვე, მუხ. 169.

აღნიშნულ საკითხში უკეთ გასარკვევად თავდაპირველად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: სასამართლოს მიერ საქმის განხილვის რა ეტაპზე შეუძლია პროკურორს, ბრალდებაზე უარი თქვას? საკითხის დეტალურად შესწავლამდე და მეცნიერულად დამუშავებამდე ამ კითხვის ზოგადი ხასიათი იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ პროკურორი ვალდებულია ბრალდებაზე უარი თქვას საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, როდესაც იარსებებს ბრალდებაზე უარის თქმის დასაბუთების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველები, ამასთანავე, პროკურორის შინაგანი რწმენა შეიცვლება და მას ამ ბრალდებასთან დაკავშირებით დიამეტრულად განსხვავებული პოზიცია ჩამოუყალიბდება.

შეუძლია თუ არა პროკურორს, ბრალდებაზე უარის თქმის უფლება გამოიყენოს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დროს? მოქმედ კანონმდებლობაში ამის შესახებ ჩანაწერი არ არსებობს, თუმცა თეორიულად შესაძლებელია, ეს მოხდეს გამოძიების სტადიაზე დადებული საპროცესო შეთანხმების სასამართლოში განხილვის დროს, რაზეც დეტალურად ქვემოთ ვიმსჯელებთ. მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების სტადიაზე პროკურორი უფლებამოსილია სათანადო საფუძველების არსებობის შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს. ამ შემთხვევაშიც დევნა შეიძლება შეწყდეს მთლიანად ან ნაწილობრივ. გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას პირდაპირი კავშირი აქვს ბრალდების ფორმულირების შეცვლასთან, თუ სისხლისსამართლებრივი დევნა სრულად წყდება და უქმდება როგორც პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება, ისე ბრალდებულისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება. აღნიშნული საპროცესო მოქმედებების განხორციელება სასამართლოს თანხმობას არ საჭიროებს.

განვიხილოთ იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ გამოძიების სტადიაზე დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს პროკურორმა უარი თქვას ბრალდებაზე. აღნიშნული საკითხი ალბათ ოპონენტების მხრიდან სამართლიან კრიტიკას გამოიწვევს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ, ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური ნორმების არარსებობის მიუხედავად, მოქმედი

კანონმდებლობა ამის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ შესაძლებლობასაც იძლევა. აქვე მოკლედ შევეხებით საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში 2004 წელს დაინერგა. ამ ინსტიტუტის ამოქმედებას ქართულ სამეცნიერო წრეებში იმთავითვე ჰყავდა კრიტიკოსები, რომლებიც ბრალდებულის მიერ მხოლოდ ბრალის აღიარების საფუძველზე, საქმის არსებითად განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას სკეპტიკურად უყურებდნენ<sup>134</sup>. ამასთანავე, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ეფექტიანობისა და გამართულობის საბოლოოდ შესაფასებლად მისი პრაქტიკაში ინტეგრაციაც სახელდებოდა<sup>135</sup>. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, საქართველოს კანონმდებლობამ შეისისხლხორცა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და ის, როგორც სამართალწარმოების დაჩქარების ინსტრუმენტი, ხშირად გამოიყენება საქმის გამოძიების თუ სასამართლოში განხილვის დროს. მართალია, საპროცესო შეთანხმება, მისი არსიდან გამომდინარე, გამორიცხავს სისხლის სამართლის პროცესის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორც არის შეჯიბრებითობა<sup>136</sup>, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ფაქტორი ხელს არ შეუშლის, საპროცესო შეთანხმებით სასამართლოში შესულ საქმეზე ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმა მოუწიოს.

საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს როგორც გამოძიების სტადიაზე<sup>137</sup>, ისე სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დროს. თავის მხრივ, გამოძიების სტადიაზე პროკურორები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს პრაქტიკაში ხშირად იყენებენ, მათ შორის, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს<sup>138</sup>. აღნიშნული ტენდენცია შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობაზე ამერიკული სამართლის სისტემის გავლენად, რომელიც პროკურორს მართლმსაჯულების სისტემაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს

---

<sup>134</sup> მეფარიშვილი გ., სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუტები და სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 16.05.2002, №116.

<sup>135</sup> გაბრიჩიძე ნ., საპროცესო შეთანხმება, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004 წ., №2, გვ. 63.

<sup>136</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 106.

<sup>137</sup> ჭანტურიძე გ., საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბ., 2007 წ., გვ. 94.

<sup>138</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 213, ნაწ. 5.

აშშ-ის ფედერალური საქმეების 97% და შტატების იურისდიქციისთვის მიკუთვნებული საქმეების 95% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ 2,2 მილიონი ბრალდებულიდან 2 მილიონს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა<sup>139</sup>. გამოძიების სტადიაზე დადებულ საპროცესო შეთანხმებას პროკურორი მხარეთა მიერ საპროცესო შეთანხმების ოქმის ხელმოწერის შემდეგ შუამდგომლობით, აღნიშნულ ოქმთან ერთად სასამართლოს უგზავნის<sup>140</sup>. სასამართლო პროკურორის შუამდგომლობას და, შესაბამისად, საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. თავად საპროცესო შეთანხმების დადება და მისი სასამართლოში წარმართვა უკვე არის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის საფუძველი<sup>141</sup>. ეს, თავის მხრივ, შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერს, რომლის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმის უფლებით „ბრალდების მხარე სარგებლობს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე“, საპროცესო შეთანხმებისა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში შესვლიდან 15 დღის ვადაში<sup>142</sup>. აღნიშნული ჩანაწერი იმას გულისხმობს, რომ საპროცესო შეთანხმებით სასამართლოში წარმართულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მოსამართლემ შეიძლება 15 დღეზე ადრე ვერ გამოიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდებულის მიერ მისთვის წარდგენილი ბრალდების აღიარებას და პროკურორთან სასჯელზე შეთანხმებას გულისხმობს<sup>143</sup>, თეორიულად შესაძლებელია, აღნიშნულ პერიოდში ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ისეთი სამართლებრივი მოცემულობა დადგეს, რომ საქმეზე მხარეებმა მოიპოვონ მტკიცებულება ან მტკიცებულებები, რომელიც/რომლებიც ბრალდებულის უდანაშაულობაზე მიუთითებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული ელემენტები საქართველოს კანონმდებლობაში აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით დამკვიდრდა. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ

---

<sup>139</sup> იხ. იქვე, მუხ. 197, ნაწ. 1, ქვ. „ე“.

<sup>140</sup> Ross J. E., The Entrenched Position of Plea Bargaining in United States Legal Practice, American Journal of Comparative Law, Vol. 54, 2006, pp. 717-732.

<sup>141</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 211, ნაწ. 7.

<sup>142</sup> იხ. იქვე, მუხ. 213, ნაწ. 4.

<sup>143</sup> იხ. იქვე, მუხ. 209, ნაწ. 1.

აშშ-ში ბრალდებული და მისი დამცველი პოტენციურ გამამართლებელ მტკიცებულებებს ხშირად წარუდგენენ არა მოსამართლეს ან/და ნაფიც მსაჯულს, არამედ პროკურორს, რომელიც წყვეტს ბრალდებულის ბედს საპროცესო შეთანხმებაში ასახული ბრალდების ფორმულირებით<sup>144</sup>. აღნიშნული მიდგომის შედეგი იყო ის შემაშფოთებელი რეალობა, როდესაც უდანაშაულო პირები მკაცრი სასჯელის შიშით ხელს აწერდნენ პროკურორის სარფიან შეთავაზებას ბრალისა და სასჯელის ნაწილში. ამ პრობლემამ აშშ-ში თავი ადრეულ წლებში იჩინა. მას მოიხსენიებენ, როგორც *Bordenkircher coercion*-ს. ეს სახელწოდება წარმოიშვა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მითითებიდან საქმეზე *Bordenkircher vs Hayes*, რომელზეც ბრალდებულმა პროკურორთან 5-წლიან საპატიმრო სასჯელზე შეთანხმება არჩია, ვინაიდან დამნაშავედ ცნობის შეთხვევაში სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდა<sup>145</sup>. ასეთი ვითარება ამყარებს ჩვენს მოსაზრებას, რომ საპროცესო შეთანხმების ხელმომწერი ბრალდებულიც კი, რომელიც დამცველთან ერთად, მოსალოდნელი მკაცრი სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრებისგან თავის დაზღვევის მიზნით პროკურორს მისთვის მისაღებ სასჯელზე შეუთანხმდა, შეიძლება უდანაშაულო იყოს. პირის უდანაშაულობის დამადასტურებელი და საკმარისი მტკიცებულებების 15 დღის ვადაში მოპოვების შემთხვევაში, როდესაც პროკურორმა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობით უკვე მიმართა სასამართლოს, ხოლო სასამართლოს ჯერ არ განუხილავს საქმე ზეპირი მოსმენით, დღის წესრიგში დგება ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის საკითხი. ამასთანავე, ვინაიდან საქმე, თუნდაც ზეპირი მოსმენის გარეშე, სასამართლოს წარმოებაშია, კანონი პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის გამოყენების ნებას რთავს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით სტატისტიკას არც საქართველოს გენერალური პროკურატურა აწარმოებს და არც საქართველოს უზენაესი სასამართლო, რაც აფერხებს კონკრეტული საქმეების შესწავლას, და რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თბილისის საქალაქო

---

<sup>144</sup> Lynch G. E., *Screening Versus Plea Bargaining: Exactly What Are We Trading Off?*, *Stanford Law Review*, Vol. 55, 2003, pp. 1403-1404.

<sup>145</sup> Brown D. K., *American Prosecutors' Powers and Obligations in the Era of Plea Bargaining*. Erik Luna, Marianne L. Wade, *The Prosecutor in Transnational Perspective*, New York, Oxford University Press, 2012, pp. 206-209.

სასამართლოს წერილი<sup>146</sup>. რაც შეეხება ბრალდებაზე უარის თქმის ტექნიკურ ნაწილს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია პროკურორს, თავისი შეცვლილი პოზიციის შესახებ სასამართლოს აცნობოს, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბრალმძებელს ასეთი გადაწყვეტილების სასამართლოსთვის წარდგენა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის დროს შეუძლია<sup>147</sup>.

განვიხილოთ ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტის არსებობისას ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. ეს სტანდარტი გულისხმობს მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტს, რომელიც ეყრდნობა წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი<sup>148</sup>. წინასასამართლო სხდომის თარიღს განსაზღვრავს მაგისტრატი მოსამართლე მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სტადიაზე<sup>149</sup>, ხოლო მხარეები ვალდებული არიან ამ სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე მაინც ერთმანეთს გაუცვალონ და სასამართლოს მიაწოდონ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები<sup>150</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომაზე საქმე არსებითად არ განიხილება, მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია პროკურორს ამ სხდომაზე ბრალდებაზე უარის თქმა მოუწიოს 2, ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობის დადგომის შემთხვევაში. პირველი მათგანი შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულებების გაცვლის შემდეგ მხარეებს კონკრეტული საქმის სასამართლო პერსპექტივაზე უკვე ნათელი

---

<sup>146</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი პირის 2022 წლის 19 აგვისტოს №1-01152/30307 წერილით გვეცნობა შემდეგი: „ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებების სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. ამასთან, გამოთხოვილი ინფორმაციის მოცულობის გამო, მოთხოვნილი სახით მათი მოძიება/დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლოს რესურსს, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას“(იხ. დის. დამ. ნაწ. დან. #4, გვ. 257-258).

<sup>147</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 212.

<sup>148</sup> იხ. იქვე, მუხ. 3, ნაწ. 12.

<sup>149</sup> იხ. იქვე, მუხ. 208, ნაწ. 1.

<sup>150</sup> იხ. იქვე, მუხ. 83, ნაწ. 6, 7.



წარმოდგენა აქვთ. მტკიცებულებათა გაცვლის შემდეგ პროკურორმა შესაძლებელია დაცვის მხარისგან მიიღოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებს სრულად ან ნაწილობრივ ბრალდებულის უდანაშაულობას, რაც ხელს შეუწყობს პროკურორის შინაგანი რწმენის ტრანსფორმაციას და მას ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად განაწყობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი პროკურორები ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტს ძალზე ფრთხილად და იშვიათად იყენებენ. შესაბამისად, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებაზე უარის თქმის პრაქტიკული მაგალითის მოპოვება კვლევის პროცესში ვერ შევძელით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომა სასამართლო განხილვის ერთგვარი სახეა. მართალია, ამ ეტაპზე მოსამართლე მტკიცებულებებს შინაარსობრივად არ იკვლევს, მაგრამ იგი ამოწმებს მათი მოპოვებისა და საქმეზე დამაგრების სამართლებრივ გამართულობას. მიგვაჩნია, რომ პროკურორს უფლება აქვს, ბრალდებაზე უარის თქმის დისკრეციული უფლებამოსილება წინასასამართლო სხდომაზეც გამოიყენოს, ვინაიდან ამის ფორმალურ საფუძველს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ პირობებში, როდესაც კანონი წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს საქმის არსებითად განხილვისთვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტის ვალდებულებას უწესებს. მოსამართლე საქმეს არსებითად განხილვისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემს, თუ დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული იმ პირმა ჩაიდინა, რომელსაც ბრალად ერაჯება მისი ჩადენა<sup>151</sup>. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარის მტკიცებულებები საქმის არსებითად განხილვისთვის გადასაცემად საკმარის საფუძველს არ იძლევა? ასეთ შემთხვევაში მოსამართლე წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას<sup>152</sup>. ვფიქრობთ, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში პროკურორი არ უნდა დაელოდოს მოსამართლის მიერ

---

<sup>151</sup> იხ. იქვე, მუხ. 219, ნაწ. 5.

<sup>152</sup> იხ. იქვე, მუხ. 219, ნაწ. 6.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანას და თავადვე უნდა თქვას ბრალდებაზე უარი, რადგან მტკიცებულებების არარსებობა პროკურორისთვის აჩენს პოზიტიურ ვალდებულებას, კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.

მეორე სამართლებრივი მოცემულობა, რომელმაც პროკურორს უნდა შეუქმნას შინაგანი რწმენა, რომ მან ბრალდებაზე უარი თქვას, შესაძლებელია დადგეს ასევე წინასასამართლო სხდომის მსვლელობის დროს. კერძოდ, ამ სხდომაზე მოსამართლე წევრებს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს, რის შემდეგაც ამტკიცებს იმ მტკიცებულებათა ნუსხას, რომლებიც არსებითად უნდა იქნეს გამოკვლეული<sup>153</sup>. თუ აღმოჩნდება, რომ მოსამართლე დაუშვებლად ცნობს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს პირის მიმართ წარდგენილ ბრალდებას, ვფიქრობთ, სახელმწიფო ბრალმდებელი ვალდებული იქნება გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და ბრალდებაზე უარი თქვას, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს მართლმსაჯულების განხორციელებას, ვინაიდან წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა ისედაც გამოიწვევს მოსამართლის მიერ საქმეზე დევნის შეწყვეტას ან საქმის არსებითად განხილვის დროს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ის ნაწილიც კი, რომელიც წინასასამართლო სხდომაზე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილების გამოყენებას სკეპტიკურად უყურებს, ხშირად ახდენს აპელირებას კონკრეტულ მაგალითზე, კერძოდ, იმ გარემოებაზე, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს წინასასამართლო სხდომაზე. საუბარია ბრალდებულის შეურაცხაობაზე ასაკის გამო<sup>154</sup>. ამ დროს პროკურორი ბრალდებაზე უარს სავალდებულო წესით ამბობს<sup>155</sup>.

შესაბამისად, ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი შეიძლება

<sup>153</sup> იხ. იქვე, მუხ. 114, ნაწ. 14; მუხ. 219, ნაწ. 4, ქვ. „დ“; მუხ. 220, ქვ. „გ“.

<sup>154</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 33.

<sup>155</sup> კობალაძე პ., პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2002 წ., გვ. 108; Кириллова Н., Отказ государственного обвинителя от обвинения, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Санкт-Петербург, 2007, с. 18.

მხოლოდ მას შემდეგ გამოიყენოს, რაც სასამართლოში სრულყოფილად იქნება გამოკვლეული მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დასრულდება ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის კამათი<sup>156</sup>. ჩვენი აზრით, აღნიშნული პოზიციის პრაქტიკაში განხორციელება პროცესს უსაფუძვლოდ გააჭიანურებს, რაც დააზარალებს მართლმსაჯულების პროცესს და მხარეთა კანონიერ ინტერესებს.

განვიხილოთ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობისას ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ის სამეცნიერო წრეებში კამათის საგნად პრაქტიკულად არ ქცეულა და მიჩნეულია ერთგვარ კლასიკურ სტადიად, როდესაც პროკურორს შეუძლია შეუფერხებლად გამოიყენოს ბრალდებაზე უარის თქმის უფლება სათანადო ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისა და შინაგანი რწმენის ტრანსფორმაციის შემთხვევაში.

საკუთრივ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გულისხმობს მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტს, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში<sup>157</sup>. სწორედ ასეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი<sup>158</sup>. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დასაბუთებულობის უმაღლესი სტანდარტია. შესაბამისად, პროკურორები ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს ყველაზე ხშირად სასამართლო განხილვის აღნიშნულ სტადიაზე იყენებენ. თამამად შეგვიძლია, ამ ეტაპს სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის კლასიკური ეტაპი ვუწოდოთ.

თავის მხრივ, საქმის არსებითად განხილვის დროს შეიძლება არსებობდეს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის 2 ვარიანტი: 1. ბრალდებაზე უარის თქმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში; 2. ბრალდებაზე უარის თქმა

---

<sup>156</sup> კობალაძე პ., პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2002 წ., გვ. 109; ფალიაშვილი ა., საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბ., 1970 წ., გვ. 194; Петраков С., Поляков М., Научные и практические доводы за право прокурора на отказ от обвинения, Уголовное судопроизводство, 2006, №4, с. 14.

<sup>157</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 3, ნაწ. 13.

<sup>158</sup> იხ. იქვე, მუხ. 82, ნაწ. 3.

მოსამართლის ან სასამართლო კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განხილვის დროს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ კონკრეტული ბრალდების წარდგენისას, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით<sup>159</sup>. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლია როგორც შესავალი სიტყვის წარდგენის<sup>160</sup>, ისე მტკიცებულებათა გამოკვლევის<sup>161</sup>, მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების<sup>162</sup> და დასკვნითი სიტყვის წარდგენის დროს<sup>163</sup>. თავის მხრივ, ბრალდებაზე უარის თქმის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები პროკურორისთვის შესაძლებელია ცნობილი გახდეს ჩვენ მიერ აღნიშნულ ნებისმიერ სტადიაზე, რაც მას არ უნდა აფერხებდეს, მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება. კერძოდ, ვფიქრობთ, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პროკურორი არ უნდა დაელოდოს მტკიცებულებათა სრულყოფილად გამოკვლევას იმ იმედით, რომ სასამართლო ან/და ნაფიცი მსაჯულები ბრალდებულის გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოიტანს/გამოიტანენ. მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე უარის თქმა არის პროკურორის ისეთივე პირდაპირი მოვალეობა, როგორც თუნდაც ბრალდების მხარდაჭერა. ამიტომ პროკურორისთვის მთავარი არ უნდა იყოს სასამართლო სხდომის რომელიმე კონკრეტული ეტაპის გავლა ან ასეთი ეტაპის დადგომა. მან დროულად, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და უნდა წარუდგინოს ის სასამართლოს, რაც დააჩქარებს მართლმსაჯულების განხორციელებას და დაიცავს პროცესის მონაწილეთა კანონიერ ინტერესებს, აგრეთვე დაზოგავს ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს პირველი ინსტანციის სასამართლოში. მისი მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში<sup>164</sup>. შეუძლია თუ არა პროკურორს,

---

<sup>159</sup> იხ. იქვე, მუხ. 226, ნაწ. 1.

<sup>160</sup> იხ. იქვე, მუხ. 241, ნაწ. 1.

<sup>161</sup> იხ. იქვე, მუხ. 242.

<sup>162</sup> იხ. იქვე, მუხ. 249.

<sup>163</sup> იხ. იქვე, მუხ. 251.

<sup>164</sup> იხ. იქვე, მუხ. 266, ნაწ. 2.

ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება წარადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული განაჩენის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს? მიგვაჩნია, რომ ამის ფორმალურ შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ის სახელმწიფო ბრალმდებელს საშუალებას აძლევს, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში წარადგინოს პოზიცია, რომელიც ბრალდებაზე უარის თქმას ითვალისწინებს. შესაძლებელია ჩვენი მოსაზრება ოპონენტების მხრიდან კრიტიკის ობიექტი გახდეს და ნაფიც მსაჯულთა გამამტყუნებელი ვერდიქტის განხილვის სტადიაზე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობა არამართებულად იქნეს აღქმული, ვინაიდან, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, ან მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, ან ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა, ან განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს, ან განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო მოქმედი საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს, საქმე არსებითად განსახილველად უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხვა შემადგენლობას<sup>165</sup>, რა დროსაც პროკურორს ექნება ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში პროკურორს ცალსახად ექნება უფლებამოსილება, ბრალდებაზე უარის თქმის უფლება გამოიყენოს, მაგრამ ეს იქნება ერთგვარი შემოვლითი გზა, რომელიც გამოიწვევს პროცესის გაჭიანურებას, მაშინ, როდესაც პროკურორს კანონი არ უკრძალავს, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი სააპელაციო სასამართლოში ამოქმედოს, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარემ ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის დროს უკანონო გადაწყვეტილება მიიღო ან/და სწორედ სააპელაციო

---

<sup>165</sup> იხ. იქვე, მუხ. 266, ნაწ. 3.

საჩივრის განხილვის სტადიაზე გახდა ცნობილი პროკურორისთვის იმ უტყუარ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს ბრალდებულის უდანაშაულობას წარდგენილ ბრალდებაში.

რაც შეეხება მოსამართლის ან სასამართლო კოლეგიის მიერ საქმის არსებითად განხილვის დროს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლო ეტაპებს, აქაც უნდა გამოიყოს შესავალი სიტყვის წარდგენის, მტკიცებულებათა გამოკვლევის, მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულებისა და დასკვნითი სიტყვების წარდგენის სტადიები. ამასთანავე, კანონი პროკურორს უფლებას აძლევს, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენოს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვის დროს, გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა<sup>166</sup>.

ჩვენ თელავის რაიონულ სასამართლოში მოვიძიეთ პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის 3 ფაქტი, რომელთაგან 1 მოხდა 2021 წელს, ხოლო 2 – 2022 წელს. სამივე შემთხვევაში პროკურორმა ბრალდებაზე სრულად თქვა უარი პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, რომელსაც მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავდა. მათგან 2 შემთხვევა გამოწვეული იყო ბრალდებულის გარდაცვალებით, ხოლო 1 შემთხვევა – სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით<sup>167</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმის არსებითად განხილვის დროს სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის საკითხს აქტუალურობას სძენს შემდეგი გარემოება: გამოძიების პროცესში მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებები სასამართლოში გამოკვლევის დროს გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. მარტივად რომ ვთქვათ, მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდება სიღრმისეულად, ზეპირი მოსმენით, როდესაც მხარეებს ეძლევათ თავიანთი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობა, მაგალითად, მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის, ექსპერტის მის მიერ გაცემულ დასკვნასთან დაკავშირებით დაკითხვის დროს. შესაბამისად, ახალი და მიუკერძოებელი კვლევის შედეგად მტკიცებულებები

<sup>166</sup> იხ. იქვე, მუხ. 250, ნაწ. 2.

<sup>167</sup> თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 აგვისტოს №532 წერილი და მისთვის დართული განჩინებები №1/18-20, №1/196-19 და №1/61-22 საქმეებზე (იხ. დანართი #2, გვ. 243-254).

შეიძლება უფრო სრულად იქნეს წარდგენილი. ამ პირობებში მტკიცებულებათა გამოკვლევის ზეპირი და უშუალო ფორმა იძლევა მათი საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან შედარების შესაძლებლობას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების არასანდოდ მიჩნევა და გაბათილება გამოიწვიოს. საბოლოო ჯამში, აღნიშნული პროცედურები ხელს უწყობს როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზი, თავის მხრივ, სათანადო საფუძვლების არსებობის დროს სახელმწიფო ბრალმძებლის პოზიციის ტრანსფორმაციისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის და მას ობიექტურად განაწყოებს ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

## **§5. სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის**

### **სამართლებრივ პროცედურაში პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბრალმძებელი პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია და ცალკეულ საკითხებს შინაგანი რწმენით წყვეტს, მათ შორის, ბრალდებაზე უარს ამბობს სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე, მან შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესის სხვა მონაწილეებთან გარკვეული კონსულტაციებიც გაიაროს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც საქმეს გამოძიებიდან სასამართლოში ერთი პროკურორი წარმართავს, ხოლო სახელმწიფო ბრალდებას სხვა პროკურორი ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბრალმძებელმა შინაგანი რწმენის გასამყარებლად გარკვეული კონსულტაციები გაიაროს აგრეთვე საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელ პროკურორთან, რომელმაც საქმე სასამართლო განხილვისთვის გადააგზავნა. ამ დროს განხილული და შეფასებული უნდა იქნეს ის პრობლემები და წინააღმდეგობები, რომლებიც თან

ახლავს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს, და მოხდეს არსებული ვითარების შედარება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს არსებულ ვითარებასთან. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება ამ მხრივ წარმოებულ დისკუსიაში საქმის გამომძიებლის/გამომძიებლების ჩართვაც, რათა პრობლემები უკეთ იქნეს იდენტიფიცირებული, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბრალდებაზე უარის თქმამდე პროკურორმა კონსულტაციები გაიაროს დაზარალებულთან (მისი არსებობის შემთხვევაში). ეს, ერთი მხრივ, დაზარალებულს შეამზადებს პროკურორის მოსალოდნელი გადაწყვეტილებისთვის, რის შედეგადაც მისთვის სასამართლო სხდომაზე ბრალდებაზე უარის მოსმენა სიურპრიზი არ იქნება, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ბრალმდებლისთვის საინტერესო და გასათვალისწინებელი უნდა იყოს აგრეთვე დაზარალებულის პოზიცია მის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კონსულტაციები მოქმედი კანონმდებლობით არ რეგულირდება და, შესაბამისად, პროკურორმა ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამ ურთიერთობის კანონმდებლობით მოწესრიგება, მოლაპარაკებების შედეგების მიუხედავად, წაადგება პრობლემის გადაჭრას.

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის გამოყენება ყველაზე ხელსაყრელ პირობებში დაცვის მხარეს აყენებს. შესაბამისად, პროკურორის ასეთი გადაწყვეტილება ბრალმდებლისა და მისი ადვოკატისთვის ყოველთვის მისაღები და სასურველია.

მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განსაკუთრებით პრობლემურია ბრალდებაზე უარის თქმის დროს დაზარალებულის უფლებამოსილების საკითხი, რომელსაც დეტალურად შევხებით ამ პარაგრაფში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, დაზარალებულებს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას გარკვეული უფლებები და მოვალეობები აქვთ. კერძოდ, დაზარალებულებს პროცესის მონაწილეები თანაგრძნობით უნდა მოეპყრან და მათ ღირსებას პატივი უნდა



სცენ<sup>168</sup>. უზრუნველყოფილი უნდა იყოს აგრეთვე დაზარალებულების გამოძიებაში ჩართულობა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად<sup>169</sup>. დაზარალებულებს უფლება აქვთ, მათი მოსაზრებები და პოზიციები წარმოდგენილ და განხილულ იქნეს სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, ისე, რომ ამ უფლების რეალიზების დროს არ მოხდეს ბრალდებულის უფლებების ხელყოფა. ამასთანავე, ისინი უნდა მოიქცნენ ეროვნული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის შესაბამისად<sup>170</sup>. დაზარალებულებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მათ უფლება-მოვალეობებს, საქმის მიმდინარეობას, მასში არსებულ მტკიცებულებებს, საპროცესო ვადებს, განსაკუთრებით – მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ბრალდებების საქმეებზე<sup>171</sup>. დაზარალებულებს ასევე აქვთ უფლება, იცოდნენ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, მიმდინარეობის ან დევნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე<sup>172</sup>, გასაჩივრების ან გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე<sup>173</sup> და ხელი მიუწვდებოდეთ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე<sup>174</sup>.

სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში დაზარალებულის მონაწილეობა დღემდე დისკუსიის საგანია. აუცილებელია, გამოძიებამ,

---

<sup>168</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის A/RES/40/34 რეზოლუციით მიღებული დეკლარაცია „დანაშაულისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“, პ. 4.

<sup>169</sup> Hugh Jordan v the United Kingdom, №24746/94, The European Court of Human Rights, 04.05.2001, art. 109.

<sup>170</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის A/RES/40/34 რეზოლუციით მიღებული დეკლარაცია „დანაშაულისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“, პ. 6(b); გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2005 წლის 22 ივლისის 2005/20 რეზოლუციით მიღებული „მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე“, პ. 21.

<sup>171</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის A/RES/40/34 რეზოლუციით მიღებული დეკლარაცია „დანაშაულისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“, პ. 5 და 6(a); გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 2005 წლის 22 ივლისის 2005/20 რეზოლუციით მიღებული „მართლმსაჯულების სახელმძღვანელო მითითებები დანაშაულის არასრულწლოვან მსხვერპლთა და მოწმეთა საკითხებზე“, პ. 19.

<sup>172</sup> Kelly and Others v the United Kingdom, №30054/96, The European Court of Human Rights, 04.08.2001, art. 118, 136.

<sup>173</sup> Gorou v Greece, №12686/03, The European Court of Human Rights, 20.05.2009, art. 37–42.

<sup>174</sup> Öğür v Turkey, №21594/93, The European Court of Human Rights, 20.05.1999, art. 92.

პროკურატურამ თუ სასამართლომ განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს დაზარალებულის პოზიციის, აგრეთვე მისი მოთხოვნების შესწავლას, რაც, თავის მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების ყოველმხრივი და ობიექტური შესწავლის საფუძველი გახდება. ეს ურთიერთკავშირი აუცილებელია იმ ბალანსისთვისაც, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად შესწავლას, ხოლო მეორე მხრივ, – დაზარალებულზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას, რაც მხარეებსა და მოსამართლეს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების საერთო ანალიზის დროს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვან საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული დაზარალებულის პოზიცია სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად<sup>175</sup>. საქართველოს ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება<sup>176</sup>.

სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა ბრალდების მხარის პირდაპირი მოვალეობაა. სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში პროკურორი ახორციელებს. მოქმედი საპროცესო კოდექსით, დაზარალებული აღარ წარმოადგენს ბრალდების მხარეს<sup>177</sup>. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: უნდა იყოს თუ არა დაზარალებული ბრალდების მხარე და რა შედეგები მოიტანა ამ მხრივ ახალი საპროცესო კოდექსით განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლითაც დაზარალებული ამოირიცხა ბრალდების მხარის შემადგენლობიდან?

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებას პროკურორი ახორციელებს და, თუ საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ პირისთვის წარდგენილი ბრალი მთლიანად ან ნაწილობრივ არ დასტურდება სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით,

<sup>175</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 3, ნაწ. 22.

<sup>176</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 31, ნაწ. 1.

<sup>177</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 3, ნაწ. 6.

იგი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც წესი, სასამართლო განხილვის ან დასკვნითი სიტყვების წარდგენის სტადიაზე მიიღება. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს პროკურორის მოსაზრებას. საკითხი, რამდენად არის ამ შემთხვევაში დაცული დაზარალებულის კონსტიტუციური უფლება სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფაზე და შეესაბამება თუ არა ის საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლს, დღესდღეობით აქტუალურია და მის მიმართ ერთიანი მიდგომა არ არსებობს.

ჩვენი აზრით, თუ დაზარალებულისა და სახელმწიფო ბრალმძებლის პოზიციები სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში განსხვავებულია, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს კანონით გარანტირებული გასაჩივრების უფლება, კერძოდ, მას უნდა შეეძლოს, სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივროს. ამ მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია „სისხლის სამართლისა და პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“, რომლის მიხედვით, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის თქმის ნაწილში<sup>178</sup>.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა გულისხმობს აგრეთვე მხარეთა უფლებას, თავიანთი პოზიციები განსახილველად წარუდგინონ სასამართლოს.

აღნიშნული საკითხი რეგლამენტირებულია აგრეთვე საერთაშორისო კანონმდებლობით. კერძოდ, საერთაშორისო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ პირს უფლება აქვს, დარღვეული უფლებების სანაცვლოდ მყისიერად მიიღოს კომპენსაცია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე,

---

<sup>178</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(85)11 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სისხლის სამართლისა და პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ, 28 ივნისი, 1985 წელი.

დაზარალებულს უნდა შეეძლოს, სწრაფად მიიღოს ზიანის ანაზღაურება როგორც რესტიტუციის, ისე კომპენსაციის თვალსაზრისით<sup>179</sup>.

მოქმედი საპროცესო კოდექსის VII თავი კონკრეტულად დაზარალებულის ინსტიტუტს ეხება და შეიცავს დებულებებს დაზარალებულის სტატუსისა და უფლებების შესახებ, საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი სხვადასხვა უფლების გათვალისწინებით. პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. საქმეზე სათანადო მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას მას გამოაქვს პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე დადგენილება როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. ამასთანავე, თუ ზემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში<sup>180</sup>. მოქმედი საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია დაზარალებულის უფლება, *inter alia*, იცოდეს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების არსი, მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღწა, უფასოდ მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები, მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება და სხვა<sup>181</sup>. ამასთანავე, კოდექსის თანახმად, პროკურორი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს დაზარალებულს საქმეზე მიმდინარე გამოძიების დეტალები, კერძოდ, ბრალდებულისთვის ბრალდების წარდგენის, სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენისა და სასამართლო განხილვების შესახებ, აგრეთვე მიაწოდოს

<sup>179</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის A/RES/40/34 რეზოლუციით მიღებული დეკლარაცია „დანაშაულისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“, პ. 4.

<sup>180</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 56, ნაწ. 5-6.

<sup>181</sup> იხ. იქვე, მუხ. 57, ნაწ. 1.

ინფორმაცია საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე და მოისმინოს მისი პოზიცია<sup>182</sup>. პირის მიმართ განრიდების გამოყენების შემთხვევაში პროკურორს აქვს საპროცესო ვალდებულება, კონსულტაცია გაიაროს საქმეზე დაზარალებულად ცნობილ პირთან (მისი არსებობის შემთხვევაში)<sup>183</sup>.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნები, ევროკავშირი და ევროპის საბჭო დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნული სისხლის სამართლის საპროცესო სისტემების ჰარმონიზაციის საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება დაზარალებულის უფლებამოსილების შესახებ. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობით დაზარალებულის ინსტიტუტის ნებისმიერი დისკრიმინაცია აკრძალულია და არავის არ აქვს მისთვის ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვის უფლება. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა დაზარალებული და რა უფლებები აქვს მას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, საერთაშორისო ხედვა და ზოგიერთი კონვენცია უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობით რეგლამენტირებული უფლებები<sup>184</sup>. შესაბამისად, ეს საკითხი პრობლემური და საყურადღებოა ჩვენი სადისერტაციო კვლევის ქრილში.

დაზარალებულის უფლებების დაცვის მიზნით ჩამოყალიბებული ევროპული მიდგომები ითვალისწინებს ისეთ მინიმალურ სტანდარტებს, როგორც არის დაზარალებულის დაშვება მართლმსაჯულების განხორციელებაში და მისი უფლება კომპენსაციაზე<sup>185</sup>. თავის მხრივ, დაზარალებულის დაშვება მართლმსაჯულების განხორციელებაში გულისხმობს მისი უფლებების რეალიზებას ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს მის სამართლებრივ მდგომარეობასთან, რაც დაზარალებულს როგორც მის მიმართ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მოცულობაზე, შინაარსსა და ხარისხზე, ისე საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების სახესა და მოსალოდნელ შედეგებზე გარკვეულ, ობიექტურ წარმოდგენას შეუქმნის, აღნიშნული კი დაკავშირებულია დაზარალებულისთვის გადასახდელი

---

<sup>182</sup> იხ. იქვე, მუხ. 58.

<sup>183</sup> იხ. იქვე, მუხ. 168<sup>1</sup> და მუხ. 168<sup>2</sup>, ნაწ. 3.

<sup>184</sup> Case 203/80, Criminal proceedings against Guerrino Casati, Judgment of the Court of 11 November 1981, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61980CJ0203>, p. 261.

<sup>185</sup> Victims – Support and Assistance, 2nd edition, Strasbourg, Council of Europe Publishing, 2007, p. 204.

კომპენსაციის საკითხის გადაწყვეტასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, დაზარალებულის უფლებების რეალიზებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რაზეც მეტყველებს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის №5026-IX კანონით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაზარალებულის უფლებების რეალიზების საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს და მიუთითებს, რომ მასთან დაკავშირებით ეროვნულმა სასამართლოებმა დაზარალებულის უფლებების კუთხით ევროკავშირის მიდგომები უნდა გაითვალისწინონ<sup>186</sup>.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულთა უფლებების დაცვის კუთხით ევროკომისიამ (EC) 2001 წელს შეიმუშავა და გამოსცა მწვანე წიგნი დანაშაულის მსხვერპლთათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ<sup>187</sup>, რომელშიც წარმოდგენილია დაზარალებულთა ფუნდამენტური უფლებები და მათი რეალიზების საკითხები, აგრეთვე დაზარალებულთა დარღვეული უფლებების აღდგენისა და მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მექანიზმი. აღნიშნულმა დოკუმენტმა ევროპის სახელმწიფოებს მისცა ერთგვარი იმპულსი, რათა დაეწყოთ კონსულტაციები დაზარალებულთა უფლებების დაცვის კუთხით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობების ჰარმონიზაციისთვის, რაც, გარდა აღნიშნულისა, გაზრდის დაზარალებულების უფლებამოსილებას და ხელს შეუწყობს მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას<sup>188</sup>.

მწვანე წიგნში მოცემულია „ტრანსსასაზღვრო დაზარალებულის“ დეფინიცია<sup>189</sup>, რომელშიც იგულისხმება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ის მოქალაქე, რომელიც საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს შეიძლება დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი გახდეს. ასეთი რეალობა საქართველოში

---

<sup>186</sup> Case C-105/03, Criminal proceedings against Maria Pupino, 2005, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62003CJ0105>, p. 386.

<sup>187</sup> Green paper - Compensation to crime victims, Brussels, 28.09.2001.

<sup>188</sup> Letschert R., Staiger I., Pemberton A. (Editors), Assisting Victims of Terrorism: Towards a European Standard of Justice, Springer - Dordrecht, Haidelberg, London, New York, 2010, p. 224.

<sup>189</sup> Van Duyne P. C., Ruggiero V., Scheinost M., Valkenburg W., Cross-Border Crime in a Changing Europe, Huntington, New York: Nova Science Publishers, Inc., 2001, p. 59.

მაშინ შეიქმნება, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ საქართველოში ჩადენილი იქნება დანაშაული, რაც ამ მხრივ ქართულ მართლმსაჯულებას საერთაშორისო ასპარეზზე პრობლემებს შეუქმნის, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღნიშნული კუთხით ევროპულ საპროცესო კანონმდებლობასთან სრულად სინქრონიზებული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა, რომელსაც საფუძველი 1996 წელს ჩაეყარა<sup>190</sup>, ბოლო წლებში გაღრმავდა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება 2016 წლის ივლისში ძალაში შევიდა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის განუყოფელი ნაწილია ეროვნული მართლმსაჯულების სისტემისა და კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ ფონზე გასათვალისწინებელია ევროპული მიდგომები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიმართ, მათ შორის, დაზარალებულის ინსტიტუტის სათანადო საკანონმდებლო რეგლამენტაცია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მწვანე წიგნი იძლევა რეკომენდაციებს არა მარტო კანონმდებლობაში ახალი ნორმების დანერგვის, არამედ აგრეთვე არსებული წესების რეფორმირების კუთხით, რაც შესაძლებელს გახდის არსებული მექანიზმების სრულყოფას<sup>191</sup>. გარდა ამისა, დაზარალებულის უფლებების გაზრდის მიზნით 2011 წელს სტოკჰოლმის პროგრამის ფარგლებში გამოიცა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებათა გზამკვლევი<sup>192</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობაში აისახოს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის სტატუსისთვის დაწესებული ევროპული სტანდარტები, მათ შორის, დებულება პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ

---

<sup>190</sup> ევროკავშირი და საქართველო, შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (22 აპრილი, 1996 წ.), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0> (ბოლო ნახვა: 04.03.2022).

<sup>191</sup> Newburn T., Crime & Criminal Justice Police, Second edition, Essex, Pearson education Limited, 2003, p. 142.

<sup>192</sup> Resolution of the Council of 10 June 2011 on a Roadmap for strengthening the rights and protection of victims, in particular in criminal proceedings (2011/C 187/01), pp. 1–5.

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დაზარალებულთან კონსულტაციის სავალდებულო წესით გავლის თაობაზე. რა თქმა უნდა, ცალკე მსჯელობის საგანია, უნდა იმოქმედოს თუ არა სახელმწიფო ბრალმდებლის აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დაზარალებულის პოზიციამ. ამ მხრივ უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური ჭეშმარიტება, რომ დაზარალებული სისხლის სამართლის საქმეზე პროცესის დაინტერესებული სუბიექტია და ხშირად აქვს სუბიექტური დამოკიდებულება ბრალდებულის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და დამდგარი შედეგების, აგრეთვე საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების მიმართ. შესაბამისად, ძნელი იქნება ისეთი დაზარალებულის პოვნა, რომელიც მიესალმება პროკურორის გადაწყვეტილებას, უარი თქვას სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდების სრულად ან თუნდაც ნაწილობრივ განხორციელებაზე. ამასთანავე, ცალსახად ვეთანხმებით მეცნიერების – ი. ჩხეიძის, დ. კარიაულის, მ. მენტიუკოვას, ა. შილკინას, გ. ტრეტიაკოვის, ა. ფომენკოს, აგრეთვე წმინდა ლუისის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორის, სტივენ თამანისა და გლაზგოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორის, ჯიმ მერდოკის პოზიციას, რომ საჭიროა, დაზარალებულის უფლებები რეალიზებულ იქნეს ევროპული მიდგომების შესაბამისად და მას მიეცეს უფლება, იყოს ინფორმირებული, მიიღოს ზომები, იყოს ჩართული პროცესში და გაასაჩივროს პროკურორის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც, დაზარალებულის აზრით, კანონსაწინააღმდეგოა. ამასთანავე, აუცილებელია, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს პროკურორმა კონსულტაციები გაიაროს დაზარალებულთან ან მის უფლებამონაცვლესთან<sup>193</sup>. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებასაც აქვს

---

<sup>193</sup> ჩხეიძე ი., დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(37)13, გვ. 122-123; კარიაული დ., დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29)11, გვ. 141; Ментюкова М., Шилкина А., Учет мнения потерпевшего при отказе государственного обвинителя от предъявленного обвинения, „Science Time“, 2016, №1(25), с. 328–330; Третьяков Г., Переговорные процессы при отказе государственного обвинителя от обвинения, Борьба с преступностью: теория и практика, Тезисы докладов IX Международной научно-практической конференции, Могилев, 23 апреля 2021 года, с. 209–211; Фоменко А., К вопросу о необходимости учета мнения потерпевшего в случае отказа прокурора от поддержания обвинения в суде, Пробелы в российском законодательстве, №2, 2011; თამანი ს., მერდოკი ჯ., ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის



თავისი უარყოფითი მხარეები. ვინაიდან დაზარალებული პროცესის სუბიექტური და დაინტერესებული მხარეა, მისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც ხელს შეუშლის პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამასთანავე, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ან სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს მასზე არანაირი სუბიექტური ფაქტორი (დაზარალებულის კანონთან შეუსაბამო პოზიცია, არასწორად ფორმულირებული საზოგადოებრივი აზრი, სახელმწიფოს არამართლზომიერი გავლენა და სხვა) არ უნდა მოქმედებდეს.

## **§6. განსხვავება სახელმწიფო ბრალდებაზე ნაწილობრივ და სრულად უარის თქმას შორის**

მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ანუ ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ თქვას უარი<sup>194</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ბრალდებაზე უარის თქმის 2 სახე – სრული და ნაწილობრივი.

თავდაპირველად განვიხილოთ ბრალდებაზე სრულად უარის თქმასა და ნაწილობრივ უარის თქმას შორის მსგავსება. ორივე გადაწყვეტილება სასამართლო განხილვის სტადიაზე, განაჩენის გამოტანამდე მიიღება. მათი მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებელს. აღნიშნული გადაწყვეტილებები ზემდგომი პროკურორის თანხმობას საჭიროებს. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ზემდგომი პროკურორის თანხმობით ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმა იწვევს სასამართლოს მიერ კონკრეტული პირის მიმართ ბრალდებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სავალდებულო წესით, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონი არ უშვებს ბრალდებაზე უარის თქმის არცერთ სახეს ახლად გამოვლენილ

---

შესახებ, ვარშავა/სტრასბურგი, 22 აგვისტო, 2014, <https://www.osce.org/files/f/documents/2/5/124230.pdf>, გვ. 37-38.

<sup>194</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 1.

გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სასამართლო სხდომაზე<sup>195</sup>. აღნიშნული საკითხი პრობლემურად მიგვაჩნია, რაზეც ამ თავის მე-9 პარაგრაფში, ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო წესის განხილვის დროს ვისაუბრებთ.

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებაზე ნაწილობრივ და სრულად უარის თქმას შორის განსხვავებას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში ხდება სისხლის სამართლის საქმეზე ფორმულირებული ბრალდების სრულად უარყოფა. მასზე სრულად უარის თქმა, თავის მხრივ, იწვევს საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესისა და სახელმწიფო ბრალდების განხორციელების შეწყვეტას. რაც შეეხება ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმას, ამ დროს განჩინებით წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა და სახელმწიფო ბრალდების განხორციელება წარდგენილი ბრალდების კონკრეტული ნაწილის, კონკრეტული ეპიზოდის ან/და დანაშაულებრივი ქმედების ნაწილში. ამასთანავე, ეს განჩინება არ არის საქმეზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ბრალდებაზე სრულად უარის თქმისგან განსხვავებით, მასზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნისა და ბრალდების პროცედურები გრძელდება, ამასთანავე, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელზეც პროკურორმა ბრალდებაზე უარი არ თქვა, ხოლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის სახით იღებს სასამართლო. ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას აქვს განჩინების ფორმა, რომლითაც წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმე.

ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებას, რომ ბრალდებაზე სრული და ნაწილობრივი უარის არსი ერთნაირია და რომ მათი სამართლებრივი შედეგებიც იდენტური უნდა იყოს<sup>196</sup>. როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებაზე სრულად უარის თქმის დროს არა მარტო ფუნქციონირებას წყვეტს სახელმწიფო ბრალდება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ სრულად წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმე, მასზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების

---

<sup>195</sup> იხ. იქვე, ნაწ. 2.

<sup>196</sup> Фоменко А., Отказ от обвинения и права потерпевшего, Уголовный процесс, 2005, №12, с. 24–28.

პროცედურები გრძელდება, რაც შეიძლება ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით და მისი ნასამართლობით დამთავრდეს. ბრალდებაზე სრულად უარის თქმის დროს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სავალდებულო წესით წყდება და იგი ნასამართლევად არ ითვლება. უფრო მეტიც, ბრალდებაზე სრულად უარის თქმის დროს პატიმრობაში მყოფი პირი დაუყოვნებლივ თავისუფლდება სასამართლო სხდომის დარბაზიდან<sup>197</sup>, ხოლო მასზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში შესაძლებელია იგი კვლავ დარჩეს პატიმრობაში და შეეფარდოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

აქვე დავძენთ, რომ მიზანშეწონილია, პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში, რაზეც სასამართლომ შესაძლებელია იმსჯელოს განჩინებაში, სასამართლო სხდომის ოქმის ნაწილში<sup>198</sup>, აღნიშნული გადაწყვეტილება აისახოს აგრეთვე სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაში, კერძოდ, მასში მსჯელობა შეეხოს ბრალდების იმ ნაწილს, რომელზეც სახელმწიფო ბრალმდებელმა უარი თქვა და სასამართლომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა<sup>199</sup>.

## **§7. პროკურორის მიზანი სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს**

იმისთვის, რომ ჩავწვდეთ, რა მიზანი ამოდრავებს პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის დროს, მოკლედ შევხვით სისხლისსამართლებრივი დევნის

---

<sup>197</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 191, ნაწ. 1.

<sup>198</sup> იხ. იქვე, მუხ. 24, ნაწ. 2.

<sup>199</sup> აღნიშნული მოსაზრების საფუძველი გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ჩვენი განცხადების პასუხად გამოგზავნილი 2022 წლის 10 ოქტომბრის №1-01160/101612 წერილი და მისთვის დართული მოსამართლე გიორგი არევადის 2017 წლის 17 იანვრის საოქმო განჩინება და მოსამართლე ნინო ნაჭყებიას 2020 წლის 20 ნოემბრის საოქმო განჩინება/ამონაწერი სასამართლო სხდომის ოქმიდან, (იხ. დანართი #1, გვ. 241-242). რომლის მიხედვით, კონკრეტული ბრალდებულების მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა (ჩვენ მიერ მოთხოვნილ იქნა სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, ხოლო სასამართლოს მიერ მხოლოდ საოქმო განჩინებების გადმოგზავნით უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმეზე არსებული სხვა ბრალდებულების მიმართ გაგრძელდა სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი, რომელშიც არ აისახა პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის ფაქტი. საწინააღმდეგო შემთხვევაში სასამართლოდან მივიღებდით არა სასამართლო სხდომის ოქმიდან ამონაწერს, არამედ განაჩენს (ავტ. შენ.).

განხორციელების მიზნებს. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, ისევე, როგორც ბრალდებაზე უარის თქმა, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა<sup>200</sup>. ამასთანავე, მოქმედი საპროცესო კოდექსი სისხლისსამართლებრივი დევნის შინაარსს არ განსაზღვრავს, განსხვავებით ძველი საპროცესო კოდექსისგან, რომელშიც სისხლისსამართლებრივი დევნა განმარტებული იყო, როგორც გამომძიებლისა და პროკურორის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა<sup>201</sup>.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თანხმდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების მიზნებზე და მას განიხილავს, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის მხილებას და მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას<sup>202</sup>. სახელმწიფო ბრალდებასა და მის მიზანს შორის, ურთიერთკავშირის გარდა, ურთიერთდამოკიდებულებაც არსებობს, ვინაიდან მიზანი არის განსაზღვრული და კონკრეტული, ისევე, როგორც ბრალდება<sup>203</sup>.

საინტერესოა, არსებობს თუ არა ასეთი ურთიერთკავშირი ბრალდებაზე უარის თქმასა და მის მიზანს შორის და რა მიზანი ამოძრავებს სახელმწიფო ბრალმდებელს ბრალდებაზე უარის თქმის დროს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა შევხვით სახელმწიფო ბრალმდებლის

---

<sup>200</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 166.

<sup>201</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ., მუხ. 44, ნაწ. 43<sup>1</sup>.

<sup>202</sup> მეფარიშვილი გ., სისხლისსამართლებრივი დევნა ცაიტნოტში, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 31.10.1997; მეურმიშვილი ბ., სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომძიებლის სტადიაზე), სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2014 წ., გვ. 55–64; მახარაძე ა., კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის იურიდიული ბუნება, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007 წ., №3, გვ. 46; Mwalili J. J., The Role And Function Of Prosecution in Criminal Justice, UNAFEI, Resource Material No. 53, p. 220, [https://www.unafei.or.jp/publications/pdf/RS\\_No53/No53\\_23PA\\_Mwalili.pdf](https://www.unafei.or.jp/publications/pdf/RS_No53/No53_23PA_Mwalili.pdf); Савицкий В., Государственное обвинение в суде, М., 1971, с. 216-217; Яковенко В., Уголовное преследование и роль прокурора в его осуществлении, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, М., 2006, с. 142-143.

<sup>203</sup> Зеленецкий В., Отказ Прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 81.

საქმიანობის პრინციპებსა და ამოცანებს. პროკურორის მიერ ნებისმიერი უფლებამოსილების გამოყენებას კონკრეტული მიზანი აქვს. ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის მიზნის სწორად განსაზღვრაში მისი საქმიანობის პრინციპების გაცნობა დაგვეხმარება.

პროკურატურის საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება და სამართლიანობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვედგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლის საქართველოს გენერალური პროკურორისადმი დაქვემდებარება, პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ღირსების ხელშეუხებლობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი<sup>204</sup>.

მიგვაჩნია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში პროკურორის ნებისმიერი ქმედება უნდა შეესაბამებოდეს პროკურატურის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც თავისთავად განსაზღვრავს აგრეთვე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს პროკურორის მიზნების ბუნებასა და შინაარსს.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთი ავტორის აზრით, პროკურორი ადამიანის უფლებების დამცველის საქმიანობას არ ახორციელებს და მისი უმთავრესი ფუნქციაა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რომლის კანონიერება და დასაბუთებულობა, თავის მხრივ, უკვე იმის გარანტიაა, რომ უფლებები არ დაირღვევა<sup>205</sup>, ჩვენ მაინც სწორად მიგვაჩნია ის, რომ პროკურორს, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ფუნქციის პარალელურად, ადამიანის უფლებების დამცველის ფუნქცია აქვს და რომ მისი ეს როლი განსაკუთრებით იჩენს თავს სასამართლოში<sup>206</sup>. პროკურორის, როგორც ადამიანის უფლებების დამცველის, უფლებამოსილებას ნათლად წარმოაჩენს მისი დისკრეციული უფლებამოსილება, უარი თქვას სახელმწიფო ბრალდების

<sup>204</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 5.

<sup>205</sup> Савицкий В., Стержневая функция прокуратуры – осуществление уголовного преследования, Российская Юстиция, 1994, №10/94, с. 24–28.

<sup>206</sup> Ротнова И., Сущность и принципы государственного обвинения в уголовном процессе, „Russian journal of legal studies“, 2017, №2 (11), с. 166; Кириллова Н., Процессуальные функции профессиональных участников состязательного судебного разбирательства уголовных дел в суде первой инстанции, Дисс. на соискание ученой степени докт. юрид. наук, Санкт-Петербург, 2008, с. 10.

განხორციელებაზე, რომელსაც იგი იმ შემთხვევაში იყენებს, როდესაც სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ტრანსფორმირებული შინაგანი რწმენით ადგენს, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის პირისთვის წარდგენილი ბრალის დასადასტურებლად. ასეთ შემთხვევაში პროკურორი გვევლინება ბრალდებულის უფლებების არათუ დამცველად, არამედ რეალიზატორად, ვინაიდან საქმის სასამართლო განხილვა სრულდება და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაც წყდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებაზე უარის თქმა მხოლოდ ბრალმდებელს შეუძლია. ამ უფლებამოსილებით ვერც სასამართლო სარგებლობს და ვერც დაცვის მხარე.

პროკურორს სამსახურებრივად ევალება, იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი. იგი სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგენს სახელმწიფოს. ამ დროს პროკურორმა მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხები თავისი პროფესიონალიზმიდან და კომპეტენტურობიდან გამომდინარე, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით უნდა გადაწყვიტოს. მას კანონით პირდაპირ ევალება პირის, მათ შორის, ბრალდებულის, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ვალდებულების შესასრულებლად პროკურორი იყენებს თავის დისკრეციულ უფლებამოსილებებს, მათ შორის, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს. შესაბამისად, ჩნდება აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის ამოქმედებისთვის საჭირო მიზნების, კერძოდ, პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, კონტურები. ამ ფონზე აქტუალურობას იძენს პრობლემური კითხვა: რამდენად თავსებადია პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ბრალდებაზე უარის თქმის მიზნები და იარსებებენ თუ არა ისინი ერთმანეთის პარალელურად კონკრეტული ბრალდების საქმეზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიშველიებთ მოსაზრებას, რომ პროკურორის მიზნები მიუღწეველი რჩება იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოს პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს<sup>207</sup>, და რომ ასეთ დროს პროკურორის მოქმედება სისხლისსამართლებრივი დევნის ჯიუტად გაგრძელებისა და უდანაშაულო პირის

---

<sup>207</sup> Мотовиловкер Я., Основные уголовно-процессуальные функции, 1976, Ярославль, с. 27.

მსჯავრდების მცდელობისკენ არ უნდა იყოს მიმართული, რადგან მას კანონი უწესებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ადამიანის, მათ შორის, ბრალდებულის, უფლებები. საწინააღმდეგო შემთხვევაში მისი საქმიანობა ლეგიტიმურ მიზანს დაკარგავდა და არა მარტო უკანონო, არამედ ამორალურიც იქნებოდა<sup>208</sup>. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ბრალდებაზე უარის თქმის მიზნების თანაარსებობას, უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანები სრულდება იმ სახელმძღვანელო პრინციპების რეალიზებით, რომლებიც კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს დაუწესა. ამასთანავე, კანონი არ ადგენს პროკურატურის არცერთი სამოქმედო პრინციპის პრიმატს სხვა პრინციპების მიმართ და პროკურორს მართებს, ისეთივე წარმატებით განახორციელოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორითაც საჭირო ფორმალური და ფაქტობრივი პირობების არსებობის შემთხვევაში მასზე უარს იტყვოდა. აღნიშნული მსჯელობა კი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ თუნდაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს და თუნდაც საკასაციო ინსტანციაში პროკურორის ისეთი მიზნის პარალელურად, როგორც არის პირისთვის სასჯელის დაკისრება, შესაძლებელია იარსებოს ბრალდებაზე უარის თქმის მიზანი და საჭირო გახდეს მისი განხორციელება. მაგალითად, სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს პროკურორის მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, პირის მსჯავრდებაა, მაგრამ, თუ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები პირის უდანაშაულობას დაადასტურებს, პროკურორის სადამსჯელო მიზანი განხორციელების პერსპექტივას კარგავს და მის პარალელურად პრიორიტეტული ხდება კანონიერებისა და ობიექტურობის პრინციპზე აღმოცენებული, ადამიანის უფლებების დაცვის მიზანი. ასეთ პირობებში პროკურორს კანონი ავალდებულებს, მიიღოს ერთადერთი და სწორი, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ. უკანონო და მორალურად გაუმართლებელიც იქნება, პროკურორმა ასეთ პირობებში მაინც გააგრძელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის იმედი ჰქონდეს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურორის მიზანი არ არის

<sup>208</sup> Савицкий В., Государственное обвинение в суде, М., 1971, с. 216-217.

საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომა და ამის თავიდან ასაცილებლად მას აქვს უფლებამოსილება თა მდიდარი არსენალი, რომლის გამოყენება შელახავს უშუალოდ სახელმწიფო ბრალდებლის, აგრეთვე, ზოგადად, პროკურატურის სისტემის პრესტიჟს. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ, საზოგადოდ, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა არ და ვერ ჩაითვლება პროკურატურის დამაზიანებელ ფაქტორად და ჩვენ ვიხილავთ მხოლოდ ისეთ ჰიპოთეტურ შემთხვევას, როდესაც პროკურორისთვის წინასწარ არის ცნობილი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უპერსპექტივობა, მაგრამ იგი განგებ ან თვითიმედოვნებით არ იყენებს ბრალდებაზე უარის თქმის უფლებას. პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს სახელმწიფო ბრალდების ან დაცვის მხარის პოზიციები და, შესაბამისად, მისთვის მხარეთა მიზნებიც უმნიშვნელოა. სასამართლოს კონკრეტული საქმის მიმართ არ აქვს ისეთი მიზნები, რომლებიც წინასწარ გადაწყვეტდა ბრალდების ბედს. მოსამართლე აფასებს მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, უსმენს მათ კამათს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის მიზანი უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილებაა, ჩნდება კითხვა: მხოლოდ ეს მიზანი ამოძრავებს პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის დროს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიყვანოთ ჰიპოთეტური მაგალითი: პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ობიექტურ პირს დაარწმუნებდა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაში, მაგრამ გამოძიების მიერ დაშვებული შეცდომების გამო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მტკიცებულებათა არსებითი ბაზა, რის გამოც იგი, დიდი ალბათობით, პირს გაამართლებს. ასეთი შემთხვევა, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება გახდეს ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული. შესაბამისად, ამ მაგალითში უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილება არ და ვერ იქნება ბრალდებაზე უარის თქმის მიზანი. ასეთ შემთხვევაში პროკურორის მიზანი იქნება გამამართლებელი



განაჩენის გამოტანის თავიდან აცილება და მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარება, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს სახელმწიფოს მიერ ზიანის ასანაზღაურებლად გადასახდელი კომპენსაციის ოდენობას.

აღნიშნული ჰიპოთეტური მაგალითის გარდა, კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს სხვა საკანონმდებლო თუ არასაკანონმდებლო საფუძვლები, რომელთა წარმოშობის დროსაც პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმა უწევს (მათ დისერტაციის II თავის მე-2 პარაგრაფში განვიხილავთ). შესაბამისად, თითოეული მათგანის მიზანი განსხვავებული იქნება. ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ პროკურორის მიზანი შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს და რომ ის ბრალდებაზე უარის თქმის სახესა და სამართლებრივ საფუძვლებზეა დამოკიდებული<sup>209</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის მიზნები შეიძლება იყოს: უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილება, მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარება, ერთი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე პირის განმეორებითი მსჯავრდების თავიდან აცილება, გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ამნისტიის აქტზე სამართლებრივი რეაგირება და სხვა. აღნიშნული საკანონმდებლო საფუძვლების გარდა, ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის მიზნის სრულყოფას ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების რეალიზება, რომელთა მიხედვით, პროკურორმა დანაშაულთან დაკავშირებული სოციალური დანაკარგებისა და ეკონომიკური ხარჯების შემცირება და საზოგადოებაში კანონის უზენაესობის რწმენის განმტკიცება უნდა უზრუნველყოს, თითოეულ საქმეს ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს და გადაწყვეტილება კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს. ამასთანავე, პროკურორის ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია მისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან, კანონის განუხრელ დაცვას უნდა ემსახურებოდეს და დისკრიმინაციულ ელემენტებს არ უნდა შეიცავდეს. პროკურორმა

---

<sup>209</sup> Зеленецкий В., Отказ Прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 83

გადაწყვეტილების მიღების დროს ობიექტურად და სამართლიანად უნდა იმოქმედოს და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა იყოს.

ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში პროკურორის მიზანია არა პირის უკანონო მსჯავრდების თავიდან აცილება, არამედ ბრალდების კორექტირება და სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება დანაშაულის დაზუსტებული კვალიფიკაციით. როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმის დროს პროკურორი უარს ამბობს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე წარდგენილი ბრალდების მხოლოდ გარკვეულ ნაწილში. შესაბამისად, მის წინაშე მდგარი მიზნის მისაღწევად საჭირო არ არის, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სრულად შეწყდეს. პროკურორი სასამართლოს სამსჯელოდ უტოვებს მხოლოდ ბრალდების იმ ნაწილს, რომელზეც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით შესაძლებელი იქნება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. ასეთ შემთხვევაში პროკურორს აქვს რამდენიმე, ერთმანეთის პარალელური მიზანი, კერძოდ, პირის მიმართ დევნის შეწყვეტა დაუდასტურებელი ბრალდების ნაწილში და მისი მსჯავრდება ბრალზე ნაწილობრივ უარის თქმის შემდეგ დარჩენილი ბრალდების ნაწილში.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ბრალდებაზე უარის თქმის მიზანს თავისი მიმართულებები აქვს და, თუ პროკურორი ერთ შემთხვევაში უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილებისკენ მიისწრაფვის, მეორე შემთხვევაში სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს იცავს, ვინაიდან სახელმწიფო და საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება რაიმე სახით შეეხო, დაინტერესებული არიან, რომ დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება, რაც, თავის მხრივ, უპასუხებს გამოწვევას, რომ პროკურორმა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელმა, საზოგადოების სახელით და მისი ინტერესების დაცვით უნდა უზრუნველყოს კანონის მოთხოვნათა შესრულება და ამ დროს, გარდა იმისა, რომ უნდა გაითვალისწინოს

კონკრეტულ პირთა ინტერესები, ხელი უნდა შეუწყოს სისხლის სამართლის საქმეთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის გაზრდას<sup>210</sup>.

### **§8. პროკურორის მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის საკითხი სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის დროს**

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა უნდა ემყარებოდეს პროკურორის შინაგან რწმენას, რომ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები ბრალდებულისთვის წარდგენილ ბრალს არ ადასტურებს. ამასთანავე, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით<sup>211</sup>, სახელმწიფო ბრალმდებელს არ უნდა სჭირდებოდეს, ბოლომდე დარწმუნდეს ბრალდებულის უდანაშაულობაში. საკმარისია, მან დაკარგოს მისი ბრალეულობის შინაგანი რწმენა. ასეთივე აზრს ავითარებს ავტორთა ერთი ნაწილიც, რასაც სრულად ვეთანხმებით<sup>212</sup>. გასათვალისწინებელია, რომ პროკურორის შინაგანი რწმენა ეტაპობრივად ყალიბდება და მას განაპირობებს მტკიცებულებათა დამოუკიდებელი და ობიექტური შეფასება. ამ დროს პროკურორი მხოლოდ კანონითა და საკუთარი, შინაგანი რწმენით უნდა ხელმძღვანელობდეს. აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილება პროკურორს ერთგვარი სამართლიანობის მანტიით მოსავს და, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი უფლებამოსილება და დანიშნულება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაა, მას უნდა შეეძლოს, შინაგანი რწმენის საფუძველზე კანონის შესაბამისი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს. სახელმწიფო ბრალდების განხორციელება პროკურორის

---

<sup>210</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(2000)19 წევრი სახელმწიფოების მიმართ, მართლმსაჯულების სისტემაში პროკურატურის როლის შესახებ, 6 ოქტომბერი, 2000 წელი, პ. 4.

<sup>211</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 5, ნაწ. 3.

<sup>212</sup> კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, „იურისტების სამყარო“, თბ., 2018 წ., გვ. 105; Лавнов М., Современная модель отказа прокурора от обвинения и перспективы ее совершенствования в российском уголовном процессе, Вестник Саратовской государственной юридической академии, №6 (95), 2013, с. 206; Васильева Е., Правовые и теоретические проблемы прекращения уголовного преследования и производства по уголовному делу, М., 2006, с. 229.

საჯარო სამართლებრივი ფუნქციაა. მისი თითოეული ნაბიჯი შეიძლება განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი გახდეს, განსაკუთრებით – გახმაურებულ (რეზონანსულ) სისხლის სამართლის საქმეებზე. აღნიშნული ინტერესი შესაძლებელია საზოგადოების, სახელმწიფოს და სხვადასხვა ორგანიზაციის თუ დაწესებულების მხრიდან პროკურორზე მორალურ ან სხვა სახის ზეწოლაში გადაიზარდოს. ამან პროკურორის შინაგან რწმენაზე ნეგატიურად არ უნდა იმოქმედოს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზს, კანონის მოთხოვნებს და პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმძებლის, კეთილსინდისიერებას უნდა ემყარებოდეს.

სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალმძებელი სახელმწიფოს წარმოადგენს. იგი პროცესის დამოუკიდებელი მონაწილეა და მოქმედებს შინაგანი რწმენით, რომელიც საქმის ყველა გარემოების შესწავლის შედეგად ჩამოუყალიბდა. სახელმწიფო ბრალმძებლის პოზიცია არ და ვერ დაეყრდნობა მხოლოდ გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზს. პროკურორი სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს იმ ნაწილში, რომელშიც სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით დარწმუნდება, რომ ბრალდება მყარი და დასაბუთებულია. მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების დროს პროკურორი დარწმუნებული უნდა იყოს მათ დასაშვებობასა და საკმარისობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი საპროცესო ინსტიტუტი. ამასთანავე, მისი ამოქმედება სხვადასხვა საპროცესო ნორმის ურთიერთკავშირზეა დამოკიდებული. იგი შესაძლებელია განვიხილოთ აგრეთვე, როგორც საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობის ერთგვარი შედეგი, რომლის საკუთარი, შინაგანი რწმენის საფუძველზე გამოყენება კანონმდებელმა პროკურორს მიანიჭა.

პროკურორი სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს მოქმედებს თავისი საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებში, რათა უზრუნველყოს მისთვის სასურველი შედეგების დადგომა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია როგორც საჯაროობის, ისე სამართლიანობის პრინციპით. ამავდროულად,

პროკურორს შეუძლია უარი თქვას სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ვითარების შეცვლით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზანშეუწონლობით, დანაშაულის სიმძიმის, ჩადენილი ქმედების შედეგებისა და დანაშაულის ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და სხვა პიროვნული მახასიათებლების (მონანიება, ზიანის ანაზღაურება, დაზარალებულთან შერიგება და სხვა) გათვალისწინებით.

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა რთული და ნაკლებად შესწავლილი საპროცესო ინსტიტუტია<sup>213</sup>. შესაბამისად, სამეცნიერო ნაშრომის თვალთახედვის მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი პრობლემატური საკითხის შესწავლა, როგორც არის პროკურორის კეთილსინდისიერების საკითხი. კონკრეტულ საქმესთან მიმართებით პროკურორის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებული ნეგატიური ფაქტორები შეიძლება პირობითად დაიყოს 2 ნაწილად: 1. პროკურორზე დამოკიდებული ნეგატიური ფაქტორები; 2. პროკურორისგან დამოუკიდებლად წარმოშობილი ნეგატიური ფაქტორები. ნეგატიური ფაქტორების პირველ სახეობაში იგულისხმება კონკრეტულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდების განხორციელების პროცესში პროკურორის სუბიექტური და მიკერძოებული მიდგომა, რომელიც გამოიხატება მისი მისწრაფებით, კანონის გვერდის ავლით და საქმის ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არა მხოლოდ უკანონოა, არამედ უსამართლოც. მაგალითად, ქრთამის აღების სანაცვლოდ პროკურორი იყენებს თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას და სრულად ან ნაწილობრივ უარს ამბობს სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე. აღნიშნული ნეგატიური ფაქტორები არსებობს აგრეთვე პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის დროს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების გენერატორი ხდება არა საკანონმდებლო და მტკიცებულებითი ნაწილი, არამედ პროკურორის პირადი დამოკიდებულება ბრალდებულის მიმართ, პოლიტიკური მოტივები, ხელმძღვანელის უკანონო დავალება და სხვა. ასეთი ნეგატიური მოცემულობის დამახასიათებელ საერთო ნიშნად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს შემდეგი

---

<sup>213</sup> Савицкий В., Отказ прокурора от обвинения, Советское государство и право, 1971, №5, с. 103.

გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ პროკურორს შეგნებული და გათავისებულნი აქვს თავისი გადაწყვეტილების უკანონობა და უსამართლო შედეგი, იგი სხვადასხვა ქვენა გრძნობით ესწრაფვის ამ შედეგის დადგომას. ასეთ შემთხვევაში პროკურორის მოტივატორი ხდება დამატებითი, უკანონო შემოსავლის მიღების, კარიერული წინსვლის, ბრალდებულის თუ ხელმძღვანელის კეთილგანწყობის მოპოვების სურვილი და სხვა.

რაც შეეხება ნეგატიური ფაქტორების მეორე სახეობას, როგორც აღვნიშნეთ, ის პროკურორის სუბიექტურ განწყობას არ უკავშირდება. მას სახელმწიფო ბრალმდებლის არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი და დაკისრებული მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება განაპირობებს.

პროკურორის არაკომპეტენტურობა შესაძლებელია გამოიკვეთოს, როდესაც სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს იგი არ ავლენს სათანადო ცოდნას, განიცდის შესაბამისი უნარ-ჩვევების ნაკლებობას, ახასიათებს ფაქტების არასწორი შეფასება და ანალიზი და სხვა. მაგალითად, პროკურორი ვერ აფასებს სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, კერძოდ, უჭირს მისი შეფასება, და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თავიდან ასაცილებლად იღებს ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იმ პირობებში, როდესაც გამოკვლეული მტკიცებულებები ობიექტურ პირს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში.

პროკურორის არაპროფესიონალიზმი შეიძლება გამოიკვეთოს, როდესაც მან არ იცის მისი პროფესიისთვის მიკუთვნებული ზოგადი საკითხები, აგრეთვე არ არის გათვითცნობიერებული კონკრეტულად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის ნორმათა ბუნებაში და მათ არასწორად განმარტავს ან/და პრაქტიკაში არასწორად იყენებს. მაგალითად, პროკურორს უჭირს დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრა და კოდექსის კონკრეტული მუხლის დისპოზიციასაზე არასწორი წარმოდგენა აქვს, რაც მის მიერ დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდება.

დაკისრებული მოვალეობების შესრულებისადმი პროკურორის გულგრილი დამოკიდებულება შესაძლებელია გამოვლინდეს, როგორც მისი პიროვნული

თვისება, რომელიც მას დაკისრებული მოვალეობების შესრულების სურვილს უსპობს. ასეთ დროს პროკურორი არ ითვალისწინებს ან/და ვერ იაზრებს ბრალდების მნიშვნელობას. მართლმსაჯულების განხორციელება მისთვის უმნიშვნელო ფაქტორად იქცევა და იწვევს მის განურჩევლობასა და მიმდინარე პროცესებისადმი პასიურ დამოკიდებულებას. მაგალითად, პროკურორის გულგრილობა ვლინდება მის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღების დროს, როდესაც ამ გადაწყვეტილების მოტივატორი ხდება ხანგრძლივი სასამართლო პროცესი, რომელზედაც პროკურორი, მისი შეხედულებით, დამლელ საბრალდებო საქმიანობას ახორციელებს და ამის თავიდან ასაცილებლად დაცვის მხარის არგუმენტებს უაპელაციოდ იზიარებს.

გარდა ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებისა, რომლებმაც შეიძლება ექვექვეშ დააყენოს სახელმწიფო ბრალმდებლის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, სასამართლო განხილვის დროს შესაძლებელია აუცილებელი გახდეს პროკურორის მიერ ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც, თავის მხრივ, პრობლემურად მიგვაჩნია. შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პოზიცია: გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და საქმის სასამართლოში წარმართვის უფლებამოსილება აქვს პროკურორს, რომელიც ასევე უფლებამოსილია სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორი სასამართლოში იცვლება სხვა სახელმწიფო ბრალმდებლით, რომელიც შინაგანი რწმენით მიდის დასკვნამდე, რომ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს არ იძლევა? უნდა გაიაროს თუ არა ბრალმდებელმა რაიმე კონსულტაცია საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელ პროკურორთან? აღნიშნულ საკითხს საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს. საერთოდ უნდა დადგეს თუ არა სახელმწიფო

ბრალმდებლის შეცვლის საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მისი შეხედულება ბრალდების ნაწილში პრინციპულად განსხვავდება საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის პოზიციისგან, რომელმაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართა? შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფო ბრალმდებელი იმ პროკურორით ჩანაცვლდეს, რომელმაც გამოძიების სტადიაზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო? მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემთხვევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებული არ არის, ამის შესაძლებლობა არსებობს, ვინაიდან ზემდგომ პროკურორს შეუძლია საქმეზე სახელმწიფო ბრალდების განხორციელება დაავალოს სხვა პროკურორს, მათ შორის, საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს, ხოლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელმა პროკურორმა უზრუნველყოს მისი საპროცესო ხელმძღვანელობით გამოძიებულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდების განხორციელება. აქვე შევხებით უფრო კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას: როდესაც პროკურორი უშუალოდ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს<sup>214</sup>, იგი გამომძიებლის უფლებამოსილებით სარგებლობს<sup>215</sup>. შესაბამისად, მას ამ საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობას სხვა პროკურორი უწევს. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელმა პროკურორმა უნდა განახორციელოს სახელმწიფო ბრალდება – პროკურორმა, რომელმაც უშუალოდ გამოიძია სისხლის სამართლის საქმე, მისმა საპროცესო ხელმძღვანელმა პროკურორმა თუ სხვა პროკურორმა, რომელიც სპეციალიზებულია სახელმწიფო ბრალდების განხორციელების კუთხით?

პირველ შემთხვევაში საქმის გამომძიებელი პროკურორი უშუალოდ არის ჩართული გამოძიების დროს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში. მას უშუალო შეხება აქვს მოწმეებთან, უშუალოდ ატარებს სხვადასხვა საგამომძიებო მოქმედებას და თავად წყვეტს ამ დროს მიღებული დანაშაულის კვალისა და მოპოვებული მტკიცებულებების ექსპერტიზის ჩატარების საკითხს. შესაბამისად, მისთვის

---

<sup>214</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 33, ნაწ. 6, ქვ. „ბ“.

<sup>215</sup> იხ. იქვე, მუხ. 37, ნაწ. 1.



ყველაზე უკეთ არის ცნობილი არა მხოლოდ მტკიცებულებათა შინაარსი, არამედ მათი მოპოვების ტაქტიკა და მეთოდოლოგია, მოპოვებული მტკიცებულებების ბუნება (ხასიათი), წარმომავლობა და მოპოვების გარემოებები, აგრეთვე საქმის სუსტი და ძლიერი მხარეები, მოწმეთა ბაზა და თითოეული მათგანის დამოკიდებულება მიცემული ჩვენებისადმი. აღნიშნული საკითხების ზედმიწევნით ცოდნა საქმის გამომძიებელს სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების განხორციელების უზრუნველყოფას გაუადვილებს. მას სასამართლო განხილვის დროს მოწმებთან კომუნიკაციაც გაუმარტივდება, ვინაიდან მათი გამოკითხვა უკვე ჩატარებული აქვს და მისთვის წინასწარ არის ცნობილი, როგორი საგამომძიებო ტაქტიკა უნდა გამოიყენოს ყოველ მოწმესთან ინდივიდუალურად, რათა მან სასამართლოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს. საქმის გამომძიებელი პროკურორი, რომელიც უშუალოდ ატარებს ისეთ საგამომძიებო მოქმედებებს, როგორც არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაზარალებულის გამოკითხვა, სასამართლოს წინაშე უფრო ეფექტიან და ბუნებრივი ემოციებით დატვირთულ შესავალ და დასკვნით სიტყვებს წარადგენს, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში არ გაუჭირდება მათი ყურადღების მიპყრობა საქმისთვის მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტობრივ გარემოებებზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმის გამომძიებელი პროკურორისთვის საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორსა და სახელმწიფო ბრალმდებელ პროკურორზე მეტად არის ცნობილი საქმის დეტალები, ვინაიდან იგი თავად არის მის მიერ გამოძიებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების მთავარი „არქიტექტორი“. შესაბამისად, ვინ, თუ არა საქმის გამომძიებელი პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას მის მიერ გამოძიებული საქმის სასამართლო განხილვის დროს, მიხვდება ყველაზე უკეთ და გაითავისებს საქმეზე შექმნილ ახალ რეალობას, რის საფუძველზეც მან შინაგანი რწმენით უნდა გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება და მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. ასეთი ვითარების უარყოფით მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმის გამომძიებელ პროკურორს არ აქვს სახელმწიფო ბრალდების განხორციელების გამოცდილება,

რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია უარყოფითად აისახოს საქმის განხილვასა და საქმეზე მისაღები საბოლოო გადაწყვეტილების ფორმულირებაზე. აღნიშნული პრობლემა შეიძლება განსაკუთრებით მწვავედ დადგეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. გარდა ამისა, შესაძლებელია საქმის გამომძიებელმა პროკურორმა, რომელიც მის მიერ გამოძიებულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს, მიუხედავად სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზისა და სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ობიექტური საფუძვლების არსებობისა, არ იჩქაროს ასეთი გადაწყვეტილების მიღება ან საერთოდ არ მიიღოს იგი, ვინაიდან მისთვის, როგორც საქმის გამომძიებლისთვის, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია იმისთვის, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულიყო და იგი მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარიყო, ახალი რეალობის გათავისება ძნელი იქნება. შესაძლებელია ამ შემთხვევაში საქმის გამომძიებელი პროკურორის საქმისადმი სუბიექტურმა მიდგომამ გადაწონოს საქმეზე არსებული ობიექტური რეალობა.

საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელების შემთხვევაში დადებითად შეიძლება შეფასდეს შემდეგი გარემოებები: გამოძიების დაწყებიდან საქმის სასამართლოში წარმართვამდე მისთვის ცნობილია გამოძიების თითოეული ნაბიჯი, მტკიცებულებათა მოპოვების ტაქტიკა და მეთოდოლოგია ხშირად წინასწარ არის მასთან შეთანხმებული. მისთვის წინასწარ არის ცნობილი აგრეთვე საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა სტანდარტი, იგი უშუალოდ არის ჩართული მტკიცებულებების სასამართლოს ნებართვით (ჩხრეკა, ამოღება, ინფორმაციის გამოთხოვა, ფარული საგამომძიებო მოქმედებები და სხვა) მოპოვების პროცესში, ამასთანავე, იგი უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებებს მტკიცებულებათა შეფასებისა და დასაბუთებული ვარაუდის დადგომის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისთვის სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. აღნიშნული შემთხვევის უარყოფით მხარედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შემდეგი გარემოება: საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს შესაძლებელია არ ჰქონდეს სახელმწიფო ბრალმდებლისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები. განსაკუთრებით

აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც იგი შეიძლება სათანადოდ ვერ წარდგეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე. გარდა ამისა, მისთვის ძნელი მისაღები იქნება გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ, რადგან სასამართლოში წარგზავნილ საქმეზე პირისთვის წარდგენილი ბრალდების მთავარი „შემოქმედი“ თავად არის. ამასთანავე, საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი იყენებს აღკვეთის ღონისძიებასა და სხვა საპროცესო იძულების ღონისძიებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი იყენებს ისეთ მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას, როგორც არის პატიმრობა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება არსებობდეს გარკვეული სუბიექტური მიდგომები, რომლებიც პრინციპულობისა და ბრალმდებლის მთავარი ვალდებულების შესახებ სენტენციებით არის შენიღბული.

ერთი მხრივ, სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის საკითხის გადაწყვეტის წინ საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან კონსულტაცია სახელმწიფო ბრალმდებელს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისგან დააზღვევს, ხოლო მეორე მხრივ, ასეთმა მიდგომამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სახელმწიფო ბრალმდებლის დამოუკიდებლობა<sup>216</sup>. ჩვენ მიერ საკითხის ამგვარად დასმა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრმად უნდა დაიცვას საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ან საგამომიებო ორგანოს სულისკვეთება, რათა საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს. სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელ პროკურორთან ან საგამომიებო ორგანოსთან (გამომიებელთან) სახელმწიფო ბრალმდებლის კონსულტაცია საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული არ არის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ასეთი ურთიერთობის დამყარება კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართალწარმოებაში პროკურორსა და სახელმწიფო ბრალმდებელს შორის არსებობს საპროცესო კავშირი, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას და არსებობდეს მხოლოდ იურიდიული ფორმით<sup>217</sup>. უფრო მეტიც,

<sup>216</sup> Кони А., Собрание сочинений в восьми томах, Т. 4, М., 1967, с. 139.

<sup>217</sup> Божьев В., Уголовно-процессуальные правоотношения, М., 1975, с. 89; Лукьянова Е., Теория процессуального права, М., 2003, с. 209; Королев Г., Проблемы правового регулирования отказа

სახელმწიფო ბრალმდებლის პირდაპირი მოვალეობაა, თავისი უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების დროს სამართლიანი და ობიექტური იყოს. შესაბამისად, ასეთი მოლაპარაკებები უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულების პრინციპებს და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, რათა არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება ან დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ მოეხსნას პასუხისმგებლობა.

როგორც, ჩვენდა გასაკვირად, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აცხადებს, ნათლად ჩანს, რომ პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მოთხოვნებს<sup>218</sup>. ამას კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით, რადგან სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე სახელმწიფო ბრალმდებლის უარი პირდაპირ ესადაგება სისხლის სამართლის პროცესის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორც არის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და კანონიერი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება. სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა ასეთი აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში ცალსახად ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს და ბრალდების მხარეს თავიდან აცილებს საჭიროებას, განახორციელოს სახელმწიფო ბრალდება იმ შემთხვევაში, როდესაც ამის ფაქტობრივი საფუძველი ადარ არსებობს და სახელმწიფო ბრალდების განხორციელების გაგრძელება პროკურორისთვის უმიზნო, ამასთანავე, მორალურად უღირსი საქციელი იქნებოდა.

სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმა მაშინ, როდესაც იგი დაეყრდნობა მხოლოდ გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტადიაზე არსებული მტკიცებულებების ანალიზს, რომელიც სასამართლო განხილვის სტადიაზე არ შეცვლილა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის სამუშაო ვერსიების სასამართლო სხდომაზე გატანისა და შემოწმების

---

государственного обвинителя от поддержания обвинения, Юридический журнал „Пробелы в российском законодательстве“, №2'2012, с. 175.

<sup>218</sup> Баев О., Избранные работы по проблемам криминалистики и уголовного процесса (сборник), М., 2011, с. 245–247.

მცდელობად. პროკურორის ასეთ საქციელს, მიუხედავად მისი მცდელობისა, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს, უარყოფითად ვაფასებთ და მიგვაჩნია, რომ ამგვარი ქმედება არათუ პროკურორის დისციპლინურ პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს, არამედ შესაძლებელია სისხლის სამართლის დანაშაულად შეფასების საფუძველიც გახდეს, ვინაიდან პროკურორის მოტივაცია, პირის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე გამორიცხოს კონკრეტული ფაქტები და ვერსიები, პროკურორის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნიშნებს შეიცავს.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს რამდენიმე პროკურორი, რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებენ და, როგორც წესი, ამ საქმეზე სხვადასხვა პოზიცია არ აქვთ. ასეთ შემთხვევაში ხშირად ერთი პროკურორი გამოხატავს თავის მოსაზრებას და სხვები ეთანხმებიან მის პოზიციას. შესავალი და დასკვნითი სიტყვები რთულ და მრავალეპიზოდური საქმეზე შესაძლებელია რამდენიმე პროკურორმა სასამართლოს ნაწილებად წარუდგინოს. როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, თუ სახელმწიფო ბრალდების განხორციელების დროს პროკურორთა მოსაზრებები გაიყო, ანუ თუ, ერთი პროკურორის აზრით, მტკიცებულებათა ერთობლიობა პირისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს არ იძლევა, ხოლო მეორეს განსხვავებული პოზიცია აქვს და მიაჩნია, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით იძლევა პირის დამნაშავედ ცნობის საფუძველს? ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის განხილვა მანამ, სანამ ერთი სახელმწიფო ბრალმდებელი მაინც არ ამბობს უარს სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბრალდებას უძღვებოდნენ პროკურატურის გამოცდილი თანამშრომლები, რომლებსაც აღნიშნული საქმიანობისთვის სპეციალური მომზადება აქვთ გავლილი. მათი პროფესიონალიზმი უნდა იძლეოდეს იმის გარანტიას, რომ ისინი სახელმწიფო ბრალმდებლის რთულ საჯარო ფუნქციას დამოუკიდებლად და კანონის შესაბამისად შეასრულებენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროკურორს

ჰქონდეს საკმარისი დრო სახელმწიფო ბრალდებისთვის მოსამზადებლად. დაუშვებელია, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო იგი სასამართლო პროცესზე ისე გამოდის, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებსა და მტკიცებულებებს სრულყოფილად ან უარეს შემთხვევაში საერთოდ არ იცნობს. დაუშვებლად მიგვაჩნია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვა, როდესაც პროკურორისთვის წინასწარ არის ცნობილი, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები კანონის დარღვევითაა მოპოვებული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საპროცესო დარღვევების გამო სასამართლოში პირის უდანაშაულოდ ცნობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს პროკურატურის პრესტიჟს, აგრეთვე დანაშაულობისადმი მიდრეკილ ადამიანებში დაუსჯელობის სინდრომს აყალიბებს.

ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა არის სამართლიანი და კანონიერი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი, უმთავრესი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია არა მხოლოდ პროცესის მონაწილეთა ბედი, არამედ პროკურორისა და, ზოგადად, პროკურატურის სისტემის მიმართ ნდობა და რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

## **§9. ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო წესი და ფორმა**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლით რეგლამენტირებულია ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო წესი. ამ მუხლმა აღნიშნული საპროცესო კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე რამდენიმე ცვლილება განიცადა. საკითხის განხილვის დროს შევხებით ამ ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხს.

ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო წესის ამოქმედება შესაძლებელია შემდეგი ფორმალური გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

ა) სახელმწიფო ბრალმდებელს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე. ამ საკითხთან

დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ბრალდებაზე უარის თქმის უფლებას ბრალდების მხარეს აძლევს<sup>219</sup>, ბრალდების მხარის წარმომადგენლებად კი გამომძიებელსა და პროკურორს თვლის<sup>220</sup>. შესაბამისად, კანონის აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია, ვინაიდან ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებელს და არა გამომძიებელს. უფრო მეტიც, სასამართლო განხილვის დროს გამომძიებელი მხოლოდ მოწმის უფლებამოსილებით სარგებლობს, ვინაიდან იგი სასამართლოს აწვდის ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ<sup>221</sup>, რადგან „მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ“<sup>222</sup> და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საკითხი მის კომპეტენციას არ განეკუთვნება<sup>223</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებით აღმოიფხვრას კანონის ნორმის ბუნდოვანება, კერძოდ, „ბრალდების მხარის“ ნაცვლად მიეთითოს „სახელმწიფო ბრალმდებელი“.

**ბ) სახელმწიფო ბრალმდებელს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით.** არსებული ბრალდების უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვლა არ არის ბრალდებაზე უარის თქმის სახე. კერძოდ, ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევა, თავისი არსით, გამორიცხავს სხვა რაიმე სახის, თუნდაც მსუბუქი ბრალდების არსებობის შესაძლებლობას. როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმა გულისხმობს კონკრეტულ ბრალდებაში ან მის ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. ამ დროს სასამართლო განხილვა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა გრძელდება ბრალდების იმ ნაწილზე, რომელზეც პროკურორმა უარი არ თქვა. რაც შეეხება ბრალდების მსუბუქი ბრალდებით შეცვლას, ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორს სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზი და შინაგანი რწმენა უკარნახებს, რომ პირისთვის წარდგენილი ბრალი არ

<sup>219</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 1.

<sup>220</sup> იხ. იქვე, მუხ. 3, ნაწ. 6.

<sup>221</sup> იხ. იქვე, ნაწ. 24.

<sup>222</sup> იხ. იქვე, მუხ. 72, ნაწ. 4.

<sup>223</sup> იხ. იქვე, მუხ. 37, ნაწ. 6.

დასტურდება, ამასთანავე, მისი ქმედების კვალიფიკაცია საჭიროებს კორექციას შემსუბუქების კუთხით<sup>224</sup>.

გ) პროკურორის მიერ ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემური ხდება ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში, როდესაც სასამართლო იღებს ერთადერთი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კი არ არის ჩანაწერი საქმის ბედის გადაწყვეტის თაობაზე, კერძოდ, იმის შესახებ, უნდა მიიღოს თუ არა მოსამართლემ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაც. ლოგიკურია, რომ ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაც მიიღოს, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ მოპოვებული, სასამართლო პრაქტიკის ამსახველი გადაწყვეტილებებიც<sup>225</sup>. მიზანშეწონილია, საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებით აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზი და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის წესიც განისაზღვროს.

დ) ბრალდებაზე უარის თქმის უფლებით პროკურორი სარგებლობს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე, გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოსამართლე პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ ფორმალურ ნაწილს ამოწმებს. კერძოდ, სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოსამართლე აქცენტს აკეთებს ზემდგომი პროკურორის თანხმობის საკითხზე, ამასთანავე, ეხება შემდეგ

---

<sup>224</sup> აღნიშნული საკითხის დეტალური დამუშავება სცდება დისერტაციის კვლევის ფარგლებს (ავტ. შენ.).

<sup>225</sup> თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე თამარ კაპანაძე 2022 წლის 4 მარტს №1/18-20 საქმეზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველ აბზაცში ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის სრულად შეწყვეტის პარალელურად მსჯელობს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტაზე. ანალოგიურია №1/61-22 საქმის სარეზოლუციო ნაწილის პირველი აბზაცი და №1/196-19 საქმის სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი (იხ. დანართი #2, გვ. 245-254).



ფორმალურ საფუძვლებს: 1. გადაწყვეტილება მიღებულია ბრალდების მხარის მიერ<sup>226</sup>; 2. გადაწყვეტილება მიღებულია საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, განაჩენის გამოტანამდე, გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა<sup>227</sup>.

აქვე შევხებით პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სხდომაზე გამოყენების საკითხს. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის №5576-III კანონით საქართველოს სსსკ-ის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი შეიცვალა, კერძოდ, სახელმწიფო ბრალმდებელს აეკრძალა, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება გამოეყენებინა სააპელაციო სასამართლოში<sup>228</sup>, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სხდომაზე. აღნიშნული ცვლილება დასაბუთებული იყო იმით, რომ მანამდე მოქმედი წესი ბრალდების მხარეს აძლევდა შესაძლებლობას, სასამართლო სხდომაზე ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი ეთქვა ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე. განსახილველი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემდეგ ბრალდების მხარეს ეს უფლება დარჩა, გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შემთხვევისა. აღნიშნული ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მოტივით დასაბუთდა. კერძოდ, კანონპროექტის ავტორები აპელირებდნენ კონსტიტუციურ პრინციპზე, რომლის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ

---

<sup>226</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ალექსანდრე იაშვილის მიერ 2018 წლის 12 ივლისს გამოტანილი განჩინების 3.7 პუნქტში ვკითხულობთ: „სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს პროკურორი და მისი განხორციელება მხოლოდ პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილებათა, ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს მხოლოდ სსსკ-ის 250-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებს (მათ შორის ბრალდებაზე უარის თქმა შეთანხმებულია თუ არა ზემდგომ პროკურორთან) და იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან პროკურორის შუამდგომლობა აკმაყოფილებს სსსკ-ის 250-ე მუხლის მოთხოვნებს (მათ შორის შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან), იგი უნდა დაკმაყოფილდეს და ბრალდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა“.

<sup>227</sup> იხ. იქვე, პუნქტი 3.3.

<sup>228</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 20, ნაწ. 6.

სასამართლოს<sup>229</sup>. კანონპროექტის ავტორები თავიანთ მოსაზრებას იმით ხსნიდნენ, რომ, თუკი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სტადიაზე პროკურორი ბრალდებაზე უარს იტყოდა, მოსამართლეს აღარ რჩებოდა შესაძლებლობა, შეეფასებინა, თუ რამდენად ცვლიდა მხარის მიერ წარმოდგენილი ახლად გამოვლენილი გარემოება წინა განაჩენს. მოსამართლე ვეღარ დატოვებდა უცვლელად წინა განაჩენს, ან ვერ შეცვლიდა მას, ან ვერ გააუქმებდა მას და ვერ დაადგენდა ახალ განაჩენს. შესაბამისად, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო იძულებული გახდებოდა, განჩინებით შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, რითაც აშკარად დაირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მოთხოვნა. ამდენად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას პროკურორისთვის იმ უფლების დატოვება, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდებაზე უარი თქვას, კანონმდებელმა სამართლებრივად მიზანშეუწონლად მიიჩნია<sup>230</sup>. გარდა ამისა, განხილულ კონსტიტუციურ პრინციპებზე აპელირებდა საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენის დასაბუთების დროს, რომლის მიხედვით, არ იქნა გაზიარებული სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ მიღებული ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ შემდეგი გარემოებით დაასაბუთა: „მართალია, საქართველოს სსსკ-ის 166-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, მაგრამ იმავე კოდექსის 250-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე, რაზეც სასამართლო განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი პროკურორმა ბრალდებაზე უარი თქვა საკასაციო პალატის სხდომაზე, რასაც საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. ...

<sup>229</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. (2017 წლის 13 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 84, ნაწ. 5.

<sup>230</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 24 ივნისის №5576-III კანონის განმარტებითი ბარათი, გვ. 2-3, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120297> (ბოლო ნახვა: 02.11.2022).

საქმეზე არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ან შეცვლა, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საპროცესო კოდექსის თანახმად, შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით<sup>231</sup>.

მიზანშეწონილია, აღნიშნული პრობლემური საკითხი მასში უკეთ გასარკვევად გაიყოს 2 ნაწილად: 1. პროკურორის უფლებამოსილება საკასაციო სასამართლოში ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში; 2. აღნიშნული უფლებამოსილების კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის საკითხი.

რაც შეეხება საკითხის პირველ ნაწილს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განსახილველი განაჩენის გამოტანის მომენტისთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლს განსხვავებული შინაარსი ჰქონდა, კერძოდ, პროკურორი უფლებამოსილი იყო, ბრალდებაზე უარი ეთქვა სასამართლოში დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე<sup>232</sup>. თავის მხრივ, დღეს მოქმედი წესების მიხედვით, სახელმწიფო ბრალმძებელს დასკვნითი სიტყვის წარდგენა განაჩენის გამოტანისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ შეუძლია<sup>233</sup>. კანონით განსაზღვრულია, რომ დასკვნითი სიტყვის წარდგენა შესაძლებელია როგორც პირველი ინსტანციის<sup>234</sup>, ისე სააპელაციო სასამართლოში<sup>235</sup>. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციაში სასამართლო სხდომის პროცედურებს, კანონში საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასკვნითი სიტყვით სარგებლობის უფლება არ იხსენიება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ის იგულისხმება, შემდეგ გარემოებათა გამო: 1. საკასაციო სხდომაზე სიტყვით გამოდიან მხარეები<sup>236</sup>. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აკონკრეტებდა, „სიტყვით გამოსვლა“ შესავალ სიტყვას ნიშნავდა თუ დასკვნითს, ნორმის ანალოგიიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა გაეთავისებინა, რომ ზოგადი სახელი – „სიტყვით გამოსვლა“ გულისხმობდა მხარის პოზიციის

---

<sup>231</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №370 აპ-12, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba33.pdf> (ბოლო ნახვა: 02.11.2022).

<sup>232</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ. (2013 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 250, ნაწ. 1.

<sup>233</sup> იხ. იქვე, მუხ. 249.

<sup>234</sup> იხ. იქვე, მუხ. 251.

<sup>235</sup> იხ. იქვე, მუხ. 297, ქვ. „ა“.

<sup>236</sup> იხ. იქვე, მუხ. 306, ნაწ. 2.

დამადასტურებელ ისეთ სიტყვას, რომელიც თავისი შინაარსით დასკვნითი სიტყვის ფორმულირება იყო. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს კანონის სხვა ჩანაწერიც, რომელიც კასატორს ანიჭებს რეპლიკის უფლებას<sup>237</sup>, ხოლო მსჯავრდებულს – საბოლოო სიტყვის უფლებას<sup>238</sup>. საპროცესო წესების მიხედვით, მხარეებს რეპლიკის უფლებისა და ბრალდებულს – საბოლოო სიტყვის უფლების გამოყენება მხოლოდ დასკვნითი სიტყვის წარდგენის შემდეგ შეუძლიათ<sup>239</sup>. შესაბამისად, ჩვენი პოზიცია, რომ საკასაციო ინსტანციაში სიტყვით გამოსვლაში კანონმდებელმა მხარეების დასკვნითი სიტყვით გამოსვლაც იგულისხმა, კანონის მოთხოვნით დასტურდება. საწინააღმდეგო შემთხვევაში მათ უბრალოდ ვერ მიეცემოდათ რეპლიკით სარგებლობის უფლება, ხოლო ბრალდებული ვერ გამოიყენებდა საბოლოო სიტყვით სარგებლობის უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ სადავო საკითხი არასწორად გადაწყვიტა, რადგან მოსამართლეების დასაბუთება კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კანონმდებელმა ნორმის შინაარსში მეტი სიცხადე შეიტანა, როდესაც „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 30 მაისის №662-III კანონით შეცვალა საქართველოს სსსკ-ის 250-ე მუხლის შინაარსი, კერძოდ, პროკურორს მისცა სრული უფლებამოსილება, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი აემოქმედებინა საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე ნებისმიერ ინსტანციაში, მათ შორის, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სხდომაზე. კანონის აღნიშნული ნორმა 2016 წლის 24 ივნისამდე მოქმედებდა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

რაც შეეხება პრობლემის მეორე ნაწილს, კერძოდ, კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორი, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა თავის პოზიციას ხაზგასმით ამყარებდა იმ გარემოებაზე, რომ, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლოს

---

<sup>237</sup> იხ. იქვე, ნაწ. 5.

<sup>238</sup> იხ. იქვე, ნაწ. 6.

<sup>239</sup> იხ. იქვე, მუხ. 252 და მუხ. 253, ნაწ. 1.

განაჩენის შეცვლა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, ხოლო ზედა ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო ქმედებად იქნა წარმოჩენილი. აღნიშნულ მოსაზრებას არ ვეთანხმებით. თავდაპირველად ჩვენს პოზიციას ფორმალური საფუძვლებით დავასაბუთებთ. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი ნათლად განმარტავს, რომ პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის უფლება აქვს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, რაც საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში განხილვის დროს თავისთავად მეტყველებს წინა ინსტანციის სასამართლოს განაჩენის არსებობასა და პირისთვის მსჯავრდებულის სტატუსის მინიჭებაზე და ამ პირობებში ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის მოქმედების მართებულობაზე. რაც შეეხება ჩვენი პოზიციის დამადასტურებელ ფაქტობრივ საფუძვლებს, უნდა აღინიშნოს, რომ, კანონის თანახმად, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის და მოსამართლის მიერ მისაღები შემაჯამებელი გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევა. მარტივად რომ ვთქვათ, ბრალდებაზე პროკურორის უარი განაჩენი არ არის. იგი თავისი შინაარსით ვერ ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილებად და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. ასეთი ვითარება კი იძლევა საფუძველს, ვიმსჯელოთ როგორც საკანონმდებლო ინიციატივის ავტორის, ისე საკასაციო პალატის მიერ კონკრეტული განაჩენის დასაბუთების მცდარობაზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კონსტიტუციასა და კანონს შორის კოლიზიაზე არასწორი აპელირებით საკანონმდებლო ორგანომ სათანადო შესწავლისა და ანალიზის გარეშე გაიზიარა მცდარი მოსაზრება და მას კანონის სახე მისცა.

უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ კანონის მოქმედი ნორმა, რომელიც პროკურორს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სხდომაზე თავისი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას უკრძალავს, დააზარალებს მართლმსაჯულების პროცესს. მაგალითად, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც

საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს<sup>240</sup>, ან არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი<sup>241</sup>, სასამართლოს მოუწევს ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო განსასჯელის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რაც ცნობილი იქნება აგრეთვე საქმეში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებლისთვის, რომელიც ბრალდებაზე უარის თქმის უფლებას მხოლოდ იმიტომ ვერ გამოიყენებს, რომ ამას ფორმალურად უკრძალავს მოქმედი საპროცესო კოდექსი. ეს გააჭიანურებს მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპებს, ისე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს მართლმსაჯულების დაჩქარების საკითხზე.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა“.

ე) ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს სასამართლოს იმავე ბრალდებულის მიმართ<sup>242</sup>. კანონის აღნიშნული ჩანაწერი შეესაბამება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს<sup>243</sup>. ამასთანავე, ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო კონკრეტული ბრალდებულის მიმართ ბრალდებაზე უარის თქმას, შეიძლება გახდეს სხვა ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი<sup>244</sup>.

---

<sup>240</sup> იხ. იქვე, მუხ. 310, ქვ. „ა“.

<sup>241</sup> იხ. იქვე, ქვ. „დ“.

<sup>242</sup> იხ. იქვე, მუხ. 250, ნაწ. 2.

<sup>243</sup> იხ. იქვე, მუხ. 18, ნაწ. 2.

<sup>244</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადემქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015 წ., გვ. 716; Головки Л., Институты отказа прокурора от обвинения и изменения обвинения в суде: постсоветские перспективы в условиях теоретических заблуждений, Государство и право, 2012, №2, с. 50–67.

რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ფორმას, იგი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, კერძოდ, გაურკვეველია, შესაბამისი გადაწყვეტილება სასამართლოში წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი თუ სახელმწიფო ბრალმდებელს შეუძლია დევნის შეწყვეტა ზეპირადაც მოითხოვოს. გარდა ამისა, კანონით არ არის რეგლამენტირებული არც აღნიშნული გადაწყვეტილების საპროცესო სახე, კერძოდ, მას დადგენილების სახე უნდა ჰქონდეს, შუამდგომლობის თუ, უბრალოდ, პროკურორის მიმართვის. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს სახელმწიფო ბრალმდებელს ზემდგომი პროკურორის თანხმობა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება ესაჭიროება, რაც თავისთავად მეტყველებს წერილობითი საპროცესო აქტის შედგენის აუცილებლობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორს შეუძლია თავის ზეპირ სიტყვაშიც გაითვალისწინოს ყველა საჭირო კომპონენტი, მათ შორის, დააფიქსიროს ზემდგომი პროკურორის პოზიცია. ს. ბოიაროვი და პ. ბარაბანოვი თავიანთ ნაშრომებში ხაზგასმით აღნიშნავენ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დამოუკიდებელი წერილობითი საპროცესო დოკუმენტის არსებობის აუცილებლობას<sup>245</sup>, რაც შეგვიძლია ნაწილობრივ გავიზიაროთ, ვინაიდან წერილობითი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის მიერ თანხმობის გამოხატვის საკითხი ფორმალური კუთხით მარტივად გადაწყდება, ამასთანავე, ზედმეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დოკუმენტში ნათლად იქნება ჩამოყალიბებული პროკურორის პოზიცია, აგრეთვე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება და სამართლებრივი შედეგი, მაგალითად, სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდებაზე უარს ნაწილობრივ ამბობს თუ სრულად, თუ ნაწილობრივ – რომელი ბრალდების ან დანაშაულებრივი ქმედების ნაწილში, და სხვა. ამასთანავე, ვერ დავეთანხმებით ფ. იაგოფაროვის საკანდიდატო დისერტაციაში წარმოდგენილ მოსაზრებას, რომ პროკურორი არ არის ვალდებული, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის მოტივაცია წერილობით

---

<sup>245</sup> Барабанов П., Реализация потерпевшим права на поддержание обвинения по делам публичного (частно-публичного) обвинения, Мировой судья, 2006, №4, с. 10–12; Бояров С., Судебный отказ прокурора от обвинения, Уголовный процесс, 2005, №8, с. 44.

ჩამოყალიბოს და, უფრო მეტიც, იგი არ უნდა ასაბუთებდეს გადაწყვეტილებას, რადგან ეს მას თავის მართლებისა და ბოდიშის მოხდის რეჟიმში აყენებს<sup>246</sup>. აღნიშნულ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეძლებისდაგვარად წერილობით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. იგი შესაძლებელია განხილული არ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი საპროცესო დოკუმენტი (დადგენილება, შუამდგომლობა), მაგრამ მასში ნათლად და დეტალურად უნდა იყოს აღწერილი, რა საფუძვლების არსებობამ, რომელი მტკიცებულებების ანალიზმა და საქმის რა ფაქტობრივმა გარემოებებმა მიიყვანა პროკურორი იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარი უნდა განეცხადებინა. აღნიშნული, ერთი მხრივ, პროცესის მონაწილეებისთვის ნათელს გახდის სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების არსსა და საფუძვლებს, მეორე მხრივ კი, სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, გააანალიზოს პროკურორის პოზიცია და მასზე სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს.

ბრალდებაზე პროკურორის უარის დასაბუთების აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოება, რომ პროკურორის გადაწყვეტილება გასაგები უნდა იყოს პროცესის სხვა მონაწილეებისა და სასამართლოსთვის. გარდა ამისა, არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნა<sup>247</sup>.

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის კონკრეტული ელექტრონული ფორმა არ არის გათვალისწინებული არც გამოძიების ელექტრონულ პროგრამაში, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედების გამოძახება და ამ მოქმედების შესახებ ელექტრონული დოკუმენტების მოძებნა<sup>248</sup>. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან გამოძიების ელექტრონული პროგრამა სასამართლოს სისტემას ელექტრონულად აღარ უკავშირდება<sup>249</sup> და გამომძიებლისა და პროკურორისთვის ერთგვარ შიდა მოხმარების პროგრამად იქცა,

---

<sup>246</sup> Ягофаров Ф., Механизм реализации функции обвинения при рассмотрении дела судом первой инстанции, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Оренбург, 2003, с. 41–70.

<sup>247</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 24, პ. 2.

<sup>248</sup> ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის არსი, მნიშვნელობა და მოქმედების სფერო, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(62)2019, გვ. 126-127.

<sup>249</sup> იხ. იქვე, გვ. 124-125.



მიზანშეწონილია, აღნიშნული საპროცესო გადაწყვეტილება გამოძიების ახალ ელექტრონულ პროგრამაში მაინც იყოს გათვალისწინებული, ხოლო მანამდე რეგლამენტირებულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ფორმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის. კანონით არ არის განსაზღვრული, აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოს წერილობით უნდა წარედგინოს თუ ზეპირად, ვინაიდან კანონი პროკურორის მიერ რაიმე დოკუმენტის (დადგენილება, შუამდგომლობა) შექმნას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, თუ პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ თავის პოზიციას სასამართლო განხილვის დროს ზეპირად წარადგენს, ეს დარღვევა არ იქნება. სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებული 2 ძირითადი ასპექტი: 1. რა ფორმით წარუდგენს თავის გადაწყვეტილებას სასამართლოს; 2. რა სახით ასახავს ამ გადაწყვეტილებაში ზემდგომი პროკურორის თანხმობას. ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება წერილობითი უნდა იყოს და, უფრო მეტიც, მას საპროცესო დოკუმენტის (დადგენილება, შუამდგომლობა) ფორმა უნდა ჰქონდეს<sup>250</sup>. ამას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ სასამართლო სხდომის მდივანმა სასამართლო სხდომის ოქმში შესაძლებელია სრულყოფილად ვერ ასახოს პროკურორის მიერ ზეპირად გადმოცემული პოზიცია<sup>251</sup>. აღნიშნულ დასაბუთებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან საქართველოში სასამართლო სხდომის მიმდინარეობა ელექტრონულად ფიქსირდება, კერძოდ, სასამართლო სხდომის ოქმში პროცესის მონაწილეთა საუბრის ფიქსაცია სინქრონულად ხდება. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემა ქართული მართლმსაჯულების წინაშე არ დგას. ამასთანავე, პრინციპულად არ

---

<sup>250</sup> Барабанов П., Реализация потерпевшим права на поддержание обвинения по делам публичного (частно-публичного) обвинения, Мировой судья, 2006, №4, с. 10; Землянухин А., Отказ от обвинения в системе уголовно-процессуальных актов, Дисс. на соискание ученой степени канд. юрид. наук, Саратов, 2005, с. 82; Яковлев Н., Ограничение прав потерпевших на свободный доступ к правосудию, Журнал российского права, 2005, №5, с. 73; Бояров С., Судебный отказ прокурора от обвинения, Уголовный процесс, 2005, №8, с. 44.

<sup>251</sup> Щербаков Ю., Отказ прокурора от обвинения: последствия для потерпевшего, Законность, 2002, №2, с. 29-30.

ვეთანხმებით იმას, რომ ბრალდებაზე უარის თქმას შუამდგომლობის ხასიათი ჰქონდეს და საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლებამოსილება მოსამართლეს მიენიჭოს. ასეთ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ დაირღვევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპი – შეჯიბრებითობის პრინციპი, ბრალდებაზე უარის თქმის ისედაც სუსტი ინსტიტუტი (როგორც ის დღევანდელი გადასახედიდან ჩანს) თავის ფუნქციას დაკარგავს. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობით, დაზარალებული აღარ არის მხარე. შესაბამისად, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და სასამართლოსთვის წარდგენის შემდეგ ვინ უნდა დაუჭიროს მხარი სახელმწიფო ბრალდებას: პროკურორმა მისი ნების საწინააღმდეგოდ, მოსამართლემ, რომელსაც პროცესში ობიექტური არბიტრის როლი აქვს, თუ დაზარალებულმა, რომელიც მხარე არ არის? აღნიშნულ კითხვას პასუხი უკვე გავეცით კვლევის სხვადასხვა ნაწილში. კვლავ გავიმეორებთ, რომ სახელმწიფო ბრალმძებლის განხორციელების უფლებამოსილება მხოლოდ პროკურორს აქვს. მიგვაჩნია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებას კი არ უზრუნველყოფს, არამედ პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ასრულებს – ახდენს პირის (ამ შემთხვევაში – თუნდაც ბრალმძებლის) უფლებების დაცვის რეალიზებას.

აქვე განვიხილოთ პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. სასამართლოში აღნიშნული გადაწყვეტილების წერილობით წარდგენა, რა თქმა უნდა, გამორიცხავს ყოველგვარ უზუსტობასა და ბუნდოვანებას, ვინაიდან წერილობით ჩამოყალიბებულ გადაწყვეტილებაში ნათლად და გარკვევით იქნება ასახული ის ფაქტობრივი თუ ფორმალური საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც გადაწყვიტა სახელმწიფო ბრალმძებელმა ბრალდებაზე უარის თქმა. ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარს ნაწილობრივ ამბობს. წერილობით დოკუმენტში პირდაპირ იქნება მითითებული, ბრალმძებლის რა ნაწილს ეხება პროკურორის უარი. პროკურორის აღნიშნული გადაწყვეტილების წერილობითი ფორმა უფრო მეტად

შეესაბამება აგრეთვე საკანონმდებლო მოთხოვნას მისი დასაბუთების თაობაზე. ამასთანავე, პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წერილობითი ფორმა სასამართლოსთვის, ბრალდებულისა და დაზარალებულისთვის უფრო მისაღები იქნება, ვინაიდან მისი აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები მხარეებს ამ გადაწყვეტილების შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე ნათელ წარმოდგენას შეუქმნის. გარდა ამისა, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ბრალმდებელს სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ზემდგომი პროკურორის თანხმობა ესაჭიროება. შესაბამისად, შესაძლებელია და მიზანშეწონილიც არის, სასამართლოს ზემდგომი პროკურორის თანხმობა წერილობით წარედგინოს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განმარტებული არ არის, რა ფორმით უნდა იქნეს სასამართლოში წარდგენილი ზემდგომი პროკურორის თანხმობა. შესაბამისად, შეიძლება მისი წერილობითი ფორმით წარდგენა (მაგალითად, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ხელს აწერს სახელმწიფო ბრალმდებელი, შესაძლებელია იყოს ზემდგომი პროკურორის ხელმოწერაც, რომლითაც იგი ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას). ასევე შესაძლებელია, სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ზეპირად წარდგენის შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმდებელმა აღნიშნოს, რომ ზემდგომი პროკურორი (რა თქმა უნდა, უნდა მიეთითოს მისი თანამდებობა და ვინაობა) ეთანხმება მის გადაწყვეტილებას, რაც დარღვევა არ იქნება, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება მას ზემდგომ პროკურორთან წინასწარ ექნება შეთანხმებული. რაც შეეხება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების წერილობითი ფორმის უარყოფით მხარეებს, უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი დოკუმენტის მომზადება გარკვეულ დროს მოითხოვს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე და საქმეზე გამოკვეთილი ახალი რეალობის ფარგლებში, საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების, შინაგანი რწმენისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, მივა დასკვნამდე, რომ იგი ვალდებულია

მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ, მას თავისი პოზიციის წერილობით ჩამოსაყალიბებლად გარკვეული დრო დასჭირდება, რაც გამოიწვევს პროცესის კიდევ რამდენიმე დღით ან კვირით გადადებას, ეს კი საკმაოდ მტკივნეული და პრობლემური იქნება ისეთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზედაც პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრებული პირის უფლებების დარღვევა ტექნიკური ფაქტორების გამო გახანგრძლივდება.

რაც შეეხება დღეს მოქმედ ნორმებს, სახელმწიფო ბრალმდებელმა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხი დროულ და ეფექტიან რეაგირებას საჭიროებს, ზემდგომი პროკურორისგან თანხმობა შეიძლება მიიღოს სატელეფონო ან სხვა სახის კომუნიკაციის შედეგად, რასაც კანონი არ კრძალავს. გარდა ამისა, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ზეპირად და დაუყოვნებლივ წარდგენა დააჩქარებს და გამარტივებს სისხლის სამართალწარმოების პროცესს, რაც თანხვედრა ევროპის საბჭოს რეზოლუციებს სამართალწარმოების დაჩქარებისა და გამარტივების საკითხზე<sup>252</sup>.

მოქმედ კანონმდებლობაში არსად არ არის მითითებული, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას დადგენილების ფორმა უნდა ჰქონდეს თუ შუამდგომლობის ან ნებართვის. რაც შეეხება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ამის თაობაზე ერთგვარი მინიშნებაა „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებაში, რომელშიც ბრალდებაზე უარის თქმა შუამდგომლობად არის მიჩნეული<sup>253</sup>. პროკურატურის აღნიშნული მიდგომა აისახა აგრეთვე ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში, რომლებიც სასამართლო პრაქტიკას ეხება. თითქმის ყველა შემთხვევაში პროკურორი ბრალდებაზე უარის თქმის

---

<sup>252</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(81)7 წვერი სახელმწიფოების მიმართ, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ, 14 მაისი, 1981 წელი; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(87)18 წვერი სახელმწიფოების მიმართ, მართლმსაჯულების გამარტივებასთან დაკავშირებით, 17 სექტემბერი, 1987 წელი.

<sup>253</sup> „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №047, 11 დეკემბერი, 2020 წ., დანართი №3, თ. I, მუხ. 1, პ. 2, ქვ. „3“.

შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლოს შუამდგომლობის სახით წარუდგენს, რაც არასწორ პრაქტიკად მიგვაჩნია. პროკურორის აღნიშნულ გადაწყვეტილებას, რომელსაც სასამართლოსთვის წარდგენის დროს უკვე დასრულებული ფორმა აქვს, დადგენილების სახე უნდა ჰქონდეს. ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. პროკურორი აღნიშნული განაცხადით რაიმე სამართლებრივი შედეგის დადგომას კი არ შუამდგომლობს, არამედ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თვითონ თავისი უფლებამოსილებით აყენებს შედეგს. ეს გადაწყვეტილება, თავის მხრივ, სასამართლოსთვის სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანის სამართლებრივი საფუძველია. ამ გადაწყვეტილების მიღებას მოსამართლეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ავალდებულებს. ის დამატებითი შუამდგომლობის ან მიმართვის გარეშე მიიღება.

## თავი II

### სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ეთიკური, ფსიქოლოგიური და ლოგიკური ასპექტები

#### §1. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ეთიკური ასპექტი

ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა მისი უფლებაა თუ ვალდებულება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. შევეცდებით აღნიშნული საკითხი გავარკვიოთ ეთიკურ ჭრილში. ამაში დაგვეხმარება როგორც მეცნიერთა მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით, ისე საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის სამართლებრივ მექანიზმს არეგულირებს.

მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ, თუ ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის უფლებად ჩაითვლება, მაშინ შეიძლება ისეთი ვითარება შეიქმნას, როდესაც საქმეზე სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ცალსახად მიუთითებს ბრალდებულის უდანაშაულობაზე, პროკურორი სუბიექტური თუ სხვა მოტივებით არ გამოიყენებს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს, რაც, საერთო ჯამში, დააზარალებს არა მხოლოდ უდანაშაულო პირის კანონიერ ინტერესებს, არამედ, ზოგადად, სამართლიანი მართლმსაჯულების პროცესს<sup>254</sup>. ეს მოსაზრება ლეგიტიმურია, ვინაიდან პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის დროს ობიექტურობა მართებს. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს, რომლის უმთავრესი ამოცანა სამართლიანი და ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებაა. ობიექტურობის პრინციპი, თავის მხრივ, მხოლოდ იურიდიული ხასიათის არ არის და ეთიკის ელემენტებს შეიცავს, ვინაიდან უდანაშაულო პირის

---

<sup>254</sup> Бояров С., Судебный отказ прокурора от обвинения, Уголовный процесс, 2005, №8, с. 44.; Демидов И., Тушев А., Отказ прокурора от обвинения, Российская Юстиция, 2002, №8, с. 25-26.

მსჯავრდება მხოლოდ მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ეთიკის ზოგად ნორმებსაც.

ამ მხრივ გარკვეული წინააღმდეგობაა აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ ზოგად საკანონმდებლო ნორმებს შორის. კერძოდ, „სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების“ თანახმად, „არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე“<sup>255</sup>; ამასთანავე, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“<sup>256</sup>. როგორც ვხედავთ, კანონმდებელმა მუხლის ერთ ნაწილში ბრალმდებელს უფლება მისცა, სათანადო საფუძვლების არსებობის დროს უარი თქვას ბრალდებაზე (ანუ უარის თქმას უფლების ხასიათი შესძინა), ხოლო მეორეში იგი დაავალდებულა, კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უარი თქვას ბრალდებაზე. კანონმდებელმა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა<sup>257</sup>, ისევე, როგორც ბრალდებაზე უარის თქმა<sup>258</sup>, პროკურორის უფლებამოსილებებს მიაკუთვნა. შესაბამისად, მართებული იქნება, კანონმდებლობით პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა გარკვეულ შემთხვევებში არა მის უფლებად, არამედ პოზიტიურ ვალდებულებად იყოს რეგლამენტირებული.

ბრალდებაზე უარის თქმის ეთიკური ასპექტი, თავისი სოციალური ბუნებით, დაკავშირებულია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან, რომლებითაც დასტურდება ბრალდებულის დამნაშავეობა თუ უდანაშაულობა. თუ დადგინდა, რომ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, პროკურორმა სამართლიანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რაც ბრალდებაზე უარის თქმით გამოიხატება. სათანადო ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისა და პროკურორის შინაგანი რწმენის ტრანსფორმაციის შემთხვევაში ბრალდებაზე

<sup>255</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 5, ნაწ. 2.

<sup>256</sup> იხ. იქვე, ნაწ. 3.

<sup>257</sup> იხ. იქვე, მუხ. 33, ნაწ. 6, ქვ. „ზ“.

<sup>258</sup> იხ. იქვე, მუხ. 250, ნაწ. 1.

უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელი ნებისმიერი ფაქტორი (მაგალითად, პროკურორის მუნდირის ღირსების დაცვა, სუბიექტური დამოკიდებულება, გამამტყუნებელი განაჩენის ფუჭი მოლოდინი და სხვა) დაარღვევს არა მხოლოდ კანონის, არამედ მორალურ ნორმებსაც<sup>259</sup>.

ზოგადად, პროკურორის ქცევის სტანდარტები საჯარო ინტერესს უნდა შეესაბამებოდეს. ამით უნდა მოიპოვოს მან საზოგადოების ნდობა. პროკურორის პროფესიონალიზმი განაპირობებს მის მიერ კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის ეთიკური მხარის მთავარი ფაქტორია.

ბრალდებაზე უარის თქმის დროს სახელმწიფო ბრალმძებელი მიუკერძოებლობის, სამართლიანობის, ობიექტურობის, პოლიტიკური ნეიტრალობის, წესიერების, პატიოსნების, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, საზოგადოდ მიღებული კულტურისა და ზნეობრივი ნორმებით უნდა ხელმძღვანელობდეს.

სახელმწიფო ბრალმძებელი მოვალეობის შესრულების დროს განუხრელად უნდა იცავდეს ისეთ კონსტიტუციურ პრინციპებს, როგორც არის: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა<sup>260</sup>, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები<sup>261</sup>, თანასწორობის უფლება<sup>262</sup>, ადამიანის თავისუფლება<sup>263</sup>, მიმოსვლის თავისუფლება<sup>264</sup> და სხვა.

სახელმწიფო ბრალმძებელმა სამსახურებრივი მოვალეობები კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს და არ უნდა დაუშვას სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი სარგებლისთვის ან ნებისმიერ პირზე უკანონო ზემოქმედებისთვის გამოყენება. სახელმწიფო ბრალმძებლის განხორციელების დროს პროკურორი არ უნდა მოექცეს თანამდებობის პირთა, პოლიტიკოსთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. მის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელებული საქმიანობა

<sup>259</sup> Горский Г., Кокорев Л., Котов Д., Судебная этика, Воронеж, 1973, с. 150.

<sup>260</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 9.

<sup>261</sup> იხ. იქვე, მუხ. 10.

<sup>262</sup> იხ. იქვე, მუხ. 11.

<sup>263</sup> იხ. იქვე, მუხ. 13.

<sup>264</sup> იხ. იქვე, მუხ. 14.



სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტიანობის სტანდარტებს უნდა ესადაგებოდეს.

პროკურორს ეკრძალება, განახორციელოს შეუფერებელი საქმიანობა. მის მიერ მიღებული ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული, გასაგები და სამართლებრივად გამართული უნდა იყოს, რაც ობიექტურ პირს ამ გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნებს და სახელმწიფო ბრალმდებლის დამოუკიდებლობის რწმენას გაუმყარებს, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება მის სამსახურებრივ საქმიანობაზე, აგრეთვე პროკურატურის ავტორიტეტსა და სახელზე<sup>265</sup>.

## **§2. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტი**

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თუ სასამართლო განხილვის დროს თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც მხარეთა შეჯიბრებითობიდან და, შესაბამისად, ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებიდან გამომდინარეობს. ბრალდებისა და დაცვის მხარეთა აქტიურობა მიმართულია სასამართლოში საკუთარი პოზიციების უკეთ წარმოჩენისა და ამის შედეგად მათთვის სასურველი შემაჯამებელი გადაწყვეტილების დადგომისკენ<sup>266</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის პროცესის მარეგულირებელ მოქმედ ნორმათა აქტივობას ზრდის ის სპეციფიკური სირთულეები, რომლებიც დამახასიათებელია ბრალდების მხარის მისწრაფებისთვის – საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი, აგრეთვე დაცვის მხარის საპირისპირო ამოცანისთვის – ბრალდებული გამართლდეს<sup>267</sup>.

---

<sup>265</sup> „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №038, 26 აგვისტო, 2020 წ., მუხ. 21.

<sup>266</sup> Van Caenegem W., Adversarial Systems and Adversarial Mindsets: Do We Need Either?, Bond Law Review, Vol. 15, Issue 2, 2003, pp. 111-112.

<sup>267</sup> Roberts P., Science in the Criminal Process, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 14, Issue 4, 1994, p. 470-471.

როგორც აღვნიშნეთ, ბრალდებაზე უარის თქმის დროს, საკანონმდებლო და ფაქტობრივი გარემოებების გარდა, უნდა არსებობდეს დამატებითი ფაქტორი, რომელიც პროკურორის შინაგანი რწმენის ტრანსფორმაციასა და სახელმწიფო ბრალმდებლის აღქმის სწორ უნართან არის დაკავშირებული. შექმნილი რეალობის ობიექტურად აღქმის პროცესი გარკვეულწილად უკავშირდება პიროვნულ გამოცდილებას<sup>268</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ ადამიანი ხშირად ცდილობს, გარე ფაქტორები თავისი სუბიექტური მისწრაფებებიდან გამომდინარე აღიქვას, და გაუთვითცნობიერებლად კარგავს ობიექტურობის გარკვეულ ხარისხს, კერძოდ, ახდენს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას, რაც ფაქტების მიმართ შერჩევით დამოკიდებულებას იწვევს. ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც, თავის მხრივ, აზარალებს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების ობიექტურად შეფასებისა და ანალიზის პროცესს.

ბრალდებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტი აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის სწორად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია და უშუალოდ არის დამოკიდებული პროკურორის აღქმასა და შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე იმასთან დაკავშირებით, დანაშაულებრივი ქმედება ბრალდებულმა ჩაიდინა თუ არა<sup>269</sup>.

ბრალდებაზე უარის თქმა, თავის მხრივ, ნიშნავს ისეთ სტადიას, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს და, უფრო მეტიც, საქმესა და ბრალდებას გავლილი აქვს, სულ მცირე, ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტისა დასაბუთებულობის ტესტი და, შესაძლებელია, – გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაბუთებულობის ტესტიც. ამ დროს პროკურორს განცხადებული აქვს თავისი დამოკიდებულება საქმისა და ბრალდებულის მიმართ, აქტიურად უჭერს მხარს ბრალდებას და ჩამოყალიბებული აქვს შინაგანი რწმენა, რომ პირმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

პროკურორის საქმიანობაში ფსიქოლოგიური სირთულეების არსებობა აქტუალური საკითხია. მოსამართლისგან განსხვავებით, რომელიც პირველად ეცნობა საქმეს და რომლის შინაგანი რწმენის ფორმირება სასამართლოში

<sup>268</sup> თრენკელი ე., მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია, თბ., 2009 წ., გვ. 9.

<sup>269</sup> Зеленецкий В., Отказ Прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 40.

გამოკვლევითი მტკიცებულებების ანალიზზე დაამოკიდებული, სახელმწიფო ბრალმძებელს წინასწარ აქვს შესწავლილი და გააზრებული საქმის დეტალები და ჩამოყალიბებული აქვს შინაგანი რწმენა დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით. პროკურორი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, თუ სასამართლო განხილვის პროცესში მოუწევს, დიამეტრულად შეცვალოს თავისი მოსაზრება კონკრეტულ საქმესა და ბრალდებასთან დაკავშირებით. ეს მოითხოვს რადიკალურ შიდა რესტრუქტურირებას, რაც მარტივად მისაღწევი არ არის.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყოვლად მიუღებელია პროცესში სახელმწიფო ბრალმძებლად ისეთი პროკურორის მონაწილეობა, რომლის პროფესიული მომზადების დონე დაბალია და რომელიც გარკვეული ფსიქოლოგიური თვისებების ნაკლებობას განიცდის. ამ შემთხვევაში ბრალმძებელი ვერ შეძლებს სასამართლოში წარდგენილი და გამოკვლევითი მტკიცებულებების კრიტიკულად გაანალიზებას, რაც, თავის მხრივ, მოსამართლეს საქმეზე ობიექტური შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას გაურთულებს. ასეთ პროკურორებს უმარტივესი, სტერეოტიპული აზროვნება და მოქმედება ახასიათებთ, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სათანადო განათლების არქონით, ზოგადი უნარ-ჩვევების ნაკლებობით, დაბალი ინტელექტის კოეფიციენტით და სხვა მიზეზებით. სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, პირველ რიგში, დააზარალებს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესს. გარდა ამისა, პროკურორის, როგორც საჯარო ფიგურის, ინდიფერენტულობა საზოგადოების მიერ შეუმჩნეველი არ დარჩება, რაც შელახავს პროკურატურის სისტემისა და, ზოგადად, სახელმწიფოს პრესტიჟს.

სახელმწიფო ბრალმძებელი საქმეში არსებულ და სასამართლოში განხილულ ფაქტობრივ გარემოებებს ობიექტურად უნდა აფასებდეს და გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცებულებებს ერთნაირი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს. ეს პროკურორისგან მოითხოვს მყარ ფსიქოლოგიურ უნარ-ჩვევებს, რომლებითაც იგი ბრალმძებლის სტერეოტიპს დაძლეავს, რის შემდეგაც საჭიროების შემთხვევაში არ

გაუჭირდება, ადამიანის უფლებების დამცველის მანტია მოისხას და ბრალდებაზე უარი თქვას.

როგორც წესი, სასამართლოში პროკურორი სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს იმ ნაწილში, რომელსაც საკუთარი, შინაგანი რწმენით უტყუარად დადასტურებულად მიიჩნევს. შესაბამისი მტკიცებულებების სიმყარის საზომი სწორედ სასამართლოში მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით მათი დეტალური გამოკვლევაა. ამ დროს სახელმწიფო ბრალმდებელი განიმტკიცებს შინაგან რწმენას, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა მისთვის ინკრიმინირებული ქმედება. ამასთანავე, თუ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზი პროკურორს უქმნის შინაგან რწმენას, რომ ბრალდებულის ქმედებაში აღარ იკვეთება დანაშაულის ნიშნები, იგი იმ რეალობის წინაშე აღმოჩნდება, რომ თავისი დისკრეციული უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს და ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარი უნდა თქვას.

სახელმწიფო ბრალმდებლის უმთავრესი ამოცანაა, სასამართლო განხილვის მსვლელობისას, ისევე, როგორც გამოძიების პროცესში, გულდასმით შეამოწმოს საქმეზე შეგროვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები და მათი ანალიზის საფუძველზე შეიქმნას მყარი შინაგანი რწმენა. თუ მტკიცებულებების გულდასმით შესწავლის შემდეგ პროკურორს პოზიციის შეცვლა მოუწია, ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მისი ან იმ პროკურორის პროფესიონალიზმი, რომელმაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართა. ამ დროს სახელმწიფო ბრალმდებელი არც სინდისის ქენჯნას უნდა გრძნობდეს და არც იმის უნდა ეშინოდეს, რომ ბრალდებაზე უარის თქმა გამოიწვევს საკუთრივ მის ან სხვა პროკურორის თუ გამომძიებლის პასუხისმგებლობას. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც გამომძიებელსა და პროკურორს კანონი განზრახ არ დაურღვევიათ, სუბიექტური თუ სხვა არამართლზომიერი მიდგომა არ ჰქონიათ და არც გულგრილობა გამოუჩენიათ. ბრალდებაზე უარის თქმის უფლებამოსილება, თავისი არსითა და მნიშვნელობით, პროკურორისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და განხორციელებას უნდა უთანაბრდებოდეს. ამ ინსტიტუტის ამოქმედება

სახელმწიფო ბრალდებელში იმედგაცრუებასა და შინაგან პროტესტს არ უნდა იწვევდეს. უფრო მეტიც, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პროკურორის, როგორც დევნის განმახორციელებელი პირის, მიერ პოზიციის ობიექტურად შეცვლა მისასაღმებელი და ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის ამოქმედებისა და ეფექტიანობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, პროკურორმა გაითავისოს საკუთარი უფლებების არსენალის სიდიადე და ის, რომ მისი ობიექტურ, სწორ და, ამავე დროს, დროულ გამოყენებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მართლმსაჯულების განხორციელებისას პროკურორი უნდა იყოს არა პროცესის ისეთი სუბიექტი, რომელიც მხოლოდ ჯიუტად ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, არამედ ობიექტური საჯარო მოხელე, რომელიც ვალდებულია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში საკუთარი წვლილი შეიტანოს.

ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორმა საკუთარი უფლება-მოვალეობების გენერალური ხაზიდან გადახვევად უნდა აღიქვას? რა თქმა უნდა, არა. მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის იმ უფლებამოსილების ტოლფასია, რომლითაც მას შეუძლია პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს. პროკურორი ფსიქოლოგიურად მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ შესაძლებელია ნებისმიერ დროს მოუწიოს ბრალდებაზე უარის თქმა და რომ არ არსებობს ისეთი საქმე და მტკიცებულებები, რომლებიც წინასწარ იძლევა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გარანტიას. ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს პროკურორი სერიოზულად უნდა მოეკიდოს, რისთვისაც ეს ინსტიტუტი მხოლოდ ფორმალურად არ უნდა იყოს რეგლამენტირებული და მისი ფუნდამენტური უფლებამოსილებების ჩამონათვალში (პირის დაკავება, მისთვის ბრალდების წარდგენა, მისი დაზარალებულად ცნობა და სხვა) უნდა იქნეს გადატანილი.

ბრალდებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტები შესაძლებელია განვიხილოთ აგრეთვე 2 ჭრილში: გადაწყვეტილების მიღებამდე და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დღის წესრიგში დგება მისი სასამართლოსთვის წარდგენა და გასაჯაროება, მნიშვნელოვანია, პროკურორმა გამოიჩინოს ისეთი თვისებები, რომლებიც

დამახასიათებელი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის, კერძოდ, მხარეებს დაანახოს თავისი პრინციპულობა, შეუპოვრობა, სიმტკიცე, წარმოქმნილი სირთულეების დაძლევის უნარი, ტოლერანტობა, გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის აუცილებელი აზროვნების კრიტიკულობა, კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი, მხარეთათვის მისაღები გადაწყვეტილების პოვნის ძალა და უნარი<sup>270</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქოლოგია არის მეცნიერება შემეცნების კანონზომიერებათა შესახებ, მას უწოდებენ აგრეთვე „მეცნიერებას სულის შესახებ“<sup>271</sup>, რომელიც სწავლობს, რა ფაქტორები აღძრავს ადამიანის ქცევას და რა ფაქტორები უწყობს ხელს გადაწყვეტილების მიღებას<sup>272</sup>. ბრალდებაზე უარის თქმის ფსიქოლოგიური ასპექტები, მისი სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად: 1. პროკურორის, როგორც ინდივიდის, ქცევის ფსიქიკური პროცესები (მაგალითად, ზოგადი განათლება, ინტელექტის კოეფიციენტი, აღზრდა, ღირებულებები, მისწრაფება, პატიოსნება, აღქმის უნარი და სხვა); 2. პროკურორის, როგორც დარგის სპეციალისტის, ქცევის ფსიქიკური პროცესები (მაგალითად, სოციალური, ძიებითი, რეკონსტრუქციული, კომუნიკაბელური და სხვა<sup>273</sup>); 3. პროკურორის, როგორც უფლებამოსილი პირის, ქცევის ფსიქიკური პროცესები (მაგალითად, პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, კანონიერება, სამართლიანობა, საქმიანობის ხარისხი, დამოუკიდებლობა და სხვა).

ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა თითოეული ზემოაღნიშნული ჯგუფისთვის დამახასიათებელი ფაქტორების ჰარმონიული თანაარსებობა, ვინაიდან ამ საპროცესო გადაწყვეტილების მიღების ან რეალიზების დროს გამოვლენილ და განვითარებულ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს ვერ განსაზღვრავს მხოლოდ პროკურორის ან იურისტის პროფესიული დამოკიდებულება საკითხის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, პროკურორი ინდივიდია და ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს არა ავტომატურად, კანონის ნორმებსა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე

---

<sup>270</sup> თეზელიშვილი ს., ფსიქოლოგიის ენციკლოპედია, თბ., 2014 წ., გვ. 338.

<sup>271</sup> იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2007 წ., გვ. 6.

<sup>272</sup> სვანიძე ლ., იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 2008 წ., გვ. 1.

<sup>273</sup> იხ. იქვე, გვ. 24.

დაყრდნობით, არამედ ისეთი ადამიანური შეგრძნებების საფუძველზე, რომლებიც საკითხის სწორად აღქმასთან არის დაკავშირებული. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, პირველ რიგში, ინდივიდის გამართული ფსიქიკა, ხოლო შემდგომ – იურისტის უნარ-ჩვევები აყალიბებს პროკურორის, როგორც უფლებამოსილი მოხელის, შინაგან რწმენას, რომლის გამოც სახელმწიფო ბრალმდებელი დიამეტრულად იცვლის დამოკიდებულებას ბრალდებულის, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის, მიმართ და მას ობიექტურად აღიქვამს უდანაშაულო პირად.

### **§3. პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის ლოგიკური ასპექტი**

განვითარებული სამართლის სისტემების დამახასიათებელი საერთო ნიშანი „აუცილებელი“ და „ადამიანის ბუნებაზე“ დაფუძნებული გარკვეული ფუნდამენტური ცნებების არსებობაა<sup>274</sup>. ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთი ასეთი ფუნდამენტური ცნებაა დისკრეციული უფლებამოსილება. დისკრეცია განიმარტება, როგორც წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება<sup>275</sup>.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არის საჯარო დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია განსახილველი საქმისა და ბრალდებულის მიმართ. ეს გადაწყვეტილება კანონიერების, ობიექტურობის, მტკიცებულებათა შეფასებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნება, განვიხილოთ ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის ლოგიკური ბუნება.

ნებისმიერ საპროცესო გადაწყვეტილებას, მათ შორის, ჩვენს ძირითად საკვლევ საგანს, ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა უნდა ჰქონდეს. ეს პროცესის მონაწილეებს მის გააზრებას გაუადვილებს.

<sup>274</sup> Austin J., *The Province of Jurisprudence Determined and Uses of the Study of Jurisprudence*, Library of Ideas, London: Weidenfeld and Nicolson, 1954, pp. 367-368.

<sup>275</sup> დვორკინი რ., *სამართლის ფილოსოფია*, თბ., 2010 წ., გვ. 53.

პროკურორმა ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოს უნდა წარუდგინოს ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე და მსმენელი გადაწყვეტილების სისწორეში უნდა დაარწმუნოს თანამიმდევრული და ლოგიკური მსჯელობით და არა კამათით. ბრალდებაზე პროკურორის უარი, თავისი ხასიათით, უპირობოდ კატეგორიული უნდა იყოს და არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე პირობების დადგომაზე<sup>276</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ტექსტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე სახის დაუსაბუთებელ და ფაქტებს მოკლებულ მსჯელობას. ამის მიღწევა მარტივი ამოცანა ნამდვილად არ არის, ვინაიდან გადაწყვეტილების ავტორი ხშირად იჩენს სუბიექტურობას მის მიერ დაწერილი ტექსტის მიმართ და რეალურად ისე გამოდის, რომ ტექსტში გადაწყვეტილების სულისკვეთება ნათლად არ იკვეთება და მისი დასაბუთების სურვილი სურვილად რჩება. ამიტომ პროკურორმა მისაღები გადაწყვეტილების ტექსტის მიმართ ობიექტურობა უნდა გამოიჩინოს, ყურადღებით უნდა გაეცნოს თითოეულ აზრს და მხოლოდ თვალი არ გადაავლოს მათ, რაკი ტექსტი მისი დაწერილია და, შესაბამისად, ნაცნობია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რელევანტური იქნება, პროკურორმა საკუთარ თავს დაუსვას შემდეგი კითხვები: ზუსტად გადმოსცა თუ არა გადაწყვეტილებაში ის, რისი თქმაც სურდა? დასაბუთებული და გასაგებია თუ არა გადაწყვეტილების დებულებები? შედგება თუ არა გადაწყვეტილება ლოგიკური ელემენტებისგან და გასაგები იქნება თუ არა ის მხარეებისა და სასამართლოსთვის? ფაქტობრივი დასაბუთების გარდა, აუცილებელია, გადაწყვეტილების ფორმალური ნაწილი ლოგიკური თანამიმდევრობით შეეხებოდეს ყველა აუცილებელ საკითხს.

ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დამაჯერებელი უნდა იყოს და მის წამკითხველს პროკურორის დებულებათა სისწორეში უნდა არწმუნებდეს. დარწმუნება ნიშნავს კონკრეტული მოსაზრების ლოგიკური მონაცემებით დამტკიცებას ან უარყოფას. ამ ამოცანას მარტივად მისაღწევს ხდის გადაწყვეტილებაში არგუმენტაციის მოშველიება. დარწმუნება არის კომუნიკაციური პროცესი, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ დასაბუთდეს

---

<sup>276</sup> Зеленецкий В., Отказ Прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков,



ერთი ადამიანის პოზიცია მისი შემდგომი გაგებისა და სხვა ადამიანის მიერ მიღების მიზნით<sup>277</sup>. აქვე შევხებით გარკვეულ პრობლემას, კერძოდ, იმას, რომ ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის დასაბუთებას შეიძლება სპონტანური ხასიათი ჰქონდეს, ანუ გადაწყვეტილების ტექსტში ლოგიკური გადაწყვეტილებისთვის დამახასიათებელი ფორმალური და ფაქტობრივი დასაბუთების კონტურები კი არ იკვეთებოდეს, არამედ ეს იყოს უსაგნო და ინდივიდის გრძნობას აყოლილი გადაწყვეტილება<sup>278</sup>. აღნიშნულ პრობლემას, რომელიც ბრალდებაზე უარის თქმის ლოგიკურ ასპექტთანაა დაკავშირებული, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება და მისი დასაბუთება არის რთული პროცესი, რომელიც ფსიქოლოგიურ ასპექტებს მოიცავს. შესაბამისად, ასეთ პირობებში ადამიანთა ქცევა ყოველთვის ლოგიკური არ არის: მას ზოგჯერ გონება წარმართავს, ზოგჯერ – გრძნობა. შესაბამისად, არსებობს ინტუიციური, მსჯელობაზე დაფუძნებული და რაციონალური გადაწყვეტილებები<sup>279</sup>. რაციონალური გადაწყვეტილება ობიექტურ ანალიტიკურ პროცესს ეფუძნება და განსაზღვრულ ფორმალურ ლოგიკურ მოთხოვნებს ითვალისწინებს<sup>280</sup>. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილების დასაბუთება არ უნდა იქნეს დაყვანილი „მშრალ ლოგიკურ უკიდურესობამდე“<sup>281</sup>. მიუხედავად იმისა, რომ, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, გადაწყვეტილებას ვერ ექნება პრეტენზია არა მარტო სიზუსტეზე, არამედ სამართლებრივი ხასიათის ქონაზე, პროკურორი ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების საკითხს სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, ვინაიდან სამართალში ამა თუ იმ მტკიცების სისწორის გარკვევა შეუძლებელია მეცნიერული მეთოდის გამოყენებით და ჰიპოთეზის შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ მოყვანილი

---

Юридический институт, 1979, с. 47.

<sup>277</sup> რობინსი ს. პ., ჯაჯი ტ. ა., ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბ., 2009 წ., გვ. 64–85.

<sup>278</sup> ხარხელი მ., ქემელაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2013 წ., გვ. 232–239.

<sup>279</sup> Saveri A., Rheingold H., Rapid Decision Making for Complex Issues: How Technologies of Cooperation Can help, Institute for the Future, 2005, <http://www.rheingold.com/cooperation/decisionmaking.pdf>, p. 20–23.

<sup>280</sup> Mescon M. H., Albert M., Khedouri F., Management, Third Edition, Harper & Row, Publishers, New York, 1988, pp. 191–218.

<sup>281</sup> Pound Roscoe, Interpretations of Legal History, Harvard University Press, 1946, p. 123.

არგუმენტების საფუძველზე, რომლებიც უნდა იყოს სრულყოფილი და ლოგიკური<sup>282</sup>.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება პირისთვის ინკრიმინირებული კონკრეტული ქმედების ჩადენისთვის მისთვის წაყენებული ბრალდების სულისკვეთებას და სრულიად საპირისპირო შინაარსი აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილების დასაბუთება პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს არ უნდა ტოვებდეს. უფრო მეტიც, ლოგიკურად უნდა იქნეს განვითარებული მსჯელობა მის უდანაშაულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან „მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება“<sup>283</sup>.

საყურადღებო და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დღეისთვის საქართველოში პროკურორის შეფასება ხდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები) დასაბუთებულობის მიხედვით, რაც გულისხმობს არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გადმოცემას და მტკიცებულებების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებას<sup>284</sup>.

მიგვაჩნია, რომ პროკურორის შეფასების აღნიშნულ კრიტერიუმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთების შეფასების საკითხი, რაც სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ამ საპროცესო ინსტიტუტის გამოყენებას უფრო ეფექტიანს გახდის.

<sup>282</sup> ტრექსელი შ., სარა ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009 წ., გვ. 127.

<sup>283</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/548 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 22 იანვარი, 2015 წ., სამოტივაციო ნაწილი, პ. 2.

<sup>284</sup> „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №047, 11 დეკემბერი, 2020 წ., დანართი №1.

## თავი III

### პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები

#### §1. სამართლებრივი შედეგების სახეები და მათი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ქვაკუთხედი შეჯიბრებითობის პრინციპია. თუმცა იგი კვლავ აღჭურვილია ისეთი ინკვიზიციური ელემენტებით, როგორც არის მოსამართლის როლი გამოძიების სტადიაზე დაკითხვის დროს, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სტადიაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს და სხვა. აღნიშნული კოდექსი ყველაზე მეტად აშშ-ის პრეცედენტული სისხლის სამართლის საპროცესო წესების გავლენას განიცდის. თავის მხრივ, ამერიკული სამართლის სისტემა განეკუთვნება ანგლოსაქსური სამართლის სისტემას, სადაც პროკურორს თავისუფლად შეუძლია სახელმწიფო ბრალდებაზე უარი თქვას, რაც გულისხმობს საქმის წარმოების საბოლოოდ შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ახლოს დგას ამერიკულ სისხლის სამართლის საპროცესო წესებთან და ამ კანონმდებლობითაც რეგლამენტირებულია დისპოზიციურობის პრინციპი, ქართული სამართლის სისტემა მაინც განეკუთვნება რომანულ-გერმანული სამართლის სისტემას, სადაც პროკურორი, როგორც წესი, ან მთლიანად მოკლებულია ბრალდებაზე უარის თქმის უფლებას, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში, ან მას აქვს ასეთი შესაძლებლობა, მაგრამ კანონმდებელი მასთან მიმართებით გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის და ბარიერებს ადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების ხშირად განხორციელებამ, რასაც მეტწილად განაპირობებდა ანგლოსაქსური მიდგომების დანერგვა, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ინკვიზიციური ელემენტის ხელაღებით გაუქმებას იწვევდა, სისხლის სამართალწარმოებაში სერიოზული პრობლემები შექმნა.

სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას თავისი სამართლებრივი შედეგები აქვს. მოქმედი საპროცესო წესები პროკურორის უფლებამოსილებათა არსენალს სისხლის სამართალწარმოების დროს პრაქტიკულად განუსაზღვრელს ხდის. შესაბამისად, მის თითოეულ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგები მოაქვს მხარეებისა და სისხლის სამართლის პროცესისთვის. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სისხლის სამართლის საქმეზე ისეთივე მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის მომტანია, როგორც მოაქვს მის გადაწყვეტილებას სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. პროკურორის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი თანამდებობის პირის, ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორც არის პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა და ბრალდებაზე უარის თქმა, პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან. მაშინაც კი, როდესაც პროკურორი სახელმწიფოს სახელით კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას იწყებს, იყენებს კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიებას ან საპროცესო იძულების ღონისძიებას, იგი კანონიერების დაცვის რეჟიმის უზრუნველყოფისთვის არის მოწოდებული. დიახ, იგი თუნდაც ერთი პირის მიმართ პატიმრობის გამოყენებით სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის კანონიერი და დასაბუთებული გამოყენება პირდაპირ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების კანონიერად და სამართლიანად განხორციელებასთან.

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები 2 სახისაა, კერძოდ: 1. პროკურორის მიერ ბრალდებაზე კანონიერი და დასაბუთებული უარის თქმის შედეგები, რომლებსაც პოზიტიურ შედეგებსაც უწოდებენ; 2. პროკურორის მიერ

ბრალდებაზე უკანონო და დაუსაბუთებელი უარის თქმის შედეგები, რომლებსაც ნეგატიურ შედეგებსაც უწოდებენ<sup>285</sup>.

სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ, იმის გათვალისწინებით, თუ რა მოთხოვნა აქვს სახელმწიფო ბრალმდებელს<sup>286</sup>. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. რა სამართლებრივი შედეგები დგება ასეთ შემთხვევაში და რა პრობლემები ახლავს აღნიშნულ საკითხს? შევეცდებით მათი იდენტიფიცირება მოვახდინოთ ამ პარაგრაფში.

საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისთვის პროკურატურისთვის დაბრუნების შესაძლებლობა. ეს საკმაოდ პრობლემური საკითხია ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი ერთი პირის ბრალდების საქმეზე სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად ამბობს უარს. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონი სასამართლოს ავალდებულებს, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და არა სისხლის სამართლის საქმე მთლიანად. ასეთ ვითარებაში იქმნება გარკვეული საკანონმდებლო პრობლემა, კერძოდ, ის, რომ სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვიდან გამოძიებაში დაბრუნების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები არ არსებობს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საქმის სასამართლოდან გამოძიებაში (პროკურორისთვის) დაბრუნების შესაძლებლობას 2 შემთხვევაში, კერძოდ, განრიდების გამოყენების შემთხვევაში<sup>287</sup> და სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში<sup>288</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით

---

<sup>285</sup> Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 88.

<sup>286</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 1.

<sup>287</sup> იხ. იქვე, მუხ. 168<sup>2</sup>.

<sup>288</sup> იხ. იქვე, მუხ. 110.

საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სხვა შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის.

ასეთ ვითარებაში საინტერესოა, პასუხი გაეცეს კითხვას: რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგალითად, მკვლელობის საქმეზე სასამართლო განხილვის დროს სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზით დადგინდება, რომ მკვლელობაში ბრალდებულ ერთადერთ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება? რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბრალმდებელი ვალდებულია სახელმწიფო ბრალდებაზე უარი თქვას, რაც გულისხმობს მკვლელობაში ბრალდებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. ამ დროს სასამართლოში რჩება მკვლელობის საქმე, რომელსაც არ ჰყავს ბრალდებული, მაგრამ ჰყავს როგორც მსხვერპლი, ისე მისი უფლებამონაცვლე დაზარალებული. მოქმედი საპროცესო კოდექსის ნორმები ასეთ შემთხვევაში არასრულად ჩატარებული გამოძიების სასამართლო სხდომის ან მოსამართლის მიერ შევსების შესაძლებლობას არ იძლევა. კერძოდ, სასამართლო განხილვის სტადიაზე მოსამართლე ვერ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალი არ აქვს წარდგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა, გარდა იმ გარემოებისა, რომ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, გამოწვეული იყო იმით, რომ სასამართლო განხილვის დროს მოპოვებულ იქნა მკვლელობის სხვა პირის მიერ ჩადენის მტკიცებულებები, და, შესაბამისად, პროკურორი გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს, სასამართლოს არ აქვს უფლება, აღნიშნული სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთვის საჭირო სამართლებრივი პროცედურების განსახორციელებლად საქმე პროკურორს დაუბრუნოს. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ამ უფლებამოსილებით სარგებლობდა ძველი საპროცესო კოდექსით<sup>289</sup>.

---

<sup>289</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ. (2006 წლის 28 აპრილამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 426.

შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო განხილვის სტადიაზე არის შესაძლებელი, სათანადო მტკიცებულებების არსებობის დროს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს და მისი საკითხი განხილულ იქნეს სასამართლოში წარმართულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ბრალდებული სხვა პირი იყო<sup>290</sup>. გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში აღნიშნული ნორმების არსებობა ჩვენ მიერ განხილული ვითარების შექმნისას აუცილებელს არ ხდის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვიდან დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხარეთა შუამდგომლობით, აგრეთვე სასამართლოს ინიციატივით შესაძლებელია ჩატარდეს დამატებითი გამოძიება, რასაც გამომძიებელი მოსამართლე უზრუნველყოფს, ხოლო აღნიშნული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლო განხილვის სტადიაზე შეიძლება სხვა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს<sup>291</sup>. ფაქტია, რომ ასეთი მიდგომა ამარტივებს სამართალწარმოების პროცესს და სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის დაბრუნება საჭირო არ არის. შესაბამისად, საფრანგეთის კანონმდებლობაში სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის დაბრუნების მარეგულირებელი ნორმა არ არსებობს.

აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო წესები სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვიდან გამოძიებაში დაბრუნების ინსტიტუტს არ იცნობს, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის სტადიაზე სათანადო მტკიცებულებების გამოვლენისას პროკურორი უფლებამოსილია სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს სხვა პირების მიმართაც, რომლებიც სასამართლო განხილვის დაწყებამდე პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილან. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს,

<sup>290</sup> გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1987 წლის 7 აპრილი, მუხ. 264-265.

<sup>291</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2000 წლის 15 ივნისი, მუხ. 201-205.

სადაც შესაძლებელია კონკრეტული მსჯავრდების შეცვლა, სასჯელის შეცვლა ან საერთოდ ახალი სასამართლო განხილვის დანიშვნა<sup>292</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედ საპროცესო კოდექსში აღარ არსებობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი. ასევე არ არსებობს სასამართლო განხილვის სტადიაზე სხვა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მარეგულირებელი ნორმა. ეს აიძულებს პროცესის მონაწილეებს, გარკვეული სამართლებრივი გამოსავალი მოძებნონ, რათა არ დაზიანდეს გამოძიების, სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები. ფაქტია, რომ, სისხლის სამართლის საქმეში მრავალი მყარი მტკიცებულების არსებობის მიუხედავად, პირისთვის წარდგენილი ბრალდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგომის სრულ გარანტიას არ იძლევა. საქმეზე მოსამართლე გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გადაწყვეტილებას იღებს მხარეების მიერ სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ. ამასთანავე, წინასწარ არავინ იცის, რა შედეგები ექნება სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულების გამოკვლევას. ნებისმიერ საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს, რომელმაც პირის/პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და საქმეს განსახილველად სასამართლოში გზავნის, გათავისებული აქვს, რომ არსებობს სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ალბათობა, აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლო განხილვის დროს გამოიკვეთოს სხვა ისეთი პირის ბრალეულობა, რომელსაც კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წარდგენილი არ აქვს<sup>293</sup>.

ხშირად პროკურორები საქმის სასამართლოში წარმართვამდე დისკრეციულ უფლებამოსილებას იყენებენ – გამოყოფენ სისხლის სამართლის საქმეს, რაც ხელოვნურად ზრდის სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას და დანაშაულის სტატისტიკას, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული

---

<sup>292</sup> აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი, ფედერალური სისხლის სამართლის პროცესის სტადიები, <https://www.justice.gov/usao/justice-101/steps-federal-criminal-process>.

<sup>293</sup> ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის სამართლებრივი რეგულაციის და საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის მანკიერი ურთიერთკავშირი, პრობლემის გადაჭრის გზები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(68)2020, გვ. 142.



პროგრამა დაკავშირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან და პროგრამულად განხორციელებული საპროცესო გადაწყვეტილებები ავტომატურად აისახება საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ელექტრონულ ბაზებში<sup>294</sup>. ასეთ დროს ხდება სისხლის სამართლის საქმის დუბლირება არა მარტო გამოძიების ელექტრონულ სისტემაში, არამედ მატერიალური სახითაც, რაც დამატებით მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. აღნიშნული პრობლემის იდენტიფიცირებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ რეგისტრირებული დანაშაულების შესახებ 2001–2011 წლების სტატისტიკური მონაცემებიც, რომელთა მიხედვით, დანაშაულის სტატისტიკა 2005-2006 წლებიდან ნახტომისებურად იზრდება და ეს ტენდენცია დღემდე შენარჩუნებულია. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, 2005 წლის მაისიდან გაუქმდა მოკვლევის ინსტიტუტი, ხოლო 2006 წლიდან შეუძლებელი გახდა სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის სტადიიდან გამოძიებაში დაბრუნება<sup>295</sup>.

აღნიშნულ პრობლემატიკაზე საუბრობს ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, რომელიც საკითხს სასამართლოს მიერ საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ჭრილში განიხილავს. კერძოდ, სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე შესანახად სასამართლოს არქივში იგზავნება, ამასთანავე, დანაშაულის ჩადენის ფაქტი გამოუძიებელი რჩება<sup>296</sup>. თუ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს მოსამართლე ვალდებულია შეწყვიტოს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნა, საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომა იმავდროულად გულისხმობს აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოების შეწყვეტას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი როგორც სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის, ისე გამამართლებელი განაჩენის

<sup>294</sup> ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის არსი, მნიშვნელობა და მოქმედების სფერო, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(62)2019, გვ. 124.

<sup>295</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სისხლის სამართლის სტატისტიკა, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> (ბოლო ნახვა: 28.05.2022).

<sup>296</sup> გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, „იურისტების სამყარო“, თბ., 2015 წ., გვ. 29.

გამოტანის შემთხვევაში საქმის საბოლოო ბედის გადაწყვეტის საკითხს გვერდს უვლის<sup>297</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ მოქმედ საპროცესო კოდექსს აქვს ხარვეზი, რასთან დაკავშირებითაც ზოგიერთი მეცნიერი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს. ამ მხრივ ჩვენს კრიტიკას იმსახურებს გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ მიერ 2018 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რომელიც ფაქტობრივად არის პ. კობალაძის მიერ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 2002 წელს წარდგენილი დისერტაცია. აღნიშნულ პერიოდში ძველი საპროცესო კოდექსი მოქმედებდა. შესაბამისად, მასში განხილული დებულებები შესაძლებელია რელევანტური ყოფილიყო დისერტაციის წარდგენისა და დაცვის დროისთვის, მაგრამ 2018 წელს, როდესაც უკვე ახალი საპროცესო კოდექსი იყო ამოქმედებული, ჩვენი კვლევის უმთავრესი საგნის – პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმისა და მისი სამართლებრივი შედეგების – ძველი ნორმებით დასაბუთება შეცდომაა. ამან შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს, განსაკუთრებით – საკითხით დაინტერესებულ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებში. კერძოდ, ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხი: პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლომ საქმე უნდა შეწყვიტოს თუ გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარს ამბობს იმ საფუძვლებით, რომ განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, სასამართლო ვალდებულია გამამართლებელი განაჩენი გამოიტანოს. ამის დასადასტურებლად იგი ძველი საპროცესო კოდექსის ნორმებს უთითებს<sup>298</sup>. ავტორს ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ასეთ ვალდებულებას აღარ უწესებს<sup>299</sup>. უფრო

<sup>297</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 276.

<sup>298</sup> კობალაძე პ., პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, „იურისტების სამყარო“, თბ., 2018 წ., გვ. 106-107.

<sup>299</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 270.

მეტიც, კანონი მას ავალდებულებს, სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ჰიპოთეტურ მკვლელობის საქმეს, როდესაც პროკურორმა ერთადერთი ბრალდებულის მიმართ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე სრულად თქვა უარი. ასეთ შემთხვევაში საქმეს ბრალდებული აღარ ჰყავს და ის რჩება სასამართლოში, რომლიდანაც მისი პროკურორისთვის ან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი გზა, დღევანდელი მდგომარეობით, არ არსებობს. ასევე არ არსებობს სასამართლოში წარმართულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა პირების მიმართ დაწყების მექანიზმი, რომელიც გათვალისწინებულია ჩვენ მიერ განხილული აშშ-ის, საფრანგეთისა და გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით. ასეთ ვითარებაში ბუნდოვანია აგრეთვე ის, თუ რა მექანიზმი უნდა გამოქმედონ პროკურორმა და გამოძიებამ მკვლელობის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უზრუნველსაყოფად, გარდა იმისა, რომ მკვლელობის საქმეზე ახალი გამოძიება დაიწყონ, რაც, რბილად რომ ვთქვათ, აცდენილი იქნება, ზოგადად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრინციპებს.

მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული კუთხით განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები, რომლებითაც მხარეები სასამართლო განხილვის სტადიაზე დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებასა და სასამართლოში წარდგენას შეძლებენ, ხოლო პროკურორს მიეცემა შესაძლებლობა, საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, მათ შორის, პირველ და სააპელაციო ინსტანციებში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს სხვა პირების მიმართ, რომლებსაც გამოძიების სტადიაზე ბრალი წარდგენილი არ ჰქონდათ. ამასთანავე, პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე გამოძიებაში დააბრუნოს, ხოლო ზედა ინსტანციებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, ის დააბრუნონ პირველი ინსტანციის

სასამართლოში<sup>300</sup>, სადაც პროკურორი საქმის დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში განახლებას და საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას შეძლებს<sup>301</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნათლად უნდა განისაზღვროს აგრეთვე ის, თუ რა ბედი უნდა ეწიოს სისხლის სამართლის საქმეს პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში მართებული იქნება, მოსამართლემ თავისი განჩინებით ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. ეს აღმოფხვრის მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ შესაბამის ხარვეზს.

სამეცნიერო ლიტერატურაში სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით მეტად კონტრასტულ და საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა არ უნდა იწვევდეს ავტომატურად სასამართლოს მიერ საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პროკურორი სასამართლოს უფლებამოსილებაში იჭრება, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციებს ითავსებს და სასამართლოს მიერ მისი პოზიციის უაპელაციოდ გაზიარება მოსამართლის დამოუკიდებლობას არღვევს<sup>302</sup>.

---

<sup>300</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარს ამბობს ან სასამართლოს ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოაქვს, როდესაც დასტურდება, რომ მას არ ჩაუდენია ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ბრალად აქვს შეარაცხული (ავტ. შენ.).

<sup>301</sup> ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის სამართლებრივი რეგულაციის და საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის მანკიერი ურთიერთკავშირი, პრობლემის გადაჭრის გზები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(68)2020, გვ. 145.

<sup>302</sup> ფაფიაშვილი შ., სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 1999 წ., გვ. 29–31; გოგშელიძე რ., პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“, 2002 წ., №9–10, გვ. 8; ფალიაშვილი ა., თალაკვაძე ლ., საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1988 წ., გვ. 418–420; ფალიაშვილი ა., პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ., №5, გვ. 35–37; გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსის საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999 წ., გვ. 305; კობალაძე პ., პროკურორის უარი ბრალდებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2010 წ., №1, გვ. 65–66;

უფრო მეტიც, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლომ არათუ არ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, არამედ უნდა გააგრძელოს მისი განხილვა და საბოლოოდ გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს<sup>303</sup>.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ ეს მოსაზრება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ვეწინააღმდეგებით სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ხელისუფლების, დამოუკიდებლობას. ასევე მიგვაჩნია, რომ სასამართლოს საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა არღვევს როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაგრძელებით მოსამართლე ბრალმდებლის უფლება-მოვალეობებს შეითავსებს. იმისთვის, რომ სასამართლომ მართლმსაჯულების ფუნდამენტური ფუნქცია შეასრულოს, პირველ რიგში, საჭიროა, არსებობდეს დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც ქმნის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და რომლებზე დაყრდნობითაც იწყებს პროკურორი სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც, თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირს ბრალდებულის სტატუსს სძენს. სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და პირისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ იწყება საქმის სასამართლოსთვის გადასაცემად მომზადებისა და, საბოლოო ჯამში, გადაცემის ეტაპი, ხოლო წინასასამართლო სხდომის წარმატებით გავლის შემდეგ იწყება საქმის არსებითად განხილვა. ყველა

---

გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002 წ., გვ. 120–123; Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 90–95; Леви А., Отказ государственного обвинителя от обвинения, Законность, 2006, №6, с. 41–43.

<sup>303</sup> კობალაძე პ., პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, თბ., 2018 წ., გვ. 113–114; Перлов И., Судебное разбирательство в советском уголовном процессе. Часть пятая. Приговор в советском уголовном процессе, М., 1960, с. 21–22; Лупинская П., Решения в уголовном судопроизводстве: теория, законодательство, практика, 2-е изд., перераб. и доп., М., 2010, с. 54; Лавнов М., Современная модель отказа прокурора от обвинения и перспективы ее совершенствования в российском уголовном процессе, Вестник Саратовской государственной юридической академии, №6 (95), 2013, с. 207–208.

ამ ეტაპზე საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი, ხოლო სასამართლოში – უკვე სახელმწიფო ბრალმდებელი წარმოადგენს სახელმწიფოს. ის არის ბრალდების მხარდამჭერი ფიგურა, რომელსაც კანონმდებელმა ანდო ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორც არის დანაშაულის კვალიფიკაცია და ბრალდების ფორმულირება. აღნიშნულ საქმიანობას პროკურორი საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების დეტალური ანალიზის საფუძველზე ახორციელებს. პროკურორს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყებ და განმახორციელებელ პირს, უფლება აქვს, ნებისმიერ ეტაპზე შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან უარი თქვას ბრალდებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მისი ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლის – პროკურორის მეშვეობით ამბობს უარს ბრალდებაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს, მიერ სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციის შეთავსება ვერ უპასუხებს ვერც საერთაშორისო სამართლის და ვერც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითად პრინციპებს. ამასთანავე, პროკურორი, რომელიც სახელმწიფო ბრალდებას მხარს აღარ უჭერს, ბრალმდებლის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს. ისმის კითხვა: ვინ იქნება ასეთ შემთხვევაში ბრალმდებელი? თავისთავად ცხადია, პროკურორი, რომელიც ბრალდების „არქიტექტორია“, ბრალმდებლის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში მისი შინაგანი რწმენა ეწინააღმდეგება კლასიკური ბრალმდებლის ბუნებას. ამასთანავე, მოქმედი საპროცესო კოდექსით დაზარალებული აღარ წარმოადგენს ბრალდების მხარეს და არც იქნებოდა მართებული, ფიზიკურ პირს, რომელიც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს, სახელმწიფოს სახელით შეესრულებინა ალტერნატიული ბრალმდებლის ფუნქცია. საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე<sup>304</sup>, მოქმედი საპროცესო წესებით კი, მოსამართლე აღნიშნული პროცესის ობიექტური არბიტრია<sup>305</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი

<sup>304</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ., მუხ. 62, პ. 5.

<sup>305</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 25.

მოსამართლის მიერ მხარეებთან შეთანხმების გარეშე მოწმისთვის კითხვის დასმის უფლებამოსილება, იმავე გადაწყვეტილებით ცალსახად არის განსაზღვრული, რომ „პირის სისხლისსამართლებრივი დევნა ... სახელმწიფოს მონოპოლიას წარმოადგენს. სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა, საამისოდ კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით დაიცვას კონკრეტული პირებისა თუ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესები“<sup>306</sup>. ასეთი კომპეტენტური ორგანო, რომელსაც სახელმწიფომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, წარმოება ან/და შეწყვეტა დაავალა, არის პროკურატურა. აქვე ჩნდება კიდევ ერთი პრობლემური საკითხი: თუ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას, რომელიც ავტომატურად იწვევს ბრალდებულის მიმართ სასამართლოში არსებული საქმის შეწყვეტას, პროკურორის მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევად მივიჩნევთ, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ვისაუბროთ სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს ფუნქციებში შეჭრაზე იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს მიენიჭება უფლებამოსილება, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ მაინც გააგრძელოს საქმის განხილვა. და ბოლოს, განსაკუთრებული კითხვის ნიშნები გაჩნდება ასეთ ვითარებაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ბრალდებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ეს, საბოლოო ჯამში, ვერ უპასუხებს სამართლიანი სასამართლოს და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მხრივ არსებულ გამოწვევებს.

მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე სახელმწიფო ბრალმდებლის უარი არ უნდა იქნეს აღქმული მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის მცდელობად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს. სახელმწიფომ სწორედ მას და მხოლოდ მას მიანიჭა სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება. პროკურორი უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, აგრეთვე მის განხორციელებასა და მხარდაჭერას როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

---

<sup>306</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/2/1478, 2021 წლის 28 დეკემბერი, ქ. ბათუმი, პ. 30.

შესაბამისად, სათანადო ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას მას უნდა ჰქონდეს უფლება, უარი თქვას ბრალდებაზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში პროკურორის უფლებები არამართლზომიერად შეიზღუდება, რაც, საერთო ჯამში, მართლმსაჯულების ინტერესებსაც დააზარალებს. თუ ზემოაღნიშნულ მეცნიერთა მოსაზრებას გავიზიარებთ და სასამართლოს მიეცემა უფლება, გააგრძელოს საქმის წარმოება იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალდებაზე უარი თქვა, პროკურორის განსაკუთრებულ, დისკრეციულ უფლებამოსილებას და, ზოგადად, ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს აზრი დაეკარგება. ამ ინსტიტუტის არსებობა ხელს უწყობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სრულყოფილებას, ხოლო მისი პროკურორის უფლებამოსილებათა არსენალიდან ამოღება სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესს არაეფექტიანს გახდის, ვინაიდან სასამართლო პროცესი გაჭიანურდება და სახელმწიფო ბრალმდებელი მოგვევლინება პროცესის ისეთ სუბიექტად, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რევიზიას სასამართლო ახდენს. ასეთ შემთხვევაში პროკურორი, თავისი პოზიციის დაცვის ტაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვისას არა სახელმწიფო ბრალმდებელი, არამედ ბრალდებულის ადვოკატი იქნება. ამასთანავე, ნეიტრალური არბიტრი მოსამართლე ბრალმდებლის მანტიას მოისხამს. თავის მხრივ, გაიზრდება სასამართლო განხილვის ვადა, რაც ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. აქვე თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემური საკითხი: რა სტატუსით უნდა გააგრძელოს ბრალდებულმა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში? უფლებამოსილი პირის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ იგი ბრალდებულის სტატუსს დაკარგავს. ამ პირობებში მის მდგომარეობას დაზარალებულის სტატუსი უფრო შეესაბამება, ვინაიდან პროკურორმა მისი დანაშაულთან კავშირი უარყო, ხოლო სასამართლო მის მიმართ საქმის განხილვას აგრძელებს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ასეთ პირობებშიც კი მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნეს გამოტანილი.



პროცესუალისტებს აქვთ ერთიანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა ნიშნავს საკუთრივ დანაშაულის ჩადენის ფაქტის არარსებობას, ბრალდებულის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობას ან კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალდებულის მონაწილეობის ფაქტის დაუდასტურებლობას. ამასთანავე, შესაძლებელია ჩადენილი იყოს ადმინისტრაციული დარღვევა ან/და დისციპლინური დარღვევა. ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: რა ღონისძიება უნდა განახორციელოს სახელმწიფო ბრალმდებელმა ამ შემთხვევაში? მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში პროკურორსა და მოსამართლეს არანაირ პოზიტიურ ვალდებულებას არ უწესებს. მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში იმისთვის, რომ დარღვევის ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩეს, პროკურორმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანონით განსაზღვრულ ორგანოში უნდა შეიტანოს წარდგინება კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად<sup>307</sup>, რაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი გახდება და, შესაბამისად, დარღვევა რეაგირების გარეშე არ დარჩება.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ბრალდებაზე უარის თქმას სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის წარმოების შეწყვეტა მოჰყვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფო ბრალმდებლისგან საქმისა და ბრალდების დეტალების კარგ ცოდნასა და საქმეში არსებული მტკიცებულებების კეთილსინდისიერ და ობიექტურ ანალიზს მოითხოვს. ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორმა კანონის მოთხოვნები ზუსტად უნდა დაიცვას, რათა, მისი მკაცრად განსაზღვრული და შეუქცევი შედეგებიდან გამომდინარე, გამოირიცხოს ყოველგვარი სავარაუდო შეცდომა, ხოლო სუბიექტური მიზეზით ან ქვენა გრძნობით მოტივირებულ შემთხვევებში – პროკურორისთვის დისციპლინური

---

<sup>307</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 48, პ. 1.

პასუხისმგებლობის ან სულაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ალბათობა.

სახელმწიფო ბრალდების ხარისხიანად წარმართვას პირდაპირი კავშირი აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის სრულყოფასა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენასთან, რომლის განმაპირობებელი აუცილებელი და გარდაუვალი ფაქტორია ბრალდებაზე უარის თქმა. ამასთანავე, პროკურორის გააზრებული, არგუმენტირებული და სამართლებრივად დასაბუთებული პოზიცია შეამცირებს სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების ალბათობას.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას სამართლებრივი შედეგები მხოლოდ ბრალდებულისა და სისხლის სამართლის საქმის შემდგომი ბედისთვის კი არ მოაქვს, არამედ ის ეხება პროცესის სხვა მონაწილეებსაც, მათ შორის, თავად პროკურორს, რაზეც მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ.

## **§2. სამართლებრივი შედეგები პროკურორისა და პროცესის სხვა მონაწილეებისთვის**

ამ პარაგრაფში განვიხილავთ, რა სამართლებრივ შედეგებს მოუტანს ბრალდებაზე უარის თქმა უშუალოდ პროკურორს, ბრალდებულსა და დაზარალებულს.

როგორც კვლევის წინა ნაწილში აღვნიშნეთ, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება იწვევს ისეთ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც ეხება არა მარტო ბრალდებულს, არამედ აგრეთვე პროცესის სხვა მონაწილეებსა და თავად პროკურორს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის გაცემული პასუხი ისეთ კითხვებზე, რომლებიც აქტუალურია ამ სამართლებრივი მოცემულობის დროს, რაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, თავის მხრივ, დაკავშირებული იყოს იმ პრობლემასთანაც, რომ საქართველოში პროკურორები პრაქტიკაში ძალიან იშვიათად იყენებენ ან საერთოდ არ იყენებენ ბრალდებაზე უარის თქმის

ინსტიტუტს. ამაზე მეტყველებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების წერილიც<sup>308</sup>. აზიანებს თუ არა ბრალდებაზე უარის თქმა კონკრეტული პროკურორის ან პროკურატურის სისტემის იმიჯს? დაეკისრება თუ არა კონკრეტულ პროკურორს (სახელმწიფო ბრალმდებელს ან იმ საპროცესო პროკურორს, რომელმაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართა) დისციპლინური ან სხვა სახის პასუხისმგებლობა ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში? აგებს თუ არა მორალური ან მატერიალური თვალსაზრისით პასუხს სახელმწიფო ბრალმდებელი ან მისი ზემდგომი პროკურორი აღნიშნულ შემთხვევაში? აქვს თუ არა დაზარალებულს უფლება, გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ? აქვს თუ არა ბრალდებულს (გამართლებულს) უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მის მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურების საკომპენსაციოდ? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, გავეცნოთ ქართველ და უცხოელ ავტორთა მოსაზრებებს ზოგიერთ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა მოსაზრებები იმ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც ბრალდებაზე უარის თქმას პროკურორისთვის მოაქვს, 2 დიამეტრულად განსხვავებულ ნაწილად იყოფა. განსახილველ საკითხზე არსებულ ყველა მეცნიერულ შეხედულებას თავისი არგუმენტები აქვს. შევეცდებით მათი ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბოთ ჩვენი ხედვა აღნიშნულ პრობლემურ საკითხზე.

ავტორთა ერთი ნაწილის (მათ შორის, საკითხზე მომუშავე ქართველი მეცნიერების) აზრით, ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორი კარგავს თავის ფუნდამენტურ ფუნქციას – ბრალმდებლის ფუნქციას. ამას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ, მას შემდეგ, რაც პროკურორი სასამართლოში საქმეზე

---

<sup>308</sup> დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური მონაცემები 2011–2021 წლებში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევებთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკური სექტორის უფროსის 2021 წლის 10 დეკემბრის №პ-857-21 წერილის თანახმად, სასამართლოს სტატისტიკაში შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა აღირიცხება მთლიანობაში, რის გამოც პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველზე შეწყვეტილი საქმეების გამოყოფის საშუალება არ გააჩნიათ (იხ. დისერტაციის დამატებითი ნაწილი, დანართი #5, გვ. 259-260).

გამოკვლევული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეიცვლის შეხედულებას კონკრეტული ბრალდების მიმართ, კერძოდ, შინაგანი რწმენით გადაწყვეტს, რომ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება, და მიიღებს გადაწყვეტილებას ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ, იგი ვედარ შეასრულებს კლასიკური ბრალმდებლის ფუნქციას<sup>309</sup>. აღნიშნული მოსაზრების ავტორები ღიად ტოვებენ საკითხს, თუ რა ფუნქციას შეითავსებს პროკურორი, გარდა ბრალმდებლისა, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ.

ავტორთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ პროკურორი სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს ბრალმდებლის ფუნქციას, ვინაიდან ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები არ და ვერ იმოქმედებს მის საპროცესო სტატუსზე<sup>310</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ავტორთა ორივე ნაწილის მოსაზრებებს აქვს თავისი მყარი არგუმენტები. მიუხედავად ამისა, საკითხზე მეცნიერულად დასაბუთებული ხედვის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია მოვიშველიოთ საქართველოში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლის მიხედვით, პროკურორი თანამდებობაზე განწესებისთანავე იძენს ბრალმდებლის ფუნქციას, რაც მას ეხმარება პროკურატურის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში<sup>311</sup>. პროკურორს აღნიშნული უფლებამოსილება აქვს და უნარჩუნდება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. აქვე აღვნიშნავთ, რომ, როგორც კვლევის წინა ნაწილში ითქვა, ზოგიერთ პროკურორს შესაძლებელია თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში სპეციალიზაციის მიხედვით ერთხელაც არ მოუწიოს სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების განხორციელება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ სახელმწიფო ბრალმდებლის უფლებამოსილება, ვინაიდან კანონი არ მიჯნავს

---

<sup>309</sup> კობალაძე პ., პროკურორის უარი ბრალდებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2010 წ., №1, გვ. 64-65; Агеева Г., О процессуальном положении прокурора в судебном разбирательстве, 1958, Ученые записки: №6, с. 116-132; Савицкий В., Государственное обвинение в суде, М., 1971, с. 196-224; Савицкий В., Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, М., 1975, с. 35-37; Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 96-98.

<sup>310</sup> Шифман М., Прокурор в уголовном процессе (Стадия судебного разбирательства), М., 1948, с. 48-49.

<sup>311</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 4, პ. 1, ქვ. „ვ“.

სპეციალიზაციის მიხედვით პროკურორების უფლებამოსილებებს, მაშინაც კი, როდესაც ყოველდღიური საქმიანობის პროცესში მათთვის აქტუალურია კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პროკურორს ბრალმდებლის ფუნქცია სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგაც უნარჩუნდება. პირველ რიგში, აღნიშნული მოსაზრების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს სასამართლოში პროკურორის ბრალმდებლის ფუნქციის გარეშე დატოვების შესაძლებლობას. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოს ავალდებულებს, პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს<sup>312</sup>, რაც გულისხმობს საქმის წარმოების შეწყვეტასაც, ვინაიდან, თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, გამოძიება უნდა შეწყდეს<sup>313</sup>. კანონის აღნიშნული ჩანაწერის გამოყენება სასამართლო განხილვის სტადიაზე ნიშნავს საქმის წარმოების უპირობო შეწყვეტას. შესაბამისად, პროკურორის, როგორც ბრალმდებლის, ფუნქციის ცვალებადობის პრობლემა ამ მხრივ დღის წესრიგში არ დგას. უფრო მეტიც, ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ პროკურორისთვის ბრალმდებლის ფუნქციის შენარჩუნება ობიექტური და ყოველმხრივი პროცესის პრინციპების რეალიზებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება ისევ პროკურორმა გაასაჩივროს<sup>314</sup>. ასეთი ვითარება შესაძლებელია შეიქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელმა პირის მიმართ ბრალდებაზე სრულად უარი თქვა, მოსამართლემ ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაც შეწყვიტა და საქმის წარმოებაც, მაგრამ აღმოჩნდა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც

---

<sup>312</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 250, ნაწ. 1.

<sup>313</sup> იხ. იქვე, მუხ. 105, ნაწ. 1, ქვ. „ი“.

<sup>314</sup> იხ. იქვე, მუხ. 107, ნაწ. 1.

ადასტურებს იმავე პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს<sup>315</sup>. ასეთ შემთხვევაში იმავე პროკურორს, რომელმაც სახელმწიფო ბრალდებაზე უარი თქვა, უჩნდება სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის შეწყვეტის გასაჩივრების პოზიტიური ვალდებულება. ამ მხრივ ჩვენს პოზიციას, რომ პროკურორი ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგაც კი არა მარტო კანონმდებლობის შესაბამისად, არამედ შინაგანი რწმენით რჩება სახელმწიფო ბრალმდებლად, ადასტურებს ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმისა და სრულად უარის თქმის შედარებაც. ძნელი წარმოსადგენია, პროკურორი, რომელმაც ბრალდებაზე ნაწილობრივ თქვა უარი, აღქმული იყოს, როგორც ბრალმდებელი, ბრალდების მხოლოდ იმ ნაწილში, რომელზეც უარი არ თქვა. გარდა იმისა, რომ პროკურორის, როგორც ბრალმდებლის, ფუნქციის დანაწილების საშუალებას კანონი არ იძლევა, შეუსაბამო იქნება მისი უფლება-მოვალეობების ასე დიამეტრულად გამიჯვნის პერსპექტივაც, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც პროკურორი დაუბრუნდება ბრალდების იმ ნაწილს, რომელზეც სასამართლომ მისი პოზიციის გათვალისწინებით შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სახელმწიფო ბრალდების სისუსტედ, კონკრეტული პროკურორის არაპროფესიონალიზმის ან პროკურატურის სისტემის არაეფექტიანი მუშაობის გამოვლინებად არ უნდა იქნეს აღქმული. აღნიშნულის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე კანონიერი და დასაბუთებული უარის თქმა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გადაწყვეტილება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. პირველი შემთხვევა უზრუნველყოფს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესაძლებლობის გამორიცხვას, რაც სამართლიანობის პრინციპებს შორის ერთ-ერთი ქვაკუთხედია, ხოლო მეორე შემთხვევა უზრუნველყოფს მტკიცებულებათა საფუძველზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. მართალია, პროკურორის აღნიშნული 2 უფლებამოსილება (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მის განხორციელებაზე უარის თქმა)

<sup>315</sup> იხ. იქვე, მუხ. 250, ნაწ. 3.

შინაარსობრივად დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ აქვთ თანაბარი სამართლებრივი შედეგი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის. ამასთანავე, ორივე უფლებამოსილების განხორციელება პროკურორისგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და სწორი ანალიზის უნარს მოითხოვს. გარდა ამისა, პროკურორის ამ 2 უფლებამოსილებას შორის სამართლებრივი კავშირი არსებობს, ვინაიდან ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი ვერ იმუშავებს, თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც დევნის დაწყება, ისე ბრალდებაზე უარის თქმა მიჩნეული უნდა იქნეს იმ სამართლებრივ მოვლენად, რომელსაც შეუძლია მხოლოდ პოზიტიური შედეგები, დივიდენდები მოუტანოს კონკრეტულ პროკურორს, აგრეთვე, ზოგადად, პროკურატურის სისტემას. შესაბამისად, ბრალდებაზე პროკურორის კანონიერი და დასაბუთებული უარი არ და ვერ გახდება მის მიმართ რაიმე სადამსჯელო ღონისძიების განხორციელების, თუნდაც მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. უფრო მეტიც, სახელმწიფო ბრალმძებლის დროული და ობიექტური გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს უდანაშაულო პირის კანონიერი უფლებების რეალიზებას<sup>316</sup>, აგრეთვე დააჩქარებს მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც დღემდე საქართველოს ევროპელი პარტნიორების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა<sup>317</sup>.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირის მიმართ ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემდეგ სასამართლოს განჩინებით წყდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთანავე, იგი არ იძენს გამართლებულის საპროცესო სტატუსს, რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს, აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი<sup>318</sup>. პირს, რომლის მიმართაც ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ლოგიკურად, მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უფრო ნაკლები პრეტენზია ექნება, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ

---

<sup>316</sup> იხ. იქვე, მუხ. 8.

<sup>317</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(81)7 წევრი სახელმწიფოების მიმართ, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ, 14 მაისი, 1981 წელი.

<sup>318</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 276, ქვ. „ე“.

გადაწყვეტილების მიღება მას პროკურატურისა და, ზოგადად, სახელმწიფოს მიმართ დადებითად განაწყო. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოქმედი (ჩვენი აზრით, მანკიერი) საპროცესო წესები პროკურატურას, როგორც სახელმწიფო ინტერესების დამცველ უწყებას, ხელსაყრელ პირობებს უქმნის, რათა მან ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების არსებობისა და სახელმწიფო ბრალმდებლის შინაგანი რწმენის ტრანსფორმაციის შემთხვევაში ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივი ინსტიტუტი გამოიყენოს, რაც, პირველ რიგში, მხარეთა შორის კონკურენტულ გარემოს გაანეიტრალებს და გარკვეულწილად ხელს შეუწყობს დეპოლარიზაციას. როგორც ვ. მ. სავიციკი იტყოდა, ასეთი მოცემულობა ქმნის ერთგვარ უცნაურ სიტუაციას<sup>319</sup>, რომელიც გამოწვეულია ბრალდებისა და დაცვის მხარეების კოორდინირებული მოქმედებით<sup>320</sup> და რომელშიც დაცვის მხარესა და ბრალდებულს პროკურორის სამართლიანი გადაწყვეტილების საფუძველზე ობიექტურად შეექმნებათ პოზიტიური წარმოდგენა პროკურატურისა და, ზოგადად, სახელმწიფოს მიმართ. დაცვის მხარის ნდობის მოპოვების შემთხვევაში პროკურორი შეეცდება, სახელმწიფო სავარაუდო ფინანსური ვალდებულებებისგან დაიცვას. პარადოქსია, რომ პროკურატურა თავს იკავებს ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლების გამოყენებისგან, როგორც არის ბრალდებაზე უარის თქმა. მაგალითად, 2021 წელს სასამართლომ 14065 განაჩენი გამოიტანა. მათგან სრულად გამამართლებელი განაჩენი გამოტანილ იქნა საქმეთა 9.1%-ზე (1280 საქმე), ხოლო ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი – საქმეთა 4%-ზე (562 საქმე)<sup>321</sup>. ამასთანავე, ბრალდებაზე უარის თქმის უფლება სახელმწიფო ბრალმდებელს არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია<sup>322</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებაზე უარის

---

<sup>319</sup> Савицкий В., Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, М., 1975, с. 365-366.

<sup>320</sup> Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 102.

<sup>321</sup> საქართველოს პროკურატურის 2021 წლის ანგარიში, გვ. 19, 22, <https://pog.gov.ge/uploads/fbe6749f-13-maisi-angarishi.pdf> (ბოლო ნახვა: 26.05.2023).

<sup>322</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა 2011–2021 წლების სტატისტიკური მონაცემები სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის ნაწილში. წერილზე პასუხი გაცემულ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მიერ, რაც გამოყენებულ იქნა ნაშრომში (იხ. დისერტაციის დამატებითი ნაწილი, დანართი #3, გვ. 255-256).



თქმის შემთხვევაში პროკურორისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ფორმალურ საფუძვლებს მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენებლობა კითხვის ნიშნებს უფრო ამძაფრებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პრობლემაზე დეტალურად ვისაუბრეთ დისერტაციის II თავის მე-3 პარაგრაფში, მას კვლავ შევხებით. უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, თავის მხრივ, პროკურატურაც არ ცდილობს, მოახდინოს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის პოპულარიზაცია და პროკურორები მისი გამოყენებისთვის წახალისოს. ამის თქმის საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოება: საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემა, რომლის ერთ-ერთი შეფასებითი სეგმენტია პროკურორის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი<sup>323</sup>. ბრძანების შესაბამისი დანართი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბრალმდებლის შეფასებას ბრალდებაზე უარის თქმის კუთხით. სასამართლოში გამომსვლელი პროკურორი მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კუთხით განხორციელებული ბრალდების მხარდაჭერის კრიტერიუმების ხარისხით ფასდება. თუმცა ბრალდებაზე უარის თქმა სწორედ სახელმწიფო ბრალდების შემადგენელი, უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია. ბრალდებაზე უარის თქმის კომპონენტი, როგორც შეფასებითი კატეგორია, არის ბრძანების მხოლოდ იმ დანართში, რომელიც პროკურორთა დატვირთვის შეფასებას ეხება<sup>324</sup>, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ პროკურატურა ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენებით დაინტერესებული არ არის.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორს სამართლებრივი პასუხისმგებლობა ცალსახად დაეკისრება ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რაც,

---

<sup>323</sup> „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №047, 11 დეკემბერი, 2020 წ., მუხ. 8, დანართი №2.

<sup>324</sup> იხ. იქვე, დანართი №3, თ. I, მ. 1, პ. 2, ქვ. „33“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისმა ავტორებმა ნეგატიური შედეგების მომტანად მიიჩნიეს. პასუხისმგებლობის სახე და ზომა პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების არამართლზომიერი შედეგების ხარისხზე იქნება დამოკიდებული. კერძოდ, თუ ერთ შემთხვევაში კანონით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის პროკურორის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დისციპლინური სახდელი<sup>325</sup>, სხვა შემთხვევაში, თუკი პროკურორის უკანონო ქმედებამ ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, შეიძლება დღის წესრიგში დადგეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უკანონოდ უარის თქმა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მისი სუბიექტური დამოკიდებულებით, ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით და ჩადენილ იქნეს როგორც გაუფრთხილებლობით, ისე განზრახ. რა თქმა უნდა, კონკრეტული პროკურორის მიმართ მიღებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები, თუმცა ასეთი ვითარება შელახავს ზოგადად პროკურატურის სისტემის პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგები მოაქვს ბრალდებულისთვის, ვინაიდან, ბრალდებაზე უარის თქმის სახიდან გამომდინარე, იგი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. სამართლებრივი შედეგების განსაკუთრებულობაში იგულისხმება ის, რომ, ძველი საპროცესო კოდექსისგან<sup>326</sup> განსხვავებით, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება აბსოლუტური და იმპერატიული ხასიათისაა, კერძოდ, სასამართლოს უტოვებს ერთადერთ გზას – გამოიტანოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორთა განსხვავებული მოსაზრებები დეტალურად განვიხილეთ კვლევის წინა ნაწილში<sup>327</sup>. მიგვაჩნია, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ

<sup>325</sup> საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, 2018 წ., მუხ. 76, პ. 6.

<sup>326</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ., მუხ. 10.

<sup>327</sup> აღნიშნული საკითხი დეტალურად განვიხილეთ დისერტაციის III თავის 1-ელ პარაგრაფში.

სასამართლომ არ უნდა გააგრძელოს საქმის წარმოება, და ვადასტურებთ ამ კუთხით მოქმედი ნორმების მართებულობას. ამასთანავე, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება შესაძლებელია გახდეს სასამართლოს კონტროლის საგანი მხოლოდ მისი ფორმალური ნაწილის ჭრილში, მაგალითად, აქვს თუ არა სახელმწიფო ბრალმდებელს ზემდგომი პროკურორის თანხმობა ბრალდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, და სხვა. ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევაში, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო ამოწმებს მისი უფლებების შეზღუდვის კანონიერებას<sup>328</sup>. ჩვენი პოზიციის გასამყარებლად დავძენთ, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ისევე, როგორც გამოძიების სტადიაზე მისი შეწყვეტა და სასამართლოში ბრალდებაზე უარის თქმა, არის სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს – პროკურატურის ექსკლუზიური უფლებამოსილება. შესაბამისად, მართებულია მოქმედი კანონმდებლობით ბრალდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული იმპერატიული მოთხოვნის გათვალისწინება. მიგვაჩნია, რომ სასამართლოში ბრალდებაზე უარის თქმის ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებების არსებობის შემთხვევაში პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება შეუფერხებლად უნდა შეეძლოს.

ბრალდებაზე უარის თქმას ყველაზე პოზიტიური შედეგები მოაქვს დაცვის მხარისთვის და, უფრო მეტად, – ბრალდებულისთვის, რადგან სასამართლო უპირობოდ წყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის თუ იძულების სხვა ღონისძიების გაუქმებას.

რა სტატუსს იძენს ბრალდებული, როდესაც პროკურორი უარს ამბობს მის მიმართ ბრალდებაზე, ხოლო სასამართლო თავის განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო დასკვნები პრაქტიკულად არ არსებობს. შეიძენს თუ არა ბრალდებული გამართლებულის სტატუსს? პასუხი უარყოფითია, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამართლებულად

<sup>328</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 197, ნაწ. 1, ქვ. „ზ“.

თვლის იმ ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამამართლებელი განაჩენია გამოტანილი, რაც ნიშნავს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობას<sup>329</sup>. ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში პირის მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა და საქმე. შესაბამისად, ის ვერ შეიძენს გამართლებულის საპროცესო სტატუსს. ერთი შეხედვით, იმ ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა და მისთვის დამდგარი სამართლებრივი შედეგი, რომლის მიმართ ბრალდებაზეც პროკურორმა უარი თქვა, ხოლო სასამართლომ დევნა და საქმის წარმოება შეწყვიტა, უფრო სასურველად და ხელსაყრელად გამოიყურება, ვიდრე იმ ბრალდებულისა, რომლის მიმართაც სახელმწიფო ბრალმდებელი ბოლო წუთამდე ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, მაგრამ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, ვინაიდან ბრალდებაზე უარის თქმა აჩქარებს ბრალდებულისთვის სასიკეთო შედეგების დადგომას და მას ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე ან/და მოსამართლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულს არ ხდის, ამასთანავე, ფორმალურ საფუძველს უსპობს ზედა ინსტანციების სასამართლოებში საქმის განხილვის ბრალდების მხარის საჩივრის საფუძველზე გაგრძელების პერსპექტივას. ასეთი მიმზიდველი სამართლებრივი შედეგების მიუხედავად, პირს, რომლის მიმართაც სასამართლომ ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველზე შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, სასამართლო არ უმარტავს ზიანის ანაზღაურების უფლებას. აღნიშნული ვალდებულება მას აქვს მხოლოდ პირის გამართლების შემთხვევაში, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ამასთანავე, უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ბრალდებულს<sup>330</sup>, თუმცა პირს, რომლის მიმართაც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრალდებულის სტატუსი აღარ აქვს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირს უტოვებს უფლებას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის

---

<sup>329</sup> იხ. იქვე, მუხ. 270, ნაწ. 1.

<sup>330</sup> იხ. იქვე, მუხ. 38, ნაწ. 11.

ანაზღაურება<sup>331</sup>. კანონის აღნიშნულ ჩანაწერში მითითებული პირი შესაძლებელია იყოს აგრეთვე ის ბრალდებული, რომლის მიმართაც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და რომელსაც, ერთი მხრივ, დაკარგული აქვს ბრალდებულის სტატუსი, ხოლო მეორე მხრივ, არ აქვს გამართლებულის საპროცესო სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას კანონი აძლევს ფორმალურ საფუძველს, სამოქალაქო წესით იდავოს დარღვეული უფლებების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ განხორციელებული ქმედებები უკანონო იყო. ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მნიშვნელოვანი საკითხი – ვინ და რა წესით უნდა დაადასტუროს პირის მიმართ განხორციელებული მოქმედებების უკანონობა. კანონის ჩანაწერის მიხედვით, ჰიპოთეტურად, პირს სამოქალაქო წესით ზიანი შეიძლება აუნაზღაურდეს ისეთ შემთხვევაში, როგორც არის უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში<sup>332</sup>, განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება<sup>333</sup> ან/და მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ ჩადენილი რომელიმე დანაშაულებრივი ქმედების<sup>334</sup> ჩადენის დადასტურებული ფაქტი, კერძოდ, მაშინ, როდესაც იარსებებს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადგენილია პირის მიმართ უკანონო ქმედებების განხორციელება.

პირის მიმართ უკანონო ქმედების განხორციელების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში დღის წესრიგში დგება მიყენებული ზიანის სახისა და ოდენობის განსაზღვრა, რისთვისაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საკმაოდ საინტერესო პრაქტიკას აწესებს. კერძოდ, სისხლის სამართალწარმოების პროცესში მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის დარღვევად არის მიჩნეული უკანონო პატიმრობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა იმ საფუძველით,

---

<sup>331</sup> იხ. იქვე, მუხ. 92, ნაწ. 1.

<sup>332</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ., მუხ. 146.

<sup>333</sup> იხ. იქვე, მუხ. 147.

<sup>334</sup> იხ. იქვე, თავი XLII, მუხ. 369<sup>1</sup>, 370, 372, 373.

რომ პირმა ვერ დაასაბუთა არამატერიალური ზიანის მიყენება<sup>335</sup>. საუბარია მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისი სახელმძღვანელო გადაწყვეტილების მიხედვით, პირი არ არის ვალდებული, სასამართლოს დაუდასტუროს არამატერიალური ზიანის დადგომის ფაქტი. ამ შემთხვევაში საკმარისია, დადასტურებული იყოს მის მიმართ უკანონო ქმედების განხორციელების ფაქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად მიიჩნია აგრეთვე იმ პირისთვის პატიმრობაში ყოფნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა მტკიცებულებათა არარსებობის გამო, რომელსაც წარდგენილი ბრალი არ დაუდასტურდა<sup>336</sup>. როგორც ევროპული სასამართლოს სახელმძღვანელო პრაქტიკიდან ჩანს, ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია თავად პატიმრობის ფაქტი და არა პატიმრობით გამოწვეული მორალური ზიანი.

სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესს ხშირად თან ახლავს ბრალდებულისა და მისი ქონების მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება. ამასთანავე, შესაძლებელია ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ზიანი მიადგეს მის კუთვნილ ქონებას. უკანონოდ დაპატიმრებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან მისი გამართლების შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აუნაზღაუროს მას მატერიალური ზიანი, ხოლო ასეთი ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა ევროპულ სასამართლოს დარღვევად აქვს მიჩნეული<sup>337</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ფაქტი წარმოშობს პირის რეაბილიტაციის, ანუ „უფლების აღდგენის“ საფუძველს და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე მისი რეაბილიტირებულად ცნობის დამატებითი პროცედურის

<sup>335</sup> Danev v. Bulgaria, №9411/05, The European Court of Human Rights, 02.09.2010.

<sup>336</sup> Tendam v. Spain, №25720/05, The European Court of Human Rights, 13.07.2010.

<sup>337</sup> იხ. იქვე.

განხორციელება სავალდებულო არ არის<sup>338</sup>. მოქმედი საპროცესო კოდექსი რეაბილიტაციის ინსტიტუტს არ იცნობს, ვინაიდან ის აუცილებლად არ მიაჩნია. როგორც ევროპული სასამართლო განმარტავს, „რეაბილიტირებულად ცნობა“ და „უფლების აღდგენა“ იდენტური ცნებებია<sup>339</sup>. შესაბამისად, პირისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვნად უნდა იქნეს მიჩნეული არა მისთვის რაიმე სტატუსის მინიჭება, არამედ ბრალდებულად ყოფნის პერიოდში მის მიმართ უკანონო საპროცესო მოქმედებების განხორციელების ფაქტი, აგრეთვე მისი პატიმრობაში ყოფნის ფაქტი, რომლებიც, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი უპირობო გარემოებებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეულ პრობლემას ქმნის ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის მიერ ბრალდებულის პოზიციის გათვალისწინების საკითხი. ალბათ ძნელია ისეთი ვითარების წარმოდგენა, როდესაც ბრალდებული არ დაეთანხმება მის სასარგებლოდ პროკურორის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ პირისთვის ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რომელიც, ჩვენი აზრით, პრობლემატური და ზოგადია, მაშინ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ბრალდებული, რომელიც დარწმუნებულია თავის უდანაშაულობაში, რის საფუძველსაც აძლევს სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, და, შესაბამისად, ობიექტურად მოელის გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, შეიძლება არ იყოს თანახმა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, შეწყვეტის ან ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორი სავალდებულო წესით უნდა ითვალისწინებდეს პროცესის მონაწილეთა სუბიექტურ მოსაზრებებს. ამასთანავე, ჩვენი მოსაზრებით, ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ პირის სამართლებრივმა სტატუსმა მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გაურკვეველობა რომ არ

---

<sup>338</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე „ჯდარკავა საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №7932/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, თბ., 2010 წ., გვ. 160.

გამოიწვიოს, მიზანშეწონილია, ის სამართლებრივ დონეზე გაუთანაბრდეს გამართლებულის საპროცესო სტატუსს. ეს გამოასწორებს საკანონმდებლო ხარვეზს, დაიცავს იმ პირის უფლებებს, რომლის მიმართაც შეწყდა დევნა, და შესაძლებელს გახდის კანონის ერთგვაროვან გაგებას.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას დაზარალებულისთვის, პროცესის სხვა სუბიექტებისგან განსხვავებით, ნეგატიური შედეგები მოაქვს. ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტთან მიმართებით დაზარალებულის უფლებებზე ვრცლად ვისაუბრეთ დისერტაციის II თავის მე-5 პარაგრაფში. ამჟამად შევხებით იმ პრობლემატიკას, რომელიც თან სდევს ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებს დაზარალებულისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედმა საპროცესო კოდექსმა ძველ საპროცესო კოდექსთან შედარებით არსებითად გააუარესა დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართალწარმოების დროს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების პირველ წლებში. თუმცა შემდგომ, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ცხადყოფს, რომ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა დროთა განმავლობაში უმჯობესდება<sup>340</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულისთვის პოზიტიური ცვლილებების განხორციელების მიუხედავად, დღეს მოქმედ ნორმებს შორის კვლავ პრობლემურია ბრალდებაზე უარის თქმის დროს დაზარალებულის ჩართულობის მარეგულირებელი ნორმა. მოქმედი საპროცესო წესებით, დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს<sup>341</sup> და ითვლება პირად, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად<sup>342</sup>.

<sup>339</sup> იხ. იქვე.

<sup>340</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, №2518-რს, 24 ივლისი, 2014 წ.; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, №3276-რს, 21 ივლისი, 2018 წ.; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14 დეკემბერი, 2018 წ.; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, №4604-რს, 8 მაისი, 2019 წ.; საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, №5026-ილ, 20 სექტემბერი, 2019 წ.

<sup>341</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 3, ნაწ. 5.

<sup>342</sup> იხ. იქვე, ნაწ. 22.



სახელმწიფო ბრალმდებელს კანონი არ ავალდებულებს, ბრალდებაზე უარის თქმის დროს რაიმე კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან, როგორც ეს ხდება, მაგალითად, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე<sup>343</sup>, პირის ან/და ბრალდებულის მიმართ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე<sup>344</sup> და ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებამდე<sup>345</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაცია დაზარალებულს შესაძლებელია მიაწოდოს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორმა პროკურორთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ<sup>346</sup>. ეს კონსულტაცია, როგორც წესი, ზეპირია. აღნიშნული კონსულტაციის დროს დაზარალებულის მოტივაცია და მოსაზრება პროკურორის პოზიციაზე სამართლებრივ გავლენას არ ახდენს. პროკურორს კანონი არ ავალდებულებს, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს კონსულტაცია გაიაროს უშუალოდ დაზარალებულთან. მიუხედავად ამისა, ასეთი კომუნიკაციის არსებობა და დაზარალებულის წინასწარი და კვალიფიციური ინფორმირება მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგან ეს ხელს შეუწყობს სამართალწარმოების პროცესის შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელებას. პროკურორის ფორმალურად და ფაქტობრივად გამართული გადაწყვეტილებაც კი საქმისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამო ძნელად მისაღები და აღსაქმელი იქნება დაზარალებულისთვის, ვინაიდან იგი მთელი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მოთმინებით ელოდა ბრალდებულისთვის სასჯელის დანიშვნას, რაც ხშირად დაზარალებულისთვის პრინციპული და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მისაღები გადაწყვეტილების წინასწარ და გასაგებად, უშუალოდ პროკურორის მიერ ახსნა ხელს შეუწყობს დაზარალებულისთვის როგორც დანაშაულებრივი ფაქტის, ისე ბრალდებულის შესახებ სწორი წარმოდგენის შექმნას. იგი წინასწარ იქნება შეგუებული და გაცნობიერებული ექნება, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი კანონის ფარგლებში მოქმედებს და თუნდაც სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება არა მხოლოდ

<sup>343</sup> იხ. იქვე, მუხ. 168, ნაწ. 1.

<sup>344</sup> იხ. იქვე, მუხ. 168<sup>2</sup>, ნაწ. 3.

<sup>345</sup> იხ. იქვე, მუხ. 217, ნაწ. 1.

ბრალდებულის, არამედ დაზარალებულის კანონიერი ინტერესების სასარგებლოდ, რათა მართლმსაჯულება უდანაშაულო პირის მიმართ არ განხორციელდეს. ამასთანავე, შექმნილ ვითარებაში არსებობს პერსპექტივა, მოხდეს იმ პირის მხილება და მსჯავრდება, რომლის დანაშაულებრივმა ქმედებამაც გამოიწვია ზიანი რეალურად. შესაბამისად, ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ ბრალდებაზე უარის თქმა ართულებს დაზარალებულის უფლებების დაცვას<sup>347</sup>. პირიქით, თავად დაზარალებული უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს და გასამართლდეს ის პირი, რომელმაც მას ზიანი მიაყენა, და რომ უდანაშაულო პირის შესაძლო მსჯავრდება მას უფრო ნეგატიურ შედეგებს მოუტანს.

დღემდე პრობლემაა ის, რომ დაზარალებულს არ აქვს უფლება, გაასაჩივროს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუქცევი სამართლებრივი შედეგები აქვს, ვინაიდან ის იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის შეწყვეტას. ასეთი ვითარება სუბიექტურად ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაში დაზარალებულს აყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას სათანადო არგუმენტები აკლია. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელმა დაზარალებულს მისცა გამოძიების სტადიაზე პროკურორის მიერ მიღებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება<sup>348</sup>. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილება უნდა განხორციელდეს, კერძოდ, დაზარალებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივროს ბრალდებაზე პროკურორის უარი და სასამართლოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის შეწყვეტის თაობაზე. ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი დაზარალებულის უფლებების საერთაშორისო

<sup>346</sup> იხ. იქვე, მუხ. 58<sup>2</sup>, ნაწ. 1, ქვ. „ა“.

<sup>347</sup> Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 103.

<sup>348</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 106, ნაწ. 1<sup>1</sup>.

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რაზეც ვრცლად ვისაუბრეთ დისერტაციის II თავის მე-5 პარაგრაფში.

მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც ბრალდებაზე უარის თქმას სასამართლოსთვის და, ზოგადად, სისხლის სამართალწარმოების პროცესისთვის მოაქვს.

### **§3. სამართლებრივი შედეგი სასამართლოსა და სისხლის სამართალწარმოებისთვის**

ამ პარაგრაფში განვიხილავთ, რა სამართლებრივი შედეგები მოაქვს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას სასამართლოსთვის, რა ბერკეტებს უტოვებს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რამდენად ეფექტიანია სასამართლო კონტროლი ბრალდებაზე უარის თქმის დროს, რა სახის გადაწყვეტილების მიღება შეუძლია სასამართლოს ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, რა სამართლებრივი შედეგები დადგება მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართალწარმოების პროცესისთვის ბრალდებაზე უარის თქმის დროს და რა ბედი ეწევა სისხლის სამართლის საქმეს ამ შემთხვევაში. შევეცდებით მოვახდინოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და დავსახოთ მათი გადაჭრის გზები.

ახალმა საპროცესო კოდექსმა ქართული მართლმსაჯულების საპროცესო წესებში რევოლუციური ცვლილებები განახორციელა. ცვლილებები შეეხო თითქმის ყველა საპროცესო ინსტიტუტს, მათ შორის, პროკურორის ისეთ დისკრეციულ უფლებამოსილებას, როგორც არის ბრალდებაზე უარის თქმა, და მის სამართლებრივ შედეგებს. მანამდე არსებული ნორმით, ბრალდებაზე უარის თქმა არ იწვევდა სასამართლოს მიერ სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისთვის, და მოსამართლეს უტოვებდა უფლებას, გაეგრძელებინა საქმის წარმოება და გამოეტანა განაჩენი, თუნდაც გამამტყუნებელი. დამოუკიდებელ საქართველოში 1998 წელს მიღებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ნაწილობრივ შეცვალა აღნიშნული მიდგომა და სასამართლოს დაუტოვა

გადაწყვეტილების მიღების 2 ვარიანტი: პირველ შემთხვევაში ბრალდებაზე უარის თქმის დროს სასამართლო წყვეტდა სისხლისსამართლებრივ დევნას, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი აგრძელებდა საქმის განხილვას, მაგრამ მხოლოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა შეეძლო<sup>349</sup>. იმ სამართლებრივ შედეგებზე, რომლებიც პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმას სასამართლოსთვის მოაქვს, იმთავითვე დისპუტი მიმდინარეობდა. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ სასამართლოს უნდა გაეგრძელებინა სამართალწარმოების პროცესი და საკუთარი, შინაგანი რწმენით უნდა მიეღო საქმეზე საბოლოო და შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლებელია გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენით გამოხატულიყო<sup>350</sup>. აღნიშნულ მოსაზრებას ისინი იმ არგუმენტით ამყარებდნენ, რომ სასამართლო პროკურორის გადაწყვეტილებით არ უნდა შეზღუდულიყო და უნდა დაეტოვებინა უფლება, შეემოწმებინა ამ გადაწყვეტილების არა მარტო ფორმალური, არამედ ფაქტობრივი საფუძვლებიც, ანუ სასამართლო განხილვა სრული მასშტაბით ეწარმოებინა. აღნიშნული პოზიციის ავტორები იმაზე აპელირებენ, რომ პროკურორი მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში იჭრება<sup>351</sup> და სასამართლოს არ ეძლევა უფლება, საქმის განხილვა გააგრძელოს და სამართლიანი განაჩენი გამოიტანოს<sup>352</sup>. აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლობა კი ექვეყნეშ აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას<sup>353</sup>.

აღნიშნულისგან დიამეტრულად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა მეცნიერთა მეორე ნაწილს. კერძოდ, მათი აზრით, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს უნდა შეეწყვიტა

<sup>349</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წ., მუხ. 24, ნაწ. 8.

<sup>350</sup> კობალაძე პ., პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2002 წ., გვ. 111-112; Зеленецкий В., Отказ прокурора от государственного обвинения, Учебное пособие, Харьков, Юридический институт, 1979, с. 95; Каз Ц., Решения в уголовном судопроизводстве, Правоведение, 1978, №2, с. 130-131.

<sup>351</sup> ფაფიაშვილი შ., სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 1999 წ., გვ. 29-31; ფალიაშვილი ა., პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმძებლის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ., №5, გვ. 37.

<sup>352</sup> გოგშელიძე რ., პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, „სამართალი“, 2002 წ., №9-10, გვ. 71-75.

<sup>353</sup> გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბ., 2002 წ., გვ. 120-123.

სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი<sup>354</sup>. საწინააღმდეგო შემთხვევაში სასამართლო ბრალმდებლის ფუნქციებს შეითავსებდა, რაც სცდებოდა სამართლის ზოგად სულისკვეთებას<sup>355</sup>.

მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლოსთვის იმპერატიული ხასიათისაა და მას უტოვებს ერთადერთ გზას – ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს. მოქმედი ნორმა შეესაბამება ანტიკური ხანის პრინციპს *Ne iudex ultra petita partium*<sup>356</sup>. ის ერთგვარად უპასუხებს აგრეთვე მოთხოვნას *nemo iudex sine actore*<sup>357</sup>. აღნიშნული პრინციპი საერთაშორისო სამართლისთვის დღესაც აქტუალურია. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებს.

ამ მხრივ საინტერესო (ჩვენი აზრით, მანკიერი) პრაქტიკა აქვს დანერგილი საქართველოს უზენაეს სასამართლოს, კერძოდ, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განმარტა, რომ საქმის საკასაციო წესით (შესაბამისად სააპელაციო წესით) განხილვისას სამართლებრივად შეუძლებელია ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა“ (საქმე №370აპ-12)<sup>358</sup>. წინა ორი ინსტანციის სასამართლოებმა ა. ს-ე ცნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმის განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალდებაზე უარი თქვა და მსჯავრდებულ ა. ს-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა. უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ და ა. ს-ის მიმართ

<sup>354</sup> Савицкий В., Процессуальные последствия отказа прокурора от обвинения, Правоведение, 1972, №1, с. 70–79.

<sup>355</sup> Савицкий В., Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве, М., 1975, с. 367.

<sup>356</sup> Fellmeth A. X., Horwitz M., Guide to Latin in International Law, Oxford University Press, 2009, p. 72.

<sup>357</sup> Kolb R., The International Court of Justice, Bloomsbury Publishing, 2014, <https://books.google.ge/books?id=EorqAwAAQBAJ&lpg=PT304&dq=nemo%20iudex%20sine%20actore&pg=PT304#v=onepage&q=nemo%20iudex%20sine%20actore&f=false> (ბოლო ნახვა: 14.08.2022).

<sup>358</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №370აპ-12 ს-ე ა, 370აპ-12, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba33.pdf>.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეწყვიტა, ამასთანავე, მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ჩვენი კვლევისთვის საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა 2 მნიშვნელოვან ფორმალურ გარემოებაზე: 1. პროკურორმა ბრალდებაზე უარი თქვა საკასაციო პალატის სხდომაზე, რასაც მოქმედი საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს; 2. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საპროცესო კოდექსის თანახმად, საქმეზე არსებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება ან შეცვლა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

უზენაესი სასამართლოს პირველი დასაბუთება სცდება კანონის იმდროინდელი ჩანაწერის შინაარსს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2013 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქციის 250-ე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავდა, რომ პროკურორს დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე და ისიც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა ბრალდებაზე ან მის ნაწილზე<sup>359</sup>. ამ მსჯელობას ვერ დავეთანხმებით, რადგან მხარეები დასკვნითი სიტყვის უფლებით სააპელაციო სასამართლოშიც სარგებლობენ<sup>360</sup>. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციას, მათ სიტყვით გამოსვლის უფლება ამ სასამართლოშიც ეძლევათ<sup>361</sup>. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელს უზენაეს სასამართლოში მხარეთა სიტყვით გამოსვლა არ დაუყვია შესავალ და დასკვნით სიტყვებად. მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც აღნიშნულ ინსტანციაში მხარეებს ეძლევათ რეპლიკის უფლება<sup>362</sup> და, რაც მნიშვნელოვანია, საჩივრის გათხოვის უფლება<sup>363</sup>, გაუგებარია, რატომ აუარა გვერდი სასამართლომ კანონის ნორმის ანალოგიით გამოყენების ფუნდამენტურ პრინციპს<sup>364</sup>, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ იზღუდებოდა და, პირიქით, მისი გამოყენება ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს შეესაბამებოდა.

<sup>359</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ. (2013 წლის 30 მაისამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 250, ნაწ. 1.

<sup>360</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 297, ქვ. „ა“.

<sup>361</sup> იხ. იქვე, მუხ. 306, ნაწ. 2.

<sup>362</sup> იხ. იქვე, ნაწ. 5.

<sup>363</sup> იხ. იქვე, მუხ. 303, ნაწ. 7.

<sup>364</sup> იხ. იქვე, მუხ. 2, ნაწ. 3.

შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთება სცდება კანონის ფარგლებს. ამჟამად აღნიშნულ საკითხს გადაწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინაიდან 2013 წელს ცვლილებების განხორციელებისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გარკვევით ჩაიწერა, რომ პროკურორს ბრალდებაზე უარის თქმის უფლება აქვს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში<sup>365</sup>. აღნიშნულმა ცვლილებამ, გარდა იმისა, რომ კანონმდებლობაში უფრო მეტი სიცხადე შეიტანა, ხელი შეუშალა მანკიერი პრაქტიკის დამკვიდრებას. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ კანონის წინა, დაზუსტებული რედაქცია სავსებით სამართლიანად უტოვებს პროკურორს უფლებას, ბრალდებაზე უარი თქვას ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, ვინაიდან წინასწარ არავისთვის არ არის ცნობილი, რა ტრანსფორმაციას განიცდის საქმის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები სასამართლო განხილვის დროს.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მეორე დასაბუთებას, ეს საკითხი უფრო პრობლემური და მნიშვნელოვანია, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ სასამართლომ ნორმის შინაარსი არასწორად განმარტა. ვეთანხმებით უზენაესი სასამართლოს აპელირებას იმ კონსტიტუციურ ნორმაზე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით<sup>366</sup>. ბრალდებაზე პროკურორის უარი ვერ ჩაითვლება ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის მცდელობად, ვინაიდან, მარტივად რომ ვთქვათ, პროკურორს არ აქვს აღნიშნული უფლებამოსილება. ამასთანავე, პროკურორს უფლება აქვს, საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის, აგრეთვე ფორმალური საფუძვლებისა და შინაგანი რწმენის არსებობის შემთხვევაში უარი თქვას ბრალდებაზე. ეს არის მისი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოს, პირდაპირი და ფუნდამენტური უფლებამოსილება, ვინაიდან ბრალდებაზე უარის თქმა, ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შეწყვეტა, ბრალდებისა და სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლა, სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, პროკურორმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იმოქმედა სწორედ მაშინ, როდესაც ჩათვალა, რომ

---

<sup>365</sup> იხ. იქვე, მუხ. 250, ნაწ. 2.

<sup>366</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. (2018 წლის 23 მარტამდე მოქმედი რედაქცია), მუხ. 84, ნაწ. 5.

სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საფუძველი აღარ არსებობდა, და თავისი დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლოს წარუდგინა. თავის მხრივ, უზენაესმა სასამართლომ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ და არასწორად შეაფასა, როგორც პროკურორის მცდელობა, მოეხდინა პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების რევიზია. მათი შეცვლა ან/და გაუქმება სწორედ უზენაესი სასამართლოს პრეროგატივა იყო და მის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა. მიგვაჩნია, რომ ბრალდებაზე პროკურორის უარი არ ცვლის წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, აღნიშნული გადაწყვეტილება ავტომატურად არ გულისხმობს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას წყვეტს უზენაესი სასამართლო ბრალდებაზე პროკურორის დასაბუთებული უარის მოსმენის შემდეგ. სწორედ ის აუქმებს წინა ინსტანციების სასამართლოების განაჩენებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ განხილულ საქმეზე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც არ იქნა გაზიარებული ბრალდებაზე სახელმწიფო ბრალმდებლის უარი, დაუსაბუთებელი და უკანონოა. თუ სასამართლო სისტემა აღნიშნულ პრაქტიკას გაიზიარებს და პროკურორს დაუტოვებს უფლებას, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში თქვას უარი ბრალდებაზე, ამით უხეშად დაირღვევა მოქმედი საპროცესო კოდექსის მოთხოვნები და ბრალდებაზე უარის თქმის ისედაც სუსტი საპროცესო ინსტიტუტი უფრო მეტად დაზარალდება.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ მუშაობს ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის დროს. შეუძლია თუ არა პროკურორს, ამ დროს თქვას უარი ბრალდებაზე? უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომაზე ბრალდებაზე უარის თქმის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივად გამართული იქნება პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა ვერდიქტის გამოსატანად ნაფიცი მსაჯულების



სათათბირო ოთახში გასვლამდე<sup>367</sup>. აქვე აღსანიშნავია ერთი განსაკუთრებული გარემოება: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას<sup>368</sup>. ასეთი ვითარება პროკურორს უკარგავს შესაძლებლობას, უარი თქვას ბრალდებაზე საკასაციო წესით გასაჩივრებული საქმის განხილვისას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკანონმდებლო ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით მოქმედ საპროცესო კოდექსში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ბრალდებაზე უარის თქმის საკითხი სპეციალური ნორმით განისაზღვროს.

რაც შეეხება ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებს ზოგადად მართლმსაჯულებისთვის და კონკრეტულად სისხლის სამართლის საქმისთვის, მოქმედი კანონმდებლობა ამ მხრივაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის. კერძოდ, ნეგატიური სამართლებრივი შედეგების მქონე პროკურორის გადაწყვეტილება დაზარალებულს ფორმალურად უსპობს თავისი ინტერესების დაცვის პერსპექტივას, ვინაიდან მას არ აქვს ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

ბრალდებაზე უარის თქმა მართლმსაჯულებისთვის ნიშნავს გამოძიების სტადიაზე ფორმულირებული სისხლისსამართლებრივი დევნის შემაჯამებელი დოკუმენტის – პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ანულირებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით პროკურორი აცხადებს ერთგვარ თვითაცილებას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესიდან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს სამართალწარმოების პროცესის დასრულებას, ვინაიდან სასამართლოს რჩება ერთი გზა – მიიღოს ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება, კერძოდ, გამოიტანოს განჩინება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

პროკურორის მიერ ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო სისხლისსამართლებრივ დევნას წყვეტს ბრალდების მხოლოდ იმ ნაწილში (შესაბამისი მოცულობით), რომელზეც გადაწყვეტილება მიიღო

---

<sup>367</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წ., მუხ. 256.

პროკურორმა, ხოლო დარჩენილ ბრალდებაში სამართალწარმოების პროცესი გრძელდება კანონით განსაზღვრული წესით. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება საკუთარი, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მხარეების მიერ წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით გამოაქვს.

მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების კუთხითაც. სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ საქმე სასამართლოს წარმოებაში რჩება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მისი პროკურორისთვის ან გამოძიებაში დაბრუნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგლამენტირებული არ არის. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი კი ქმნის ერთგვარ ტექნიკურ პრობლემას, განსაკუთრებით ისეთ საქმეზე, როდესაც ბრალდებაზე უარის თქმა გამოწვეული იყო პირის უდანაშაულობით, ხოლო თავად დანაშაული გაუხსნელი რჩება. ამ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოსა და პროკურატურას უჩნდებათ პოზიტიური ვალდებულება, გააგრძელონ გამოძიება დანაშაულის ჩამდენი პირის/პირების მხილების მიზნით, რასაც აბრკოლებს ის გარემოება, რომ საქმის დედანი სასამართლოში რჩება და საქმის მწარმოებელ ორგანოს სხვადასხვა შემოვლითი და რთული საპროცესო გზის ძიება უწევს<sup>369</sup>. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, აღნიშნული კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილება, რომლითაც ბრალდებაზე სრულად უარის თქმის შემდეგ, აგრეთვე გაუხსნელი დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობის შემთხვევაში საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად პროკურორს დაუბრუნდება.

და ბოლოს, კატეგორიულად არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ პროკურორებისთვის სასამართლო პროცესის „დადებითი“ შედეგია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და რომ ბრალდებაზე უარის თქმა საგამოძიებო

---

<sup>368</sup> იხ. იქვე, მუხ. 266.

<sup>369</sup> ბეგიაშვილი ხ., სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის სამართლებრივი რეგულაციისა და საქმის სასამართლოდან გამოძიებაში დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის მანკიერი ურთიერთკავშირი, პრობლემის გადაჭრის გზები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(68)2020, გვ. 139–145.

ორგანოებისა და პროკურატურის მუშაობის არაეფექტიანობაზე მეტყველებს<sup>370</sup>. მიგვაჩნია, რომ მხარეებისთვის და, პირველ რიგში, პროკურორისთვის, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლისთვის, სასამართლო პროცესის დადებითი შედეგი უნდა იყოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და საქმის შეწყვეტით, ხოლო სათანადო ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სწორედ საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობაზე მეტყველებს, ვინაიდან სახელმწიფო ბრალმძებელი, რომელიც, ადვოკატისგან განსხვავებით, პროცესში სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მონაწილეობს, პირველ რიგში უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ არ მოხდეს უდანაშაულო პირის ბრალდება.

---

<sup>370</sup> Ефери́н А., К вопросу о праве государственного обвинителя на отказ от обвинения, Вопросы российской юстиции, 2021, №12, с. 307.

## თავი IV

### პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის სტანდარტები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობების შესაბამისად

#### §1. აშშ-ის მაგალითი

ჩვენ მიერ კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობები და მეცნიერთა მოსაზრებები პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ თავში განვიხილავთ აშშ-ის, ევროპის ზოგიერთი ქვეყნისა და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის კანონმდებლობებსა და მეცნიერულ მიდგომებს, წარმოვადგენთ უცხო ქვეყნების სამართლებრივი ნორმების ანალიზს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან მათ მიმართებას, გავეცნობით საზღვარგარეთის ქვეყნებში ბრალდებაზე უარის თქმისთვის დაწესებულ სტანდარტებს, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას სამართლებრივ ჭრილში, ამ სტანდარტების საქართველოს კანონმდებლობასთან მსგავსებას და მისგან განსხვავებას. მეცნიერული ანალიზი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების საშუალებას მოგვცემს.

შევხებით განსახილველი საკითხისადმი სამართლის ორი სისტემის – ანგლოამერიკული სამართლისა და კონტინენტური სამართლის სისტემების – მიდგომებს, სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორების როლსა და უფლებამოსილებას აღნიშნული სამართლის სისტემების მიხედვით, პროკურორების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებასთან მიმართებით მათი დამოუკიდებლობის სტანდარტებს და ანალიზის საფუძველზე შევაფასებთ,

სამართლის რომელი სისტემის პროკურორები სარგებლობენ გადაწყვეტილების მიღების დროს დამოუკიდებლობის უფრო მყარი გარანტიებით.

დღეისთვის ავტორთა ერთი ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობებში პროკურორის როლი და უფლებამოსილება დღითიდღე იზრდება<sup>371</sup>. ჩვენთვის საინტერესო და კვლევისთვის მნიშვნელოვანი იქნება, გაიზარდა თუ არა პროკურორის უფლებამოსილება ბრალდებაზე უარის თქმის დროს და რამდენად ეფექტანია ეს ინსტიტუტი ამა თუ იმ ქვეყანაში, რა პრობლემებთან აქვთ შეხება საზღვარგარეთის პროკურორებს და როგორ იჭრება ეს პრობლემები, რა თავისებურებები ახასიათებთ პროკურორებს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს და როგორ მუშაობს აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმი.

ამ თავში ბრალდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით განვიხილავთ აშშ-ის სამართლის სისტემის მაგალითს, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს კანონმდებლობამ ბოლო წლებში აღნიშნული ქვეყნის სამართლებრივი მიდგომების გაზიარებით მათი დიდი გავლენა განიცადა. ასევე განვიხილავთ ევროპის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითს, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს, აგრეთვე ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაგალითს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და აშშ-ის საპროცესო წესების ნათესაობის ნათელი დასტურია ბოლო წლებში ამ კოდექსში განხორციელებული არაერთი ცვლილება. ეს ცვლილებები, ერთი მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამარტივებისა და სრულყოფისკენ იყო მიმართული, მეორე მხრივ კი, მათ ეროვნულ კანონმდებლობაში დაამკვიდრეს დემოკრატიული ქვეყნების საპროცესო მიდგომები, რითაც უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დემოკრატიზაცია და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

მოგეხსენებათ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფუნდამენტი იყო საბჭოთა პერიოდის კვაზიდემოკრატიული კანონმდებლობა,

---

<sup>371</sup> Jehle J.-M., Wade M., *Coping with Overloaded Criminal Justice Systems: The Rise of Prosecutorial Power Across Europe*, Springer - Berlin, Heidelberg, 2006; Weigend T., *A Judge by Another Name? Comparative*

რომელშიც ადამიანის უფლებების დაცვას, მხარეთა თანასწორუფლებიანობას, კანონიერებასა და სამართლიანობას ერთპარტიული და ტოტალური დიქტატურის ფონზე ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

აშშ-ის სისხლის სამართლის სისტემის თავისებურება და მიმზიდველობა განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დანერგილი შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებაში მდგომარეობს. თავად შეჯიბრებითობა რთული ცნებაა<sup>372</sup>, მაგრამ, ამავე დროს, ის არის, ქვაკუთხედი რომელიც აუცილებელია ობიექტური მართლმსაჯულების განსახორციელებლად და, საბოლოო ჯამში, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი შედეგის მისაღებად.

აშშ-ის სამართალი ანგლოამერიკული სამართლის სისტემას განეკუთვნება, რაც პროკურორებს დამოუკიდებლობის განსაკუთრებულ ხარისხს ანიჭებს, რათა მათ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება მიმდინარე საკითხებზე. ამერიკელი პროკურორის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ გარანტიად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს აგრეთვე მისი პირდაპირი გზით, ხალხის მიერ არჩევა. აღნიშნული წესი აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისგან გამორჩეულს, უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პროკურორის უფლებამოსილებათა მდიდარ არსენალშია აგრეთვე მისი მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც პრაქტიკულად პროკურორის განუსაზღვრელი უფლებამოსილებაა და რომლის გაკონტროლება პრობლემად რჩება<sup>373</sup>.

ამერიკელ მეცნიერთა ნაწილს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება მიაჩნია დემოკრატიული ქვეყნისთვის საჭირო ინსტრუმენტად, რომელსაც, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის მაღალი გარანტია, რათა განათლებული და პროფესიონალი პროკურორის ხელში მოქნილი და

---

Perspectives on the Role of the Public Prosecutor. Erik Luna, Marianne L. Wade, *The Prosecutor in Transnational Perspective*, New York, Oxford University Press, 2012, pp. 283–289.

<sup>372</sup> Langer M., *The Long Shadow of the Adversarial and Inquisitorial Categories*. *The Oxford Handbook of Criminal Law*, Edited by Markus D. Dubber, Tatjana Hörnle, Oxford, 2014, pp. 887–912.

<sup>373</sup> Simon W. H., *The Organization of Prosecutorial Discretion. Prosecutors and Democracy, A Cross-National Study*, Edited by Máximo Langer and David Alan Sklansky, Cambridge, 2017, pp. 175–194; Price Z. S., *Enforcement Discretion and Executive Duty*, *Vanderbilt Law Review*, Vol. 67, Issue 3, 2014.

სამართლიანი იარაღი იყოს, ხოლო მეორე მხრივ, ამ უფლებამოსილების ფარგლებში არ უნდა იქნეს დაშვებული თვითნებობა და სუბიექტური მიდგომა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს<sup>374</sup>.

ამერიკელი მეცნიერები აშშ-ის ოლქის პროკურორს, რომლის თანამდებობაც არჩევითია, ახასიათებენ, როგორც ამერიკული დემოკრატიის უნიკალურ მოვლენას<sup>375</sup>. საოლქო პროკურორი ამომრჩევლის მანდატით სარგებლობს და ანგარიშვალდებულია მის სამოქმედო ტერიტორიის მცხოვრებთა წინაშე, რაც ზრდის მისი დამოუკიდებლობის ხარისხს. ამის გათვალისწინებით მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ საოლქო პროკურორს დისკრეციული უფლებამოსილების ფართო არეალისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის თავისუფლად განხორციელების კუთხით სხვა ქვეყნების პროკურორები ვერ შეედრებიან<sup>376</sup>.

აშშ-ის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. კერძოდ, მოქმედებს 50 შტატის დამოუკიდებელი კოდექსები, აგრეთვე ფედერალური, კოლუმბიის ოლქისა და პუერტო-რიკოს კოდექსები<sup>377</sup>. განსხვავებულია აგრეთვე პროკურატურის ორგანიზება. მაგალითად, ფედერალური პროკურატურის ხელმძღვანელებს აშშ-ის პრეზიდენტი ნიშნავს, ხოლო შტატის დონეზე პროკურორები თითქმის ყველა შემთხვევაში პირდაპირი წესით აირჩვიან (გამონაკლისია 3 შტატი). შტატების პროკურორები არ არიან ანგარიშვალდებული რომელიმე თანამდებობის პირის ან კოლეგიური ორგანოს წინაშე<sup>378</sup>. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ აშშ-ის გენერალური პროკურორის მითითებებიც კი არ მიიჩნიონ

---

<sup>374</sup> Parsons T., *A Sociologist Looks at the Legal Profession. Essays in Sociological Theory*, 1954, p. 349; Bledstein B., *The Culture of Professionalism: The Middle Class and the Development of Higher Education in America*, New York: Norton, 1976, pp. 102-103.

<sup>375</sup> Ma Y., *Exploring the Origins of Public Prosecution*, *International Criminal Justice Review*, Vol. 18, Issue 2, 2008, p. 191.

<sup>376</sup> იხ. იქვე, გვ. 208.

<sup>377</sup> ბეგიაშვილი ხ., საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით სასჯელთა შეკრება დანაშაულთა ერთობლიობისას, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(73)2022, გვ. 160.

<sup>378</sup> Grozev Y., Schöntheich M., Smedovska R., Girginov A., du Plessis Anton, Hancock B., Cooper B., Riego C., Cavallini D., Trendafilova E., Bócz E., Falletti F., Di Federico G., Gramckow H., Lackner J., Herrmann J., Bárd K., Goransky M., Johnson Robert M. A., Foglesong T., Róth W. (*Project team*), *Promoting*

სავალდებულოდ<sup>379</sup>. ფედერალური დანაშაულების ვიწრო წრის პროპორციულად შეზღუდულია ფედერალური პროკურორის უფლებამოსილება განსჯადობის კუთხით. აღნიშნულისგან განსხვავებით, შტატების პროკურორების იურისდიქციაში მოქცეულია მათი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებული თითქმის ყველა დანაშაულის საქმე<sup>380</sup>.

რაც შეეხება ფედერალური და შტატების პროკურორების დისკრეციულ უფლებამოსილებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებში, როგორც მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად აცხადებს, ის განუსაზღვრელია<sup>381</sup>. ხშირად ამერიკელ პროკურორებს სწორედ განუსაზღვრელი უფლებამოსილების გამო, განსაკუთრებით – საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენების დროს, მოსამართლის კომპეტენციაში შეჭრაში ადანაშაულებენ. კერძოდ, მეცნიერთა ნაწილის აზრით, საპროცესო შეთანხმების გაფორმებით პროკურორს თავად გამოაქვს განაჩენი ბრალდებულისთვის<sup>382</sup>. ამერიკელი მკვლევრები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ შტატების პროკურორთა არჩევითობა, აგრეთვე ფედერალური პროკურორის აშშ-ის პრეზიდენტის მიერ პირდაპირი წესით დანიშვნა მათ ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს, ვინაიდან ისინი ევროპელ კოლეგებზე ხშირად ექცევიან პოლიტიკური გავლენის ქვეშ და თავიანთი კარიერული წინსვლა უფრო მეტად აფიქრებთ, ვიდრე კანონიერება და სამართლიანობა<sup>383</sup>. ამერიკელ მკვლევართა გარკვეული ნაწილი არ იზიარებს მაიკლ ტონრის მოსაზრებებს და ამერიკელ პროკურორებს ახასიათებს, როგორც პროფესიონალ და ობიექტურ

---

Prosecutorial Accountability, Independence and Effectiveness, Comparative Research, Open Society Institute Sofia, 2008, p. 388.

<sup>379</sup> Harris David A., The Interaction and Relationship Between Prosecutors and Police Officers in the United States, and How This Affects Police Reform Efforts. Erik Luna, Marianne L. Wade, The Prosecutor in Transnational Perspective, New York, Oxford University Press, 2012, p. 58.

<sup>380</sup> ვოგლერი რ., პროკურორებისა და საგამომიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, თბ., 2017 წ., გვ. 7.

<sup>381</sup> Jackson R. H., The Federal Prosecutor, Washington, 1940, p. 2. <https://www.justice.gov/sites/default/files/ag/legacy/2011/09/16/04-01-1940.pdf> (ბოლო ნახვა: 14.07.2022); Stuntz W. J., The Pathological Politics of Criminal Law, Michigan Law Review, Vol. 100, Issue 3, 2001, pp. 529–546.

<sup>382</sup> Lynch G. E., Screening Versus Plea Bargaining: Exactly What Are We Trading Off? Stanford Law Review, 2003, №55, Columbia Law School, pp. 1403-1404.

<sup>383</sup> Prosecutors and Politics: A Comparative Perspective, Edited by Tonry M., Crime and Justice: A Review of Research, Vol. 41, 2012, pp. 7–28.



ჩინოვნიკებს, რომელთა დამოუკიდებლობის ხარისხს სწორედ მათი არჩევითობა ზრდის<sup>384</sup>.

რაც შეეხება ამერიკელი პროკურორების უფლებამოსილებას სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ამ შემთხვევაშიც, ფედერალურ თუ შტატის დონეზე განუსაზღვრელი უფლებამოსილებით სარგებლობენ. ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორები არ არიან შებოჭილი ზემდგომი პროკურორის თანხმობით და აღნიშნულ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებენ. კვლევებმა აჩვენა, რომ პროკურორები თავიანთ დისკრეციულ უფლებამოსილებას ხშირად იყენებენ, კერძოდ, საქმის მასალებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ<sup>385</sup>. ამასთანავე, ისინი საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე წინასწარ განსაზღვრავენ ბრალდების სასამართლო პერსპექტივას და, თუ ჩათვლიან, რომ მტკიცებულებები სუსტია და ბრალდებულს ამ საქმეში გამართლების შანსი აქვს, ყოველგვარი „გაურკვევლობის თავიდან აცილების“ საფუძველზე უარს ამბობენ ბრალდებაზე<sup>386</sup>. სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დანაშაულის სიმძიმეს<sup>387</sup>, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საკმარისობას სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენისთვის<sup>388</sup>, აგრეთვე ბრალდებულის ბრალეულობას მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენაში<sup>389</sup>.

ამერიკელ მეცნიერთა ზოგიერთი კვლევის მიხედვით, პროკურორები ბრალდებასთან მიმართებით ყველა საკითხს წინასწარ, ერთობლიობაში აფასებენ, რაც შემდგომ მათ გადაწყვეტილებაში აისახება. პროკურორები დიდ ყურადღებას

---

<sup>384</sup> Wright R. F., *Reinventing American Prosecution Systems*, *Crime and Justice*, Vol. 46, 2017, pp. 395–439; Gold R. M., *Promoting Democracy in Prosecution*, *Washington Law Review*, Vol. 86, No. 1, 2011, pp. 69–124.

<sup>385</sup> Frazier P. A., Haney B., *Sexual Assault Cases in the Legal System: Police, Prosecutor, and Victim Perspectives*, *Law and Human Behavior*, Vol. 20, No. 6, 1996, pp. 607–628.

<sup>386</sup> Albonetti C. A., *Prosecutorial Discretion: The Effects of Uncertainty*, *Law & Society Review*, Vol. 21, No. 2, 1987, pp. 291–314.

<sup>387</sup> Schmidt J., Hochstedler Steury E., *Prosecutorial Discretion in Filing Charges in Domestic Violence Cases*, *Criminology*, Vol. 27, Issue 3, 1989, pp. 487–510.

<sup>388</sup> Nagel I. H., Hagan J., *Gender and Crime: Offense Patterns and Criminal Court Sanctions*, *Maurer School of Law: Indiana University, Articles by Maurer Faculty 2072*, 1983, pp. 121–122.

<sup>389</sup> Swigert V. L., Farrell R. A., Yoels W. C., *Sexual homicide: Social, psychological, and legal aspects*, *Archives of Sexual Behavior*, Vol. 5, Issue 5, 1976, pp. 391–401.

უთმობენ აგრეთვე ბრალდებულისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულებას, რაც მათ ეხმარებათ, წინასწარ ჰქონდეთ წარმოდგენა საქმის სასამართლო პერსპექტივაზე<sup>390</sup>.

აქვე შევეხოთ ამერიკული მართლმსაჯულების სისტემის თავისებურებებს, რომლებიც მის განსაკუთრებულობას განაპირობებს და განასხვავებს ამერიკელი პროკურორების მიდგომას ბრალდებაზე უარის თქმის დროს გადასაწყვეტი საკითხებისადმი ქართველი პროკურორების მიდგომისგან. ასეთ თავისებურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამერიკელი პროკურორების მიერ დევნის დაწყებაზე ან ბრალდებაზე უარის თქმის დროს ბრალდებულის რასობრივი კუთვნილების საკითხზე აპელირება. ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ბრალდება უფრო სავარაუდოა, თუ ბრალდებული თეთრკანიანია, ხოლო ბრალდებაზე უარი მეტად სავარაუდო – თუ ბრალდებული ფერადკანიანია, ან თუ ბრალდებული შავკანიანია, ხოლო დაზარალებული – თეთრკანიანი<sup>391</sup>. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა სცდება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ თანასწორუფლებიანობის იდეას. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ ამერიკელი პროკურორების ამგვარი მიდგომა განაპირობა არა მხოლოდ მათმა პრაგმატულმა სისხლისსამართლებრივმა პოლიტიკამ, არამედ სასამართლოს და ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზმა.

ამერიკელი პროკურორების მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს აგრეთვე ბრალდებულის სქესი. ამერიკელ მკვლევართა აზრით, პროკურორები სისხლისსამართლებრივ დევნას უფრო მეტად მამრობითი სქესის ბრალდებულების მიმართ იწყებენ, მდედრობითი სქესის ბრალდებულების მიმართ კი ბრალდებაზე უარის თქმის ტენდენცია ჭარბობს<sup>392</sup>. ამერიკელი მკვლევრების – ჯანელ შმიდტისა და ელენ სტიურის – აზრით, ამერიკელი პროკურორებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან მასზე

---

<sup>390</sup> Spohn C. C., Beichner D., Frenzel E. D., Holleran D., Prosecutors' Charging Decisions in Sexual Assault Cases: A Multi-Site Study, Final Report, 2002, pp. 2–5.

<sup>391</sup> Radelet M. L., Pierce G. L., Race and Prosecutorial Discretion in Homicide Cases, Law & Society Review, Vol. 19, No. 4, 1985, pp. 587–622.

<sup>392</sup> Spohn C., Gruhl J., Welch U., The Impact of Ethnicity and Gender of Defendants on the Decision to Reject or Dismiss Felony Charges, Criminology, Vol. 25, Issue 1, 2006, pp. 175–192.

უარის თქმის საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია აგრეთვე ბრალდებულის დასაქმების საკითხი. ასე, მაგალითად, პროკურორები ბრალს ადვილად უყენებენ იმ პირებს, რომლებიც უმუშევრები არიან, ხოლო ბრალდებაზე უარის თქმის დროს შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ბრალდებულის შრომითი გამოცდილებისა და მიმდინარე სამსახურის ფაქტორი<sup>393</sup>. ბრალდებულის დასაქმების საკითხის გარდა, პროკურორები დიდ ყურადღებას აქცევენ მისი დადებით და უარყოფით პიროვნულ მახასიათებლებს. კერძოდ, თუ პირი დადებითად ხასიათდება, უმწიკვლო წარსული აქვს და დანაშაული „სულელური ქცევით“ ჩაიდინა, იგი არ უნდა გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი<sup>394</sup>. სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს პროკურორები ყურადღებას აქცევენ აგრეთვე დაზარალებულის პიროვნებას, სანდობას და ბრალდებულთან ურთიერთობას. დაზარალებულის სუბიექტური მისწრაფებები და „მტაცებლური ქცევა“ პირდაპირ მიუთითებს საქმის უპერსპექტივობაზე<sup>395</sup>.

ზოგიერთი შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული, რა შემთხვევაში შეუძლია პროკურორს, უარი თქვას ბრალდებაზე. მაგალითად, ტეხასის პროკურორი ბრალდებაზე უარს იტყვის შემდეგ შემთხვევებში: დაზარალებული საქმეში მონაწილეობაზე უარს ამბობს და სურს ბრალდების მოხსნა ბრალდებულის მიმართ შიშის, სიმპათიის ან მასთან სხვაგვარი ემოციური დამოკიდებულების გამო; სასამართლო განხილვის დროს ბრალდებულის სასარგებლოდ გამოვიდნენ ახალი, სანდო მოწმეები, რომლებმაც ბრალდების უკვე არსებული მოწმეების ჩვენებების უარყოფა შეძლეს; დაცვის მხარეს აქვს საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელმაც გავლენა მოახდინა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე; ბრალდების მტკიცებულებები სუსტია; გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებები მოპოვებულია და საპროცესო მოქმედებები ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა

---

<sup>393</sup> იხ. სქოლიო 372.

<sup>394</sup> Portman J., Arrests That Don't Result in Criminal Charges, <https://www.nolo.com/legal-encyclopedia/arrests-that-dont-result-criminal-charges.html> (ბოლო ნახვა: 27.07.2022).

<sup>395</sup> Anderson J., Patterns in Forcible Rape by Menachem Amir, California Law Review, Vol. 60, No. 1, 1972, pp. 259–263.

დარღვევით; ახალმა მტკიცებულებამ ბრალდებული გაამართლა; ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან უფრო მძიმე დანაშაულების გასახსნელად<sup>396</sup>.

შესაძლებელია პროკურორმა ბრალდებულთან გააფორმოს გარიგება მართლმსაჯულების სისტემისთვის ან საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მიჩნეულ საკითხზე, კერძოდ, გახდეს ინფორმატორი ან მოწმე უფრო მნიშვნელოვანი დამნაშავეების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ თავისუფლები არიან.

საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ყველა შტატის პროკურორები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, შეწყვეტის თუ ბრალდებაზე უარის თქმის დროს, ზოგადად, ერთგვაროვანი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. მათი გადაწყვეტილებები, მოსამართლეთა გადაწყვეტილებების მსგავსად, ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: დანაშაულის სიმძიმე, პირის ბრალეულობა, დანაშაულებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანის სახე, ხარისხი და ოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ, აშშ-ის კანონმდებლობით, პროკურორს ბრალდების მოხსნა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია. ამასთანავე, ისეთი ახალი მტკიცებულების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც ბრალდებაზე უარის თქმამდე მხარეთათვის უცნობი იყო, მას უფლება აქვს, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განაახლოს.

რაც შეეხება ამერიკელი პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებს, ბრალდებაზე უარის თქმა ნიშნავს, რომ ბრალდებულს სავარაუდო დანაშაულისთვის სასჯელი არ ემუქრება, თუმცა ის არ ნიშნავს საქმის შეწყვეტას, რაც გულისხმობს ამ საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების პერსპექტივას და ახალი მტკიცებულებებით იმავე ან სხვა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების შესაძლებლობას. ამასთანავე, როგორც პროკურორს, ისე სასამართლოს ბრალდებაზე უარის თქმის დროს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ. საქმის

---

<sup>396</sup> [Law Offices of Seth Kretzer, What Does It Mean When a Charge Is Dropped?](https://kretzerfirm.com/what-does-it-mean-when-a-charge-is-dropped/), 2022, <https://kretzerfirm.com/what-does-it-mean-when-a-charge-is-dropped/> (ბოლო ნახვა: 27.07.2022).

შეწყვეტის ძირითადი საფუძველი, როგორც წესი, არის იურიდიული შეცდომა ან საქმის გასაგრძელებლად საჭირო მტკიცებულებების ნაკლებობა<sup>397</sup>.

## §2. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი

ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობებში ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის ფორმირება დიდწილად განპირობებულია ანგლოამერიკული და რომანულ-გერმანული (კონტინენტური) ტიპის სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი მახასიათებლებით, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვადასხვა მიდგომის ჩამოყალიბებაზე.

აღნიშნული ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ისტორია არაერთ საუკუნეს ითვლის. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ხდებოდა მისი სრულყოფა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კანონმდებლობაში პროკურორის უფლებების საბოლოო ლეგიტიმაციას.

ევროპის ქვეყნებში აქტუალურია სასამართლოში ბრალდების შეცვლისა და უცვლელობის საკითხი. სასამართლო განხილვის სტადიაზე ბრალდების ფორმულირების შეცვლა ბრალდების კორექტირების, შევსების, მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და მის ფორმულირებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების სამართლებრივ მექანიზმად განიხილება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთვის თავდაპირველი ბრალდების უცვლელობის საკითხი უცხო არ არის. აქ იგულისხმება ისეთი მიდგომა, როდესაც სასამართლო განხილვის სტადიაზე ბრალდების ფორმულირების შეცვლას კანონი არ ცნობდა, ხოლო ბრალდების რაიმე სახით კორექტირება ბრალდებულის გამართლებას იწვევდა.

ბრალდების უცვლელობის საკითხი თავდაპირველად გაზიარებულ იქნა ძველ გერმანულ და ანგლოსაქსურ სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც

---

<sup>397</sup> The Law Offices of Mark S. Treyz, What Happens When Charges Get Dropped or Dismissed?, 2021, <https://www.treyzlaw.com/what-happens-when-charges-get-dropped-or-dismissed/> (ბოლო ნახვა: 27.07.2022).

უკიდურესი ფორმალიზმით და ძირითადად რელიგიური ფაქტორებით ხასიათდებოდა.

შუა საუკუნეებში და XIX საუკუნის შუა ხანებამდე ბრალდების უცვლელი საკითხი მყარად იყო რეგლამენტირებული ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში. ეს ტენდენცია დამახასიათებელი იყო ინგლისის საბრალდებო სისტემისთვისაც. აღნიშნულ პერიოდში გაერთიანებული სამეფოს სამართლის დოქტრინა მხარეთა შეჯიბრებითობის პროცესში მოსამართლის მიუკერძოებლობას აღიარებდა. ინგლისური სამართლის თეორიის მიხედვით, სასამართლო დამოუკიდებელი არბიტრის სტატუსს ინარჩუნებდა, ვინაიდან მას არ ჰქონდა ბრალდების თავდაპირველი ფორმულირების შეცვლაზე მსჯელობის უფლება. ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხი მთლიანად მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევასა და ანალიზზე იყო დამოკიდებული<sup>398</sup>. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, დიდ ბრიტანეთში თავდაპირველი ბრალდების სასამართლო განხილვის სტადიაზე რაიმე სახით შეცვლა ბრალდებულის სრულად გამართლებას იწვევდა, რაც, რა თქმა უნდა, პრობლემატური იყო, რის გამოც დროთა განმავლობაში ინგლისური სამართლის სისტემამ შეიმუშავა ერთგვარი თავდაცვის მექანიზმები, რომლებსაც უნდა გამოერიცხა ისეთი უსამართლო შემთხვევა, როგორც იყო ბრალდებულის მიერ სასჯელისთვის თავის არიდება. პირველ რიგში, არსებობდა პირველადი ბრალდების ერთგვარი დეფრაგმენტაციის შესაძლებლობა. კერძოდ, თავდაპირველი ბრალდების მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურება არ იწვევდა ბრალდებულის სრულად გამართლებას<sup>399</sup>. მეორე მნიშვნელოვანი მიდგომა იყო ალტერნატიული ბრალდების შემოღება. ამ მიდგომის მიხედვით, ბრალდება შეიძლებოდა რამდენიმე სავარაუდო დანაშაულისთვის ყოფილიყო ფორმულირებული, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზი კი ბრალდების მხარესა და სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, პუნქტობრივად შეეფასებინათ თითოეული ევენტუალური

---

<sup>398</sup> Чельцов-Бebutov M., Курс уголовно-процессуального права, Очерки по истории суда и уголовного процесса в рабовладельческих, феодальных и буржуазных государствах, 1995, с. 846.

<sup>399</sup> Немировский Э., Отношение приговора к обвинению, Записки Императорского Новороссийского университета, Т. 108, Одесса, 1907, с. 44.

ბრალდების შესაბამისობა ბრალდებულის მიერ ჩადენილ, მისთვის ინკრიმინირებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან და მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ეპოვათ ერთ-ერთი მათგანის შესაბამისობა აღნიშნულ ქმედებასთან<sup>400</sup>. მესამე საკითხი იყო იმავე ბრალდებით ბრალდებულის მიმართ დევნის განმეორებით დაწყების შესაძლებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩენილი იქნებოდა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც საქმის პირველი განხილვის დროს გამოკვლეული არ ყოფილა<sup>401</sup>. თავდაპირველი ბრალდების სრული უცვლელობის პრინციპი დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო დონეზე პირველად 1851 წლის 7 აგვისტოს შეიზღუდა<sup>402</sup>. ამან გაამარტივა საბრალდებო დასკვნის შედგენა და ბრალდების შეცვლა. შემდეგ აღნიშნული პროცედურები ინგლისის კანონმდებლობით უფრო გამარტივდა, კერძოდ, 1915 წელს<sup>403</sup> და 1971 წელს<sup>404</sup> მიღებული კანონებით. დღევანდელი მდგომარეობით, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა იძლევა როგორც თავდაპირველი ბრალდების შეცვლის, ისე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესაძლებლობას. ამის უფლებამოსილება აქვთ მხარეებს, აგრეთვე მოსამართლეს, რომელიც ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს მხარეთა მოსაზრებებს ისმენს<sup>405</sup>. ინგლისური სამართლის სისტემა იცნობს სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდების საქმის სასამართლოდან გამოხმობის შესაძლებლობასაც. ამ დროს პროკურორს უფლება აქვს, შეცვალოს ან დააზუსტოს ბრალდება და საქმე განმეორებით წარმართოს სასამართლოში განსახილველად<sup>406</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში 1986 წლამდე პროკურატურის სტრუქტურა დამოუკიდებლად არ არსებობდა და საგამოძიებო და საბრალდებო ფუნქციებს პოლიციისა და გამოძიების ორგანოები ასრულებდნენ. შესაბამისად, ევროპელი

---

<sup>400</sup> იხ. იქვე, გვ. 62.

<sup>401</sup> იხ. იქვე, გვ. 71.

<sup>402</sup> Evidence Act 1851, UK, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/Vict/14-15/99> (ბოლო ნახვა: 22.06.2022).

<sup>403</sup> Indictments Act 1915, UK, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo5/5-6/90/body/enacted> (ბოლო ნახვა: 22.06.2022).

<sup>404</sup> Courts Act 1971, UK, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1971/23> (ბოლო ნახვა: 22.06.2022).

<sup>405</sup> Walker R. J., *The English Legal System*, Fifth Edition, London, Butterworths, 1980, pp. 495-496.

<sup>406</sup> Головки Л., Истоки и перспективы института дополнительного расследования уголовных дел на постсоветском пространстве, Государство и право, 2009, №11, с. 54-67.

სპეციალისტები ინგლისური პროკურატურის არსებობას გამორიცხავდნენ. საჯარო დევნას ახორციელებდნენ მაღალი რანგის ადვოკატები – სოლისიტორები და ბარისტერები<sup>407</sup>, რომლებსაც სიმბოლურ ზედამხედველობას უწევდნენ საჯარო ბრალდების სამსახურის დეპარტამენტი და მისი დირექტორი, ხოლო სამეფო პროკურორის სამსახურის (CPS) შექმნის შემდეგ ბრალმდებლის ფუნქცია სამეფო ბრალმდებლებმა შეითავსეს. რაც შეეხება საჯარო ბრალდების სამსახურს, ინგლისში იგი 1879 წელს, დანაშაულთა დევნის შესახებ კანონით (Prosecution of Offences Act) შეიქმნა. მის დირექტორს შინაგან საქმეთა მინისტრი ნიშნავდა<sup>408</sup>. სამსახურის უფლებამოსილებებს განეკუთვნებოდა როგორც უშუალოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება, ისე მისი განხორციელების პროცესში საგამოძიებო და საპოლიციო უწყებებისთვის კონსულტაციების გაწევა<sup>409</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში საჯარო ბრალდების სამსახურმა 100 წელზე მეტ ხანს იარსება, მას მეცნიერთა ერთი ნაწილი მოძველებული და გაურკვეველი სისტემის ფორმალურ რგოლად მოიხსენიებს<sup>410</sup>. საჯარო ბრალდების სამსახურს ჰყავდა არაერთი კრიტიკოსი, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ საპოლიციო და საგამოძიებო სტრუქტურების უკონტროლობას<sup>411</sup>. შესაბამისად, ინგლისის კანონმდებლობის წინაშე დადგა პროკურატურის, როგორც დამოუკიდებელი და ეფექტიანი უწყების, წარმოშობის აუცილებლობა. სამეფო პროკურორის სამსახურის შექმნამდე, 1984 წელს ინგლისში მიღებულ იქნა კანონი პოლიციისა და სისხლის სამართლის მტკიცებულებების შესახებ. ამ კონგლომერატმა ინგლისის სისხლის სამართლის სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკა დიამეტრულად შეცვალა და მოახდინა როგორც გამოძიებისა და სახელმწიფო ბრალდების, ისე წინასასამართლო

---

<sup>407</sup> Уолкер Р., Английская судебная система, М., 1980, с. 280, 295.

<sup>408</sup> Hetherington T., A Changing Society and the Director of Public Prosecutions, The Law Teacher, Vol. 14, Issue 2, 1980, pp. 93–103.

<sup>409</sup> Ma Y., Exploring the Origins of Public Prosecution, International Criminal Justice Review, №(18)2, 2008, p. 195.

<sup>410</sup> Proposed Independent Prosecuting Service: The Prosecutor's Viewpoint, The Journal of Criminal Law, Vol. 48, Issue 3, 1984, გვ. 302 (ინტერნეტურნალში ავტორი არ იძებნება (ავტ. შენ.)), <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/002201838404800310?icid=int.sj-abstract.similar-articles.2> (ბოლო ნახვა: 04.07.2022).

<sup>411</sup> McBarnet D., The Fisher Report on the Confait Case: Four Issues, The Modern Law Review, Vol. 41, No. 4, 1978, pp. 455–463.



პროცედურების ტრანსფორმაცია<sup>412</sup>. მიუხედავად ამისა, სამეფო პროკურორის სამსახურს იმთავითვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის ნაჩქარევად ჩამოყალიბებას და არასაკმარისი რესურსებით უზრუნველყოფას, აგრეთვე სამსახურის არასწორ საკადრო პოლიტიკას<sup>413</sup>. გარდა ამისა, ოფიციალურ კვლევებში, რომლებიც ინგლისის პროკურატურის სისტემას ეხება, აქტიურად ხდება წინა პლანზე ისეთი პრობლემების წამოწევა, რომლებიც პოლიციისა და პროკურატურის ორგანოებს შორის ნდობის არარსებობით არის გამოწვეული. აქ გამოძიება პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს ნომინალურ პარტნიორად განიხილავს<sup>414</sup>. ინგლისში პროკურატურის სისტემა წლების განმავლობაში იხვეწებოდა. თუ ადრე პროკურორს გამოძიებისთვის მითითების მიცემის უფლებაც არ ჰქონდა, 2008 წლიდან მას მიენიჭა უფლებამოსილება, გამოძიების ნებისმიერ სტადიაზე უშუალოდ შეისწავლოს და გააანალიზოს ბრალდების მტკიცებულებები<sup>415</sup>, რაც ხელს უწყობს პროკურორის მიერ საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას<sup>416</sup>.

სამეფო პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა გადაწყვეტილებების მიღება იმ საქმეებზე, რომლებზეც სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს, და ამ საქმეების მომზადება სასამართლო განხილვისთვის წარსადგენად<sup>417</sup>. სწორედ აღნიშნული უფლებამოსილების

---

<sup>412</sup> Vogler R., *A World View of Criminal Justice*, 1st Edition, London, Aldershot, Ashgate, 2005, pp. 152-153.

<sup>413</sup> The Royal Commission on Criminal Justice, Report, London, 6 July 1993, pp. 70-73, [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/271971/2263.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/271971/2263.pdf); Report on the Crown Prosecution Service of England and Wales. O. S. Foundation. Promoting Prosecutorial Accountability, Independence and Effectiveness. Comparative Research. Sofia, p. 143, [https://www.justiceinitiative.org/uploads/f3b388fc-c2cc-401a-98e5-9423ccee0e0d/promoting\\_20090217.pdf](https://www.justiceinitiative.org/uploads/f3b388fc-c2cc-401a-98e5-9423ccee0e0d/promoting_20090217.pdf).

<sup>414</sup> House of Commons Justice Committee, *The Crown Prosecution Service: Gatekeeper of the Criminal Justice System*, Ninth Report of Session 2008-09, London, 2009, p. 11, [https://publications.parliament.uk/pa/cm200809/cmselect/cmjust/186/186.pdf?\\_cf\\_chl\\_tk=v3b6U0M5EV3sXZTW9oogxoHKHoG2C\\_1Vpyax5D3DTIU-1671188725-0-gaNycGzNCT0](https://publications.parliament.uk/pa/cm200809/cmselect/cmjust/186/186.pdf?_cf_chl_tk=v3b6U0M5EV3sXZTW9oogxoHKHoG2C_1Vpyax5D3DTIU-1671188725-0-gaNycGzNCT0).

<sup>415</sup> ვოგლერი რ., პროკურორებისა და საგამოძიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, თბ., 2017 წ., გვ. 26.

<sup>416</sup> Roberts P., Saunders C., *Introducing Pre-Trial Witness Interviews - A Flexible New Fixture in the Crown Prosecutor's Toolkit*, *Criminal Law Review*, Issue 11, 2008, pp. 831-853; Roberts P., *Prosecutors Interviewing Witnesses: A Question of Integrity*. *The Integrity of Criminal Process: From Theory into Practice*. Edited by Hunter J., Roberts P., Young S. N. M., Dixon D., Oxford, 2016, pp. 163-198.

<sup>417</sup> The Crown Prosecution Service, <https://www.cps.gov.uk/> (ბოლო ნახვა: 05.07.2022).

განხორციელების დროს უნდა გადაწყვიტონ სამეფო პროკურორებმა შემდეგი საკითხი: თქვან თუ არა უარი ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროს ინგლისის პროკურორები 2 კრიტერიუმს იყენებენ. კერძოდ, სამეფო პროკურორის კოდექსი იცნობს სრული კოდექსის ტექსტს<sup>418</sup>, რომლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს პროკურორმა უნდა შეაფასოს როგორც მტკიცებულებათა სტანდარტი, ისე საჯარო ინტერესის სტანდარტი. პირველ შემთხვევაში პროკურორი ანალიზებს საქმეზე ბრალდებულის მიმართ შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც, თავის მხრივ, საქმის სასამართლო პერსპექტივასთან დაკავშირებით გარკვეული პროგნოზების გაკეთებას უზრუნველყოფს, ხოლო თუ მტკიცებულებები არასაკმარისი იქნება და ვერ დააკმაყოფილებს ბრალდების „რეალური პერსპექტივის“ სტანდარტს, რომელიც, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტზე მეტი და „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტზე ნაკლებია<sup>419</sup>, სამეფო პროკურორი ბრალდებაზე უარს ამბობს და საქმე წყდება. თუ მტკიცებულების ტექტი ბრალდების წარმატებით განხორციელების საფუძველს იძლევა, პროკურორმა ბრალდების განხორციელების საჯარო ინტერესი უნდა შეაფასოს. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი აღემატება სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის საჯარო ინტერესს<sup>420</sup>. თავის მხრივ, საჯარო ინტერესი გულისხმობს ბრალდებულის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმეს, სავარაუდო შედეგს, რომელიც შეიძლება დადგეს კონკრეტულ საქმეზე, და სხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორებს, რომლებიც ამ საქმეზე საჯარო ინტერესის ფორმირებას უწყობს ხელს და მნიშვნელოვანია ბრალდებაზე უარის თქმის თუ დევნის განხორციელების მიზანშეწონილობაზე აზრის ჩამოსაყალიბებლად. აქვე უნდა შევეხოთ ჩვენ მიერ კვლევაში იდენტიფიცირებულ პრობლემას, კერძოდ, ბრალდებაზე უარის თქმის დროს ზემდგომი პროკურორის

---

<sup>418</sup> The Code for Crown Prosecutors, The Full Code Test, 2018, <https://www.cps.gov.uk/publication/code-crown-prosecutors>.

<sup>419</sup> ვოგლერი რ., პროკურორებისა და საგამომიებო ორგანოების ურთიერთმიმართება ორ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყანაში: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და უელსი, თბ., 2017 წ., გვ. 27.

<sup>420</sup> The Code for Crown Prosecutors, The Public Interest Stage, 2018.

თანხმობის საკითხს, რომელსაც ინგლისის კანონმდებლობა არ იცნობს, რის გამოც სამეფო ბრალმდებელი აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროს ზემდგომი პროკურორის თანხმობას არ საჭიროებს.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს მიეკუთვნება. აქ სამართალწარმოების განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლოს, ხოლო პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების შტოდ არის წარმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, თავის მხრივ, გერმანული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, როგორც აღვნიშნეთ, ამ კანონმდებლობამ ბოლო წლებში უხვად შეითვისა ანგლოამერიკული სამართლის, კერძოდ, აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დებულებები. ამ ფონზე შესამჩნევი გახდა ქართველი და გერმანელი პროკურორების უფლებამოსილებათა შორის განსხვავება. კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, თუ პროკურორი სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მივა დასკვნამდე, რომ სასამართლომ შესაძლებელია ბრალდებული გაამართლოს და უარი თქვას მისთვის სასჯელის დაკისრებაზე, მას უფლება აქვს, საქმის არსებითად განხილვის უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური სასამართლოს თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე<sup>421</sup>. ამასთანავე, თუ ბრალდება უკვე წარდგენილია, მოსამართლეს უფლება აქვს, პროკურორსა და ბრალდებულთან შეთანხმებით შეწყვიტოს საქმის წარმოება<sup>422</sup>. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, გერმანიის კანონმდებლობით ბრალმდებელს არ ეძლევა საშუალება, უარი თქვას ბრალდებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ღია სასამართლო განხილვის ჩატარების თაობაზე<sup>423</sup>. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო ბრალდების საქმეზე ბრალდებაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ დამნაშავის ბრალეულობა უმნიშვნელოდ ითვლება და

---

<sup>421</sup> Strafprozeßordnung (StPO), <https://www.gesetze-im-internet.de/stpo/>, §153b (1).

<sup>422</sup> იხ. იქვე, §153b (2).

<sup>423</sup> იხ. იქვე, §156.

მისი მსჯავრდების საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობს<sup>424</sup>, აგრეთვე დანაშაულის საზღვარგარეთ ჩადენის<sup>425</sup>, ქმედითი მონაწილის<sup>426</sup> და სხვა შემთხვევებში. რაც შეეხება კერძო ბრალდებაზე უარის თქმას, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ეს შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, კერძო ბრალმდებლისა და ბრალდებულის შეთანხმების შემდეგ<sup>427</sup>. გერმანიის კანონმდებლობა კერძო ბრალდებაზე უარის თქმის შემდეგ მის ხელახლა აღძვრას კრძალავს<sup>428</sup>. უნდა აღინიშნოს ამ კანონმდებლობის შემდეგი თავისებურებაც: კერძო ბრალდება წყდება კერძო ბრალმდებლის გარდაცვალების შემთხვევაში<sup>429</sup>. მნიშვნელოვან გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული ის, რომ, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმა შესაძლებელია აგრეთვე საპროცესო დარღვევის იდენტიფიცირების შემთხვევაში<sup>430</sup>. ასეთ ნორმას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ინკვიზიციურ ელემენტებს შეიცავს. მოსამართლე აღჭურვილია არაერთი დისკრეციული უფლებამოსილებით, რომელთა გამოყენების უფლებას მას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით კანონი ანიჭებს<sup>431</sup>. თავის მხრივ, პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს ნებისმიერი მოთხოვნით, რომელსაც ის საქმისთვის სასარგებლოდ მიიჩნევს<sup>432</sup>, და დაუბრკოლებლად გამოთქვას ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებას წაადგება<sup>433</sup>. პროკურორი ყველა სისხლის სამართლის საქმეზეა წარმოდგენილი<sup>434</sup>. იგი დამოუკიდებელია<sup>435</sup>, დამოუკიდებლად წყვეტს სისხლისსამართლებრივი

---

<sup>424</sup> იხ. იქვე, §153.

<sup>425</sup> იხ. იქვე, §153c.

<sup>426</sup> იხ. იქვე, §153e.

<sup>427</sup> იხ. იქვე, §391.

<sup>428</sup> იხ. იქვე, §392.

<sup>429</sup> იხ. იქვე, §393.

<sup>430</sup> იხ. იქვე, §206a.

<sup>431</sup> Code de procédure pénale, <https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006071154/>, Article 310.

<sup>432</sup> იხ. იქვე, Article 313.

<sup>433</sup> იხ. იქვე, Article 33.

<sup>434</sup> იხ. იქვე, Article 32.

<sup>435</sup> იხ. იქვე, Article 669.

დევნის საკითხებს და თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს არ საჭიროებს ზემდგომი პროკურორის თანხმობას, როგორც ეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. საქმის სასამართლო განხილვის დროს პროკურორს შეუძლია სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ, კერძოდ, მხარეთა კამათის დროს მოითხოვოს პირის გამართლებულად ცნობა, თუ მიიჩნევს, რომ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით არ დასტურდება ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა<sup>436</sup>. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ზღუდავს პროკურორსა და სასამართლოს, სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელონ ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ის არ მიმდინარეობს, რაც პროკურორს სხვადასხვა ბიუროკრატიული ვალდებულებებისგან თავისუფლებს და აჩქარებს მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგალითად, თუ საქმის განხილვის დროს სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ამასთანავე, იკვეთება სხვა პირის ბრალეულობა, მხარეთა კამათის სტადიაზე პროკურორი ბრალდებულის გამართლებას (ქართული მოდელით – ბრალდებაზე უარის თქმას) მოითხოვს. ამასთანავე, პროკურორი უფლებამოსილია იმ პირს, რომლის ბრალეულობაც სასამართლო განხილვის დროს გამოიკვეთა, გაუგზავნოს შეტყობინება (avertissement), რომ მან დაარღვია სისხლის სამართლის კანონი. ასეთ შემთხვევაში, თუ პირი ნებაყოფლობით გამოცხადდება სასამართლოში, პროკურორი თავისუფლდება გამოძიების თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალის წარდგენის ვალდებულებებისგან<sup>437</sup>.

შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ისა და ინგლისის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობებში ბრალდებაზე უარის თქმის დროს პროკურორის უფლებამოსილებასთან მიმართებით გერმანიისა და საფრანგეთის კანონმდებლობებით დადგენილისგან განსხვავებული საპროცესო წესებია. კერძოდ, პირველ შემთხვევაში პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის

---

<sup>436</sup> იხ. იქვე, Article 346.

<sup>437</sup> იხ. იქვე, Article 389.

განხორციელების დროს პრაქტიკულად განუსაზღვრელი უფლებამოსილებით სარგებლობს. მისი მთავარი მიზანია დანაშაულებრივი ქმედების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობის მოწესრიგება, რისთვისაც იგი დისკრეციულ უფლებამოსილებას იყენებს. მეორე შემთხვევაში პროკურორი გვევლინება შეზღუდული უფლებამოსილების მქონე სასამართლო სისტემის მაგისტრატად (საფრანგეთის მაგალითი), რომლის უმთავრესი ამოცანა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გადამწყვეტი როლი მოსამართლეს ეკისრება.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კონტინენტური სამართლის სისტემას განეკუთვნება, ბოლო წლებში მასზე არსებითი გავლენა მოახდინა აგრეთვე ამ კანონმდებლობაში დანერგილმა ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ნორმებმა. ვფიქრობთ, აღნიშნული საკანონმდებლო კონგლომერატი განაპირობებს იმ პრობლემებს, რომლებზეც ვრცლად ვისაუბრეთ. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს დემოკრატიული ქვეყნების საპროცესო კანონების იმ ნორმებს, რომლებიც აჩქარებს და ეფექტიანს ხდის მართლმსაჯულების განხორციელებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით მეტად დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს ხედვას დისერტაციის რეკომენდაციებში წარმოვადგენთ.

### **§3. ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაგალითი**

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობები კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს განეკუთვნება. მათ აქვთ განსაკუთრებული საერთო ნიშანი, კერძოდ, ამ ქვეყნებმა მემკვიდრეობით მიიღეს საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გავლენა, რომელიც ზოგიერთ მათგანში დღემდე მკვეთრად იგრძნობა.

ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობებში განსაკუთრებული, საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი სახე აქვს. რა თქმა უნდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობებმა განიცადა ცვლილებები, რომლებიც დემოკრატიულ სახელმწიფოებში – ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში – იყო აპრობირებული, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილებები ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტს მცირე დოზით შეეხო ან საერთოდ არ შეეხებია.

უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის მიხედვით, მხარეები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების დროს თავისუფლები არიან. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სისხლის სამართალწარმოების პროცესის დასრულებას იწვევს<sup>438</sup>. უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სამართალწარმოების პროცესი სრულდება აგრეთვე კერძო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის დროს<sup>439</sup>. თუ პროკურორი სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეიცვლის შინაგან რწმენას ბრალდების განხორციელებასთან დაკავშირებით და მივა დასკვნამდე, რომ პირისთვის წარდგენილი ბრალი არ დასტურდება, იგი ვალდებულია ბრალდებაზე უარი თქვას. უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო წესების მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება წერილობითი ფორმისაა და აქვს დადგენილების სახე, რომელშიც ასახულია ბრალდებაზე უარის თქმის მოტივი და დასაბუთება<sup>440</sup>. ამასთანავე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა დაზარალებულს უტოვებს უფლებას, სასამართლოში გააგრძელოს ბრალდების მხარდაჭერა<sup>441</sup>. თუ დაზარალებული ბრალდების მხარდაჭერაზე თანხმობას განაცხადებს, იგი მხარის ყველა უფლებამოსილებით სარგებლობს<sup>442</sup>. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართალწარმოება ავტომატურად იძენს კერძო

---

<sup>438</sup> Кримінальний процесуальний кодекс України, 2012, <https://zakon.rada.gov.ua/laws/show/4651-17#Text>, Стаття 26 (1).

<sup>439</sup> იხ. იქვე, Стаття 26 (4).

<sup>440</sup> იხ. იქვე, Стаття 340 (1).

<sup>441</sup> იხ. იქვე, Стаття 340 (2).

<sup>442</sup> იხ. იქვე, Стаття 340 (4).

ბრალდების სტატუსს<sup>443</sup>. კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულს შეუძლია ნებისმიერ დროს თქვას უარი ბრალდებაზე. კერძო ბრალმდებლის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა და მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა ბრალდებაზე უარის თქმას უთანაბრდება. ამ შემთხვევაში სამართალწარმოების პროცესი წყდება<sup>444</sup>.

უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემოთავაზებულია ბრალდებაზე უარის თქმის საკმაოდ საინტერესო საპროცესო ფორმა, რომელიც გარკვეულწილად თავსდება ჩვენ მიერ კვლევაში იდენტიფიცირებული პრობლემების კონტექსტში. კერძოდ, უკრაინის გენერალური პროკურორი ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის თანხმობას არ საჭიროებს<sup>445</sup>. უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ჩანაწერი შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად გამოდგეს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ არცერთი დონის პროკურორს, რომელიც სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას ასრულებს და კანონით დამოუკიდებელია, ბრალდებაზე უარის თქმის დროს ზემდგომი პროკურორის თანხმობა არ უნდა სჭირდებოდეს. უკრაინის გენერალური პროკურორის გარდა, ყველა დონის პროკურორი ვალდებულია ბრალდებაზე უარის თქმის დროს ზემდგომი პროკურორისგან ასეთი თანხმობა მიიღოს<sup>446</sup>. თუ ზემდგომი პროკურორი სახელმწიფო ბრალმდებელს ბრალდებაზე უარის თქმაზე თანხმობას არ მისცემს, იგი საქმეში თავად ერთვება, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ან სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას სხვა პროკურორს ავალებს<sup>447</sup>.

ლატვიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სათანადო ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია სახელმწიფო ბრალდებაზე უარი თქვას<sup>448</sup>. სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის დასაბუთებულობისა და

---

<sup>443</sup> იხ. იქვე, Стаття 340 (5).

<sup>444</sup> იხ. იქვე, Стаття 340 (6).

<sup>445</sup> იხ. იქვე, Стаття 341 (1).

<sup>446</sup> იხ. იქვე.

<sup>447</sup> იხ. იქვე, Стаття 341 (2).

<sup>448</sup> Kriminālprocesa likums, 2005, <https://likumi.lv/ta/id/107820-kriminalprocesa-likums>, pants 39 (2).



კანონიერების საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას ზემდგომი პროკურორი იღებს<sup>449</sup>. სახელმწიფო ბრალმდებლისთვის საინტერესო ნორმებს აწესებს ლატვიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებას მხარი უნდა დაუჭიროს იმ პროკურორმა, რომელმაც საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართა. ამასთანავე, კანონით სააპელაციო სასამართლოში ბრალდებას მხარს, შესაძლებლობიდან გამომდინარე, იგივე პროკურორი უნდა უჭერდეს<sup>450</sup>. ასეთი ვითარება გარკვეულწილად ეხმაურება ჩვენ მიერ კვლევაში იდენტიფიცირებულ პრობლემას, კერძოდ, იმ საკითხს, თუ რომელი დონის პროკურორი უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო ბრალდებას ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში. თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორი მივა დასკვნამდე, რომ პირისთვის წარდგენილი ბრალი სრულად ან ნაწილობრივ არ დადასტურდა, იგი ვალდებულია ბრალდებაზე სრულად ან ნაწილობრივ თქვას უარი და სასამართლოს წარუდგინოს ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილება, რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი პროკურორის მიერ<sup>451</sup>. სახელმწიფო ბრალმდებელმა ეს ვალდებულება შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს სათათბირო ოთახში გასვლამდე უნდა შეასრულოს<sup>452</sup>. თუ სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალდებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოში ზემდგომი პროკურორის თანხმობის გარეშე წარადგინა ან მისი ეს გადაწყვეტილება მოტივირებული არ არის, მოსამართლე გადადებს სასამართლო განხილვას. თუ მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში ზემდგომი პროკურორი არ შეცვლის სახელმწიფო ბრალმდებელს, სასამართლო წყვეტს საქმეს პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველით. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება<sup>453</sup>. ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველზე შეწყვეტილი საქმის

---

<sup>449</sup> იხ. იქვე, pants 46 (7).

<sup>450</sup> იხ. იქვე, pants 42.

<sup>451</sup> იხ. იქვე, pants 459 (1).

<sup>452</sup> იხ. იქვე, pants 459 (2).

<sup>453</sup> იხ. იქვე, pants 460 (1).

განახლება შესაძლებელია ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში<sup>454</sup>.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სათანადო საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია უარი თქვას ბრალდებაზე<sup>455</sup>. აზერბაიჯანის კანონმდებლობა იცნობს კერძო ბრალმდებლის ინსტიტუტს, რომელიც საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით ერთვება და, თუ სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდებაზე უარს იტყვის, უფლება აქვს, გააგრძელოს საქმეზე კერძო ბრალდების მხარდაჭერა<sup>456</sup>. ასეთ შემთხვევაში კერძო ბრალმდებელი დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ნების შესაბამისად მოქმედებს<sup>457</sup>. ბრალდებულის გამართლებისთვის საკმარისი საფუძვლების არარსებობისას ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორს დაცვის მხარის თანხმობა ესაჭიროება<sup>458</sup>. თუ საქმის სასამართლოსთვის გადაცემის შემდეგ, სასამართლო განხილვის დაწყებამდე გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას ეწინააღმდეგება, მოსამართლე სახელმწიფო ბრალმდებელს ბრალდებაზე უარის თქმის შესაძლებლობას აძლევს<sup>459</sup>. ამასთანავე, თუ ასეთი გარემოებები სასამართლოსთვის სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ გახდება ცნობილი, სასამართლო მაინც დაასრულებს საქმის განხილვას და, თუ სახელმწიფო ბრალმდებელი ბრალდებაზე უარს არ იტყვის, თავად გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს<sup>460</sup>. აზერბაიჯანის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სახელმწიფო ბრალმდებელს არ უწესებს ბრალდებაზე უარის თქმის დროს ზემდგომი პროკურორის თანხმობის მიღების ვალდებულებას. ამასთანავე, პროკურორი ბრალდებაზე მხოლოდ სრულად ამბობს უარს. ბრალდებაზე ნაწილობრივ უარის თქმას აზერბაიჯანის

---

<sup>454</sup> იხ. იქვე, pants 460 (2).

<sup>455</sup> Azərbaycan Respublikasının Cinayət-Prosessual Məcəlləsi, 2000, <https://www.e-qanun.az/framework/46950>, Maddə 84 (84.6.9).

<sup>456</sup> იხ. იქვე, Maddə 88 (88.4.7).

<sup>457</sup> იხ. იქვე, Maddə 41 (41.7).

<sup>458</sup> იხ. იქვე, Maddə 41 (41.3).

<sup>459</sup> იხ. იქვე, Maddə 41 (41.4).

<sup>460</sup> იხ. იქვე, Maddə 41 (41.5).

კანონმდებლობა არ იცნობს და ასეთ შემთხვევებს დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლად ან/და დაზუსტებად განიხილავს.

ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებაზე უარის თქმა იწვევს პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას<sup>461</sup>. ამასთანავე, პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებაზე უარი თქვას მხარეთა კამათის დროს, ხოლო სასამართლო გამამართლებელ განაჩენს დაუყოვნებლივ, სასამართლო განხილვის გაგრძელების გარეშე გამოიტანს<sup>462</sup>. გარდა ამისა, ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ზემდგომი პროკურორი მხოლოდ გამოძიების სტადიაზეა უფლებამოსილი, თავისი დადგენილებით შეცვალოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებები<sup>463</sup>.

როგორც კვლევამ აჩვენა, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის ვალდებულებაა<sup>464</sup>, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისგან, რომელიც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას მიაკუთვნებს.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ბრალდებაზე უარის თქმის ქართული მოდელი თავისი ფორმულირებით არ ჩამოუვარდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოდელებს, მაგრამ ეს საპროცესო ინსტიტუტი საჭიროებს საკანონმდებლო ჩარევას, რათა პროკურორის უფლებამოსილებათა არსენალში ეფექტიან და სრულყოფილ იარაღად იქცეს.

---

<sup>461</sup> Kriminaalmenetluse seadustik, <https://www.riigiteataja.ee/akt/106012016019>, 2003, §14 (2).

<sup>462</sup> იხ. იქვე, §301.

<sup>463</sup> იხ. იქვე, §213 (6).

<sup>464</sup> ჩვენ მიერ განხილული უკრაინისა და ლატვიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ანალოგიური მიდგომა აქვს სომხეთის (მუხ. 306), ყაზახეთისა (მუხ. 317) და უზბეკეთის (მუხ. 409) რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს (ავტ. შენ.).

## დასკვნა

წარმოდგენილი დისერტაცია არის ქართულ სამეცნიერო სივრცეში ბრალდებაზე უარის თქმის მარეგულირებელ ნორმასთან დაკავშირებით განხორციელებული პირველი კომპლექსური კვლევა, რომელშიც სიღრმისეულადაა შესწავლილი და გადმოცემული ამ საპროცესო ინსტიტუტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მიეკუთვნება კონტინენტური სამართლის სისტემას, რომელმაც არსებობის პერიოდში უხვად განიცადა ანგლოამერიკული სამართლის სისტემის გავლენა, რაც ამ კანონმდებლობაში განხორციელებული არაერთი ცვლილებით გამოიხატა. აღნიშნული ცვლილებები ყოველთვის ემსახურებოდა კონკრეტული ურთიერთობების საკანონმდებლო მოწესრიგებას და აღნიშნული კანონმდებლობის დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სისხლის სამართალწარმოების პროცესის გამარტივებას. მიუხედავად ამისა, კვლევით დადგინდა, რომ მოქმედ საპროცესო კოდექსში მაინც დარჩა საკითხები, რომლებიც საკანონმდებლო ჩარევას საჭიროებს. ამის ნათელი მაგალითია ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის რეგლამენტაცია. მეცნიერული კვლევის დროს საკითხის სიღრმისეულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით არაერთი პრობლემა არსებობს. ჩვენ მოვახდინეთ ამ პრობლემების იდენტიფიცირება და წარმოვადგინეთ მათი გადაჭრის გზების ჩვენეული ხედვა.

სადისერტაციო ნაშრომის ისტორიული ასპექტების განხილვისა და ანალიზის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ ბრალდებაზე უარის თქმის მარეგულირებელი ნორმები გვხვდებოდა ძველ ქართულ სამართალში. ქართული სამართლის ძეგლები იმ პერიოდის სხვა სამართლის ძეგლებთან შედარებით უფრო ჰუმანური, ამასთანავე, პროგრესული იყო, რადგან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაში ერთმანეთის პარალელურად არსებობდა და ვითარდებოდა მკვეთრად განსხვავებული სისხლის სამართლის საპროცესო ქვეყნის წესები. ქართული მართლმსაჯულების ამოსავალი პრინციპები

ოდითგანვე სამართლიანობა, მხარეთა შეჯიბრებითობა, მოსამართლის მიუკერძოებლობა და საქმის ობიექტური გამოკვლევა იყო. ბრალდებაზე უარის თქმის (თანამედროვე გაგებით) შინაარსის მქონე გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდათ მეფეს და სხვა საერო თუ სასულიერო იერარქებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, მათ შეეძლოთ დანაშაულის პატიება მისი ჩამდენი პირისთვის. ძველ ქართულ სამართალში ბრალმდებლად, როგორც წესი, დაზარალებული ითვლებოდა. არსებობდა სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე უარის თქმის პირობადადებული ფორმაც, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს. ბრალდებაზე უარის თქმის ფორმები გვხვდებოდა როგორც საბრალდებო პროცესში, ისე ინკვიზიციურ (სამძებრო) და შერეული ტიპის პროცესებში. ისტორიული წყაროები ნათლად ადასტურებს ქართული სამართალწარმოებისა და სისხლის სამართლის ადრეული პროცესის დებულებებს, რომელთა გამოყენებითაც ბრალმდებელს, იქნებოდა ეს კოლექტიური თუ ინდივიდუალური მართლმსაჯულების ინსტიტუტი, შეეძლო უარი ეთქვა სახელმწიფო ბრალდების განხორციელებაზე, რაც გამოიხატებოდა პირისთვის დანაშაულის პატიებით, გარკვეული პირობით სასჯელის არდაკისრებით ან განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით, ახალ გარემოებათა აღმოჩენამდე საქმის გადაუწყვეტლად დატოვებით.

ბრალდებაზე უარის თქმა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამასთანავე, კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ პროკურორმა დისკრეციის ფარგლებში ბრალდებაზე უარი შეიძლება თქვას ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს. ეს გარემოებებია: არასრული და სუბიექტური გამოძიება; დაბალი ხარისხის, არაპროფესიონალურ დონეზე ჩატარებული გამოძიება; საპროცესო ნორმების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები; არასაკმარისი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით განაჩენის გამოსატანად; საპროცესო ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობით გამოწვეული ნაჩქარევი ან/და დაუსაბუთებელი საპროცესო გადაწყვეტილებები; გამოძიების ცრუ დასმენის, ცრუ ჩვენების ან/და ცრუ დასკვნის საფუძველზე დაწყება; წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ან მათი მნიშვნელოვანი

ნაწილის დაუშვებლად ცნობა. ბრალდებაზე უარის თქმა შესაძლებელია აგრეთვე ისეთი საპროცესო საფუძვლებით, როგორც არის „ვითარება შეიცვალა“ და „სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს“.

თავის მხრივ, მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პრობლემურად რჩება „ვითარების შეცვლის“ განმარტების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ვითარების შეცვლა შეიძლება ბრალდებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს, მიზანშეწონილია, ის საკანონმდებლო დონეზე განიმარტოს და განისაზღვროს აღნიშნული ურთიერთობა. ეს ხელს შეუწყობს სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ვითარების შეცვლის განმსაზღვრელად შესაძლებელია განვიხილოთ, ზოგადად, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების საგანზე და არსებითად ცვლის მის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე თავად უნდა იქნეს შეტანილი ბრალდებაზე უარის თქმის საპროცესო ინსტიტუტის გამოყენების საფუძვლების, საპროცესო წესისა და სამართლებრივი შედეგების მარეგულირებელი დეტალური და სრულყოფილი ნორმები. ეს მოახდენს ამ ინსტიტუტის სისტემატიზაციას და ბრალდებაზე უარის თქმის ინსტიტუტის გამოყენების საკითხს უფრო ნათელსა და გასაგებს გახდის.

ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში ზემდგომი პროკურორის თანხმობის საკითხი პრობლემურია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, რომელშიც მითითებულია, რომ „სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს“. ზემდგომი პროკურორის თანხმობა არის ერთგვარი ფორმალური დათქმა, რომელიც აფერხებს მართლმსაჯულების პროცესს, ხელს უშლის მის დაჩქარებას და ეჭვქვეშ აყენებს სახელმწიფო ბრალმდებლის დამოუკიდებლობას. აღნიშნული საპროცესო დათქმა

